

გია ნახუცრიშვილი, ოთარ აბდალაძე,
ქეთევან ბაცაცაშვილი, ლაშა ძაძაშია

საქართველოს ბუნებრივი ძყეები

(სამხრეთ კავკასია)



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი 2023

მია ნახუსრიშვილი, ოთარ აბდალაძე,
ქეთევან ბახასაშვილი, ლაშა ძაძაძია

საქართველოს ბუნებრივი ტყეები

(სამხრეთ კავკასია)

მასალის მომზადებაში მონაწილეობა მიიღეს შემდეგმა კონტრიბუტორმა ავტორებმა:
აჭარა – ზურაბ მანველიძე, ნინო მემიაძე, დავით ხარაზიშვილი; გურია, სამეგრელო, სვანეთი
და რაჭა-ლეჩხუმი – დავით ჭელიძე, არსენ ბახია; სამცხე-ჯავახეთი, ქართლი და ქვემო ქართლი
– გრიგოლ დეისაძე, გიორგი თედორაძე, არსენ ბახია; ხევი და კახეთი – გრიგოლ დეისაძე,
არსენ ბახია, ზეზვა ასანიძე; ტაქსაციური კვლევა – ილია აკობია, ზურაბ ჯანიაშვილი.

ნიადაგისა და დეტრიტის კვლევა – თამარ ჯოლოხვა

ტაქსონომიური კორექტურა – თამარ ჯუღელი

რედაქტორი ოთარ აბდალაძე, შალვა სიხარულიძე

კომპიუტერული

უზრუნველყოფა ქეთევან გოგავა

ფოტოები წიგნში:

© ოთარ აბდალაძე – 1a, 1b, 1c, 2c, 3a, 3b, 4a, 4b, 5a, 5b, 6b, 6c, 8a, 8b, 9a, 9c, 10c, 10d, 11a, 11b,
11c, 11d, 11e, 12a, 12b, 12d, 13c, 14a, 14b, 15a, 15b, 15c, 16a, 16b, 16c, 16d, 16e, 17b, 17d, 17e, 18a,
18c, 18d, 18f, 20b;

© არსენ ბახია – 2a, 2b, 3c, 5c, 6a 7a, 7b, 7c, 7d, 7e, 7f, 7g, 8c, 8d, 9b, 10a, 10b, 12c, 13a, 13b, 17a, 17c,
17f, 18b, 18e, 19a, 19b, 20a;

ფოტო გარეკანზე: რცხილნარ-წიფლნარი (Carpineto-Faget), გომბორის უღ. © ოთარ აბდალაძე

© 2023, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ISBN 978-9941-18-444-4

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა
ქაქუცა ჩოლოყაშვილის 3/5, თბილისი, 0162, საქართველო

სარჩევი

წინასიტყვაობა.....	9
აბრევიატურები, შემოკლებები, სიმბოლოები	11
ზოგიერთი ტერმინის განმარტება.....	12
თავი 1. საქართველოს ბუნებრივი პირობების მოკლე დახასიათება.....	15
1.1 მდებარეობა	15
1.2 ტერიტორია და საზღვრები	15
1.3 რელიეფი	15
1.4 კლიმატი	16
1.5 წიაღები.....	19
თავი 2. საქართველოს ტყის მცენარეულობის მოკლე ისტორია.....	20
თავი 3. ბუნებრივი ტყეების შესახებ.....	25
თავი 4. მეთოდები	27
4.1 კვლევის დიზაინი	27
4.2 სახეობათა იდენტიფიცირება	27
4.3 ტყის ტიპის იდენტიფიცირება	28
4.4 ტყის ტიპის დახასიათება და ფიტოსოციოლოგიური აღწერა	28
4.5 ხეების ტაქსაციური მაჩვენებლების დადგენა	29
თავი 5. საქართველოს ტყის მცენარეულობის ზოგადი დახასიათება	32
5.1 საქართველოს ფლორისა და მცენარეულობის კვლევის მოკლე ისტორია.....	32
5.2 საქართველოს ფლორისა და მცენარეულობის მრავალფეროვნება	33
5.3 საქართველოს ტყის მცენარეულობის მრავალფეროვნება	33
თავი 6. საქართველოს ბუნებრივი ტყეების ფიტოსოციოლოგიური აღწერები	52
6.1 აჭარა	52
6.1.1 Castaneto-Carpinetum.....	52
6.1.2 Fageto-Carpinetum-Castanetum Rhododendrosom pontici	54
6.1.3 Fageto-Castaneto-Carpinetum Rhododendrosom pontici	55
6.1.4 Piceeto-Querceto-Castanetum	56
6.1.5 Arbuto-Pineto-Quercetum herbae mixtosum.....	58
6.1.6 Arbuto-Pineto-Quercetum herbae Cistosum.....	60
6.1.7 Fagetum vaccinosum arctostaphyli.....	61
6.1.8 Piceetum rhododendrosom pontici.....	62
6.1.9 Piceeto-Abietum herbae mixtosum.....	63
6.1.10 Piceeto-Abietum vaccinosum arctostaphyli.....	65
6.1.11 Piceeto-Abietum laurocerasosum officinalis	67
6.2 გურია	68
6.2.1 Alnetum	68
6.2.2 Alnetum matteucciosum struthiopteris.....	70

6.2.3 Alnetum კოლხური მარადმწვანე ქვეტყით.....	71
6.2.4 Fageto-Alnetum კოლხური მარადმწვანე ქვეტყით.....	73
6.2.5 Fagetum rhododendrosus lutei.....	75
6.2.6 Fagetum-filicosum	77
6.2.7 Fagetum rubosum anatolicum	78
6.2.8 Fagetum asperulosum odorati	80
6.2.9 Fagetum rhododendrosus pontici	81
6.2.10 Castanetum.....	83
6.2.11 Carpinetum rhododendrosus lutei	84
6.2.12 Piceeto-Abietum rhododendrosus pontici	86
6.2.13 Piceeto-Abietum festucosum drymejae	88
6.2.14 Fageto-Abietum	89
6.2.15 Betuletum vaccinosus arctostaphyli	91
6.2.16 Betuletum rhododendrosus ungerianum	93
6.2.17 Quercetum ponticae	95
6.2.18 Fagetum quercetosus pontici	96
6.3 სამეგრელო	98
6.3.1 Alnetum	98
6.3.2 Fageta მარადმწვანე კოლხური ქვეტყით.....	100
6.3.3 Fagetum vaccinosus arctostaphyli.....	101
6.3.4 Castanetum.....	103
6.3.5 Coryletum colchicae	104
6.3.6 Betuletum megrelicae	106
6.3.7 Quercetum ponticae	108
6.4 სვანეთი	110
6.4.1 Quercetum ibericae	110
6.4.2 Alnetum barbatae	112
6.4.3 Alnetum incanae	114
6.4.4 Fageto-Abieto-Piceetum	116
6.4.5 Piceeto-Abietum	118
6.4.6 Abietum nordmanniana.....	119
6.4.7 Piceetum rhododendrosus lutei.....	121
6.4.8 Betuletum pendulae rhododendrosus caucasicus.....	122
6.4.9 Betuletum litwinowiae rhododendrosus caucasicus	123
6.4.10 Betuletum litwinowiae rhododendrosus caucasicus	125
6.4.11 Quercetum macrantherae	127
6.4.12 Pinetum	129
6.4.13 Pinetum vaccinosus arctostaphyli	130
6.5 რაჭა-ლეჩხუმი.....	132
6.5.1 Alnetum festucosus drymejae	132
6.5.2 Quercetum ibericae	134
6.5.3 Querceto-Carpinetum orientalis.....	135
6.5.4 Carpinetum caucasicus	137

6.5.5 Piceetum orientalis	138
6.5.6 Piceeto-Abietum	140
6.5.7 Abieto-Fagetum orientalis	141
6.5.8 Abieto-Fagetum orientalis laurocerasosum officinalis.....	142
6.5.9 Abietum herbae mixtosum	143
6.5.10 Abietum rubosum anatolici	144
6.5.11 Pinetum	146
6.6 სამცხე-ჯავახეთი.....	147
6.6.1 Piceetum	148
6.6.2 Piceeto-Fagetum rhododendrosom pontici	149
6.6.3 Fageto-Piceetum rhododendrosom pontici.....	151
6.6.4 Betuletum	152
6.6.5 Piceeto-Abietum	155
6.7 ქართლი	156
6.7.1 Quercetum ibericae	156
6.7.2 Fagetum rubosum hirtus	158
6.8 ქვემო ქართლი.....	160
6.8.1 Querceto-Populetum	161
6.8.2 Carpinetum	162
6.9 ხევი	164
6.9.1 Betuleta	164
6.9.2 Betuletum (ტყის ზედა საზღვარი)	168
6.9.3 Pinetum oreadosum	170
6.9.4 Pinetum	170
6.10 კახეთი	174
6.10.1 Populetum	174
6.10.2 Pterocaryetum	176
6.10.3 Carpinetum	177
6.10.4 Zelkovetum	179
6.10.5 Pinetum	181
6.10.6. Fagetum nudum.....	182
6.10.7 Fageuma festucosum.....	183
6.10.8 Carpineto-Fagetum-rubosum	185
6.10.9 Juniperetum.....	186
6.10.10 Pistacietum	189
თავი 7. საპართველოს ბუნებრივი ძეგლების თამსახური კვლევა	192
7.1 მრავალფეროვნება	192
7.2 ტაქსაციური მაჩვენებლების შესწავლა.....	192
7.2.1 მერქნის მოცულობა.....	194
7.2.2 გამხმარი (მკვდარი) მერქნის მოცულობა	196
7.2.3 ღეროს დიამეტრი და აღმონაცენების განაწილება.....	196

ბიბლიოგრაფია	197
ინტერნეტრესურსები:	204
დანართი 1	
სახეობათა ნუსხა	205
დანართი 2	
რეგიონების მიხედვით შესავლელი ტყის ტიპების და მათი ვარიანტების (ასოციაციების) ნუსხა	220

წიგნი ეძღვნება საქართველოში ბოტანიკური მეცნიერების ერთ-ერთი ყველაზე აქტიურ საკითხს – ბუნებრივი/ბუნებრივთან ახლოს მდგომი ტყეების თანამედროვე მდგომარეობის შესწავლას. მასში წარმოდგენილია ფიტოსოციოლოგიური და სატყეო კვლევების ანგარიშების საფუძველზე თავმოყრილი დიდძალი ფაქტობრივი მასალა, რომელიც ეხება დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ტყის ძირითად ფორმაციებს. ამასთან, ყურადღება გამახვილებულია იშვიათ, რელიქტურ ტყეებზე და ისეთ ეკოსისტემებზე (მაგალითად, ტყის ზედა საზღვრის ეკოტონზე), რომელთა მეტ-ნაკლები ტრანსფორმაცია მოსალოდნელია კლიმატის მიმდინარე გლობალური ცვლილების შედეგად.

წიგნი გათვალისწინებულია მკითხველთა ფართო წრისთვის: ბოტანიკოსებისთვის, ეკოლოგებისთვის, მეტყევეებისთვის, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სხვა წარმომადგენლებისთვის, საქართველოს ბუნების მკვლევართათვის და მოყვარულთათვის, უნივერსიტეტების სადოქტორო, სამაგისტრო და საბაკალავრო საფეხურის სტუდენტებისთვის.

საველე კვლევები ჩატარებულია და წიგნი გამოცემულია გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალური სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით, პროექტის "საქართველოში ტყის სექტორის რეფორმის განხორციელების ხელშეწყობა - ECO. Georgia"-ს ფარგლებში.

მადლობას მოვასხენებთ გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებას (GIZ) საქართველოს ბუნებრივი ტყეების ოთხწლიანი (2019-2022 წწ) კვლევისა და ამ ტყეების შესახებ ქართულ და ინგლისურენოვანი წიგნების (2023 წ) გამოცემის მხარდაჭერისათვის, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობას წიგნის ხელნაწერის დაკაბადონებისათვის, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს – არჩილ ყველაშვილს, თორნიკე ფანქველაშვილს, გიორგი ჭელიძეს და ცოტნე ოდიკაძეს საველე მასალების შეგროვებაში მონაწილეობისთვის, ასევე ყველა იმ ადამიანს, მათ შორის, საქართველოს სხვადასხვა რეგიონის ადგილობრივ მცხოვრებთ, ვინც სხვადასხვაგვარად დაგვეხმარა საველე კვლევისას.



წინასიტყვაობა

ტყეები დედამიწაზე ხმელეთის ყველაზე გავრცელებული ეკოსისტემებია. მათში თავშესაფარს ნახულობს მცენარეთა და ცხოველთა აქამდე ცნობილი ყველა სახეობის 80%-ზე მეტი. საქართველოს მცენარეულობაში ტყეს, მრავალი თვალსაზრისით, გამორჩეული ადგილი უკავია: მთელ კავკასიაში საქართველო ყველაზე ტყიანი ქვეყანაა; ამას გარდა, სახეზეა ტყის ფორმაციების დიდი მრავალფეროვნება, განსაკუთრებული სახეობრივი სიმდიდრე და აგრეთვე რელიქტური და ენდემური, საფრთხეში და გადაშენების პირას მყოფი ტაქსონების სიუხვე. არის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გარემოება, რომელიც გამოარჩევს საქართველოს ტყეებს: რელიეფის სირთულიდან გამომდინარე, აქ ჯერ კიდევ შემორჩენილია ბუნებრივი, ან ბუნებრივთან ახლოს მდგომი – ადამიანის მიერ ხელუხლებელი, ან დიდი ხნის მანძილზე ხელუხლებელი ტყეები, მათ შორის, წარსული გეოლოგიური ეპოქებიდან შემორჩენილი „ცოცხალი ნამარხები“. უკანასკნელ ათწლეულებში სწრაფად მიმდინარე და რადიკალური გლობალური ცვლილებები (კლიმატის, მიწათსარგებლობის) განსაკუთრებულ აქტუალობას სძენს ბუნებრივი ტყეების ბოტანიკურ-ეკოლოგიურ შესწავლას.

კავკასიის და კერძოდ, საქართველოს მცენარეული საფარის განსაკუთრებული მრავალფეროვნების და ორიგინალობის მიზეზი ფიზიკო-გეოგრაფიული და, აქედან გამომდინარე, კლიმატური პირობების სიჭრელეა. კავკასია მდებარეობს სხვადასხვა გენეზისის მცენარეული ლანდშაფტების შესაყარზე და ესეცაა მიზეზი იმისა, რომ მისი ფლორისა და მცენარეულობის მრავალფეროვნება დიდია. გარდა ამისა, რელიეფის ძლიერი დანაწევრება და ქედების კონფიგურაცია ხელს უწყობდა მცენარეულობის ხანგრძლივ გეოგრაფიულ და ეკოლოგიურ იზოლაციას. ამის შედეგი კავკასიის და კონკრეტულად, საქართველოს ფლორის მაღალი ენდემიზმია. მნიშვნელოვანმა ჰიფსომეტრულმა ცვალებადობამ ჩამოაყალიბა მცენარეულობის სხვადასხვა სარტყელი: დაწყებული ნახევარუდაბნოებითა და სტეპებით და აღპურ-ნივალურით დამთავრებული. მათ შორის განსაკუთრებული პოზიცია ტყეს უკავია: იგი ზღვის დონიდანვე იწყება, ფარავს მთისწინებსა და სხვადასხვა ექსპოზიციისა და დაქანების მთის კალთებს და მაღალმთაში ზოგან 2700 მ-მდეც კი ვრცელდება.

საქართველოს ტყეებს, რომელთა შესახებ პირველი სისტემატიზირებული ცნობები ჯერ კიდევ XVIII ს შუაწელში (1742 წ) ვახუშტი ბატონიშვილმა მოგვანოდა, ქართველ და უცხოელ ბოტანიკოსთა არაერთი თაობა სწავლობდა, მათ შორის: ნ. ალბოვი, ნ. ბუში, ა. გროსპიმი, ვ. გულისაშვილი, ა. დოლუხანოვი, ნ. კეცხოველი, ა. კოლაკოვსკი, ა. მაცაშვილი, ლ. მახათაძე, ი. მედვედევი, გ. ნახუცრიშვილი, მ. სახოკია, დ. სოსნოვსკი, ი. შატილოვა, ა. ხარაძე, ა. ჯავახიშვილი და სხვ. უპირველეს ყოვლისა, ყურადღება გამახვილებული იყო ტყეთა ფორმაციებისა და ასოციაციების გამოყოფაზე, სისტემატიზაციაზე, ფიტოსოციოლოგიურ და ეკოლოგიურ კვლევებზე. მიუხედავად ამისა, ვინაიდან საქართველოს ტყეები დიდი ცენტრიკური მრავალფეროვნებით და გავრცელების ფართო ჰიფსომეტრული დიაპაზონით ხასიათდება, შესასწავლი ჯერ კიდევ მრავალი საკითხი რჩება. მათგან ერთ-ერთია ბუნებრივი და/ან მასთან ახლოს მდგომი ტყეები. ისინი ან დაცული ტერიტორიების ფარგლებშია შემონახული (უმეტესწილად კარგად), ან ისეთ მიუდგომელ ადგილებშია შემორჩენილი, რომ მათი არსებითი ანთროპოგენური ხელყოფა აქამდე არ მომხდარა. ისინი ერთგვარი ეტალონური ტყეებია.

რატომ არის მნიშვნელოვანი ბუნებრივი ტყეების შესწავლა? მიზეზი რამდენიმეა: 1) ბუნებრივი ტყეები, მათი არსებობის ხანგრძლივი სტაბილური პერიოდიდან გამომდინარე, მცენარეთა და ცხოველთა მრავალფეროვნებით განსაკუთრებით გამორჩეული ეკოსისტემებია. ამ ბიომრავალფეროვნების, მათ შორის, იშვიათი, რელიქტური, ენდემური, გადაშენების პირას მყოფი სახეობების და ისეთი ორგანიზმების, რომლებიც ვერ ცხოვრობენ ახალგაზრდა ტყეებში, ერთადერთი ჰაბიტატი და თავშესაფარი სწორედ ბუნებრივი ტყეებია. ეს ბუნებრივი ტყეების უმთავრესი ეკოლოგიური ფუნქციაა;

2) ასევე ძალიან მნიშვნელოვანია წყლის ბალანსის რეგულაცია, საკვები ნივთიერებების წრებრუნვა, ნახშირბადის გაცილებით უფექტური ასიმილაცია, ვიდრე ეს ახალგაზრდა ტყეებში, ნარგაობებსა და პლანტაციებში ხდება და შესაბამისად, უმნიშვნელოვანესია გლობალური ცვლილებების შესარბილებლად; 3) ბუნებრივ ტყეებში საუკუნეების მანძილზე აკუმულირებულია ნახშირბადის კოლოსალური რაოდენობა (ჰუმუსის სახით, ან თუკი ნიადაგი ძლიერ ტენიანია – ტორფის სახით). ტყეების განადგურებისას, ან თუნდაც დეგრადაციისას, ეს ნახშირბადი სათბურის გაზების სახით ატმოსფეროში გამოიყოფა და ზრდის კლიმატის გლობალური დათბობის რისკს.

წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილია გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მიერ სმხარდაჭერილი საგრანტო პროექტების ფარგლებში შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შედეგების – საქართველოს ბუნებრივი/ბუნებრივთან ახლოს მდგომი ტყეების ფიტოსოციოლოგიური აღწერები, სატყეო კვლევების ანგარიშები და მათი პირველადი ანალიზი.

*გია ნახუცრიშვილი
ოთარ აბდალაძე
ქეთევან ბაცაცაშვილი*

აბრევიატურები, შემოკლებები, სიმბოლოები

ჩ. გ.	–	ჩრდილოეთის გრძედი
ა. გ.	–	აღმოსავლეთის განედი
°	–	გრადუსი
'	–	მინუტი
მ	–	მეტრი
კმ	–	კილომეტრი
მწვ.	–	მწვერვალი
წ	–	წელი
ს	–	საუკუნე
მდ.	–	მდინარე
ზღ. დ.	–	ზღვის დონე
ძვ. წ.	–	ძველი წელთაღრიცხვა
ჩვ. წ.	–	ჩვენი (ახალი) წელთაღრიცხვა
სოფ.	–	სოფელი
ქ.	–	ქალაქი
მლნ.	–	მილიონი
მლრდ.	–	მილიარდი
ჰა	–	ჰექტარი
უდ.	–	უღელტეხილი
რ	–	რაიონი

ca. (ლათ. Circa) – დაახლოებით

FAO (Food and Agriculture Organization of the United Nations) – გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია

USFS (US Forest Service) – აშშ-ს ტყის სამსახური

IUCN (International Union for Conservation of Nature) – ბუნების კონსერვაციის საერთაშორისო კავშირი

WWF (World Wildlife Fund) – ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდი

MCFPE (Ministerial Conference on Forest Protection in Europe) – ევროპაში ტყეთა დაცვის სამინისტროთაშორისო კონფერენცია

O₂ – ჟანგბადი

CO₂ – ნახშირორჟანგი

C – ნახშირბადი

R – იშვიათი სახეობა, ფიტოცენოზში წარმოდგენილი მხოლოდ 1 ინდივიდით

+

– იშვიათი სახეობა, ფიტოცენოზში წარმოდგენილი 2-3 ინდივიდით

++

– იშვიათი სახეობა სახეობა, ფიტოცენოზში წარმოდგენილი 4-5 ინდივიდით

●

– ენდემური სახეობა

ზოგიერთი ტერმინის განმარტება

ხეთადგომი – ტყის შემქმნელ ხე-მცენარეთა ერთობლიობა.

ტყის საბურველი – ხის შუკრული ვარჯების ერთობლიობა.

კორომი (ხევნარი) – ბუნებრივი ან ხელოვნური წარმოშობის ტყის მონაკვეთი, რომელიც მოიცავს ხეებს, ბუჩქებს და ტყის სხვა მცენარეებს. შედგება ხეთადგომისა და ტყის სხვა კომპონენტებისაგან, აქვს მოცემული ნაკვეთისათვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებები (წარმოშობა, სახეობრივი შედგენილობა, ფორმა, სიმჭიდროვე, ასაკი, ტყის ტიპი, ბონიტეტი და სხვ.), რომელთა კომპლექსით განსხვავდება ის სხვა კორომისგან.

მოზარდი – ხე-მცენარეთა ახალგაზრდა (რამდენიმე წლის) თაობა, რომელიც ტყის საბურველქვეშ „ტყის ფანჯრებში“, გაკაფულ, ან ნახანძრალ ადგილებში იზრდება და პირველი იარუსის ¼-ის სიმაღლეს აღწევს. მას უნარი შესწევს დროთა განმავლობაში შეცვალოს ძველი ხეთადგომი და შექმნას ტყის მთავარი იარუსი (ამით განსხვავდება ქვეტყისგან). მოზარდი ვითარდება თესლიდან, ან ვეგეტატიური გზით.

ტყის დეტრიტი (ტყის გამხმარი საფენი) – გამხმარი და ლპობის ფაზაში მყოფი ორგანული ნარჩენების შრე ტყეში ნიადაგის ზედაპირზე. შედგება: ჩამოცვენილი ფოთლებისგან, ნაყოფებისგან, ხის ქერქისგან და მცენარეთა სხვ. მცირე ნარჩენებისგან, ასევე ცხოველთა გამონაყოფებისგან და მათი ნარჩენებისგან, მიკროორგანიზმებისგან, სოკოებისგან. ტყეში ეს ყველაზე მჭიდროდ დასახლებული ჰორიზონტია. დეტრიტის ფუნქციებია: ჰუმუსის წარმოქმნა; ნიადაგის დაცვა მექანიკური დატკეპნისა და გადარეცხვისგან; ნიადაგის წყლისა და აერაციის რეჟიმების რეგულაცია; მცენარეთა საკვები ელემენტების დაგროვება; მრავალი მიკროორგანიზმის, უხერხემლოსა, ამფიბიისა და ქვეწარმავლების ჰაბიტატია.

ძირნაყარი – მიწაზე დაცემული ხის ღეროები, ხეებისა და ბუჩქების ჩამოცვენილი დიდი და მცირე ტოტები (გამხმარი, ხრწნის სხვადასხვა სტადიაში მყოფი). ახალი ძირნაყარი ხელს უწყობს ტყეში ხანძრის სწრაფ გავრცელებას და უხერხემლოთა გამრავლებას, მაგალითად, ქერქიჭამიების, ასევე სოკოვანი დაავადებების ჯანსაღ ხეებზე გადატანას. გახრწნილი ძირნაყარი უსაფრთხოა ცოცხალი ხეებისთვის. ის საკვები ელემენტების მნიშვნელოვანი წყაროა, რომელიც ჰუმუსში გადაედინება. ძირნაყარი ამარაგებს ფერდობებს, იცავს ნიადაგს. იგი მრავალი მიკროორგანიზმის, სოკოს, ფეხსახსრიანის, მოლუსკის, ამფიბიის, ქვეწარმავლის და წვრილი ძუძუმწოვრის დროებითი, ან მუდმივი თავშესაფარია. ზოგიერთი მცენარის თესლის გაღვივებისთვის აუცილებელია მათი განვითარება სწორედ ძირნაყარში. ძირნაყარი C-ის ხანგრძლივი რეზერვუარია, მაგალითად, მუქწიწვოვან ტყეში მასზე მთელი მარაგის 25-30% მოდის.

ზეხმელი – ზეზე მდგომი ხე, რომლის ღეროსა და წვერის დაახლოებით 90% გამხმარია, მაგრამ არ არის წაქცეული. მას არ აქვს ფოთლები და ვეგეტაციის უნარი.

ნიადაგისპირა ცოცხალი საფარი – ხავსები, ლიქენები, ბალახები და ბუჩქები.

იარუსი – მცენარეთა ორგანოების კონცენტრაციის მკვეთრად გამოხატული ჰორიზონტი. იარუსი შეიძლება შექმნას ერთმა, ორმა, ან რამდენიმე სახეობამ. ზომიერი სარტყლის ტყეებში შეიძლება იყოს 2-4 იარუსი, ტროპიკულ წვიმიან ტყეებში – 5-6.

ქვეტყე (ბუჩქების იარუსი) – ძალიან დაბალი ხეებისგან, ან/და ბუჩქებისგან შემდგარი იარუსი. ეს ხეები არასდროს იზრდებიან ტყის შემქმნელი ძირითადი ხეების სიმაღლემდე. ამით ქვეტყე განსხვავდება მოზარდისგან. ქვეტყეში, სადაც სინათლის მუდმივი დეფიციტია, მცენარეები ჩრდილისამიტანია და დაბალი ინტენსივობის ფოტოსინთეზით ხასიათდებიან.

ტყის განახლება – გაკაფულ, ნახანძრალ და ტყის სხვა დაზიანებულ ფართობზე მის საბურველქვეშ

ტყის ახალი თაობის წარმოქმნის პროცესი. განირჩევა ბუნებრივი და ხელოვნური განახლება.
ბალახოვან-ბუჩქოვანი იარუსი – შედგება ბალახებისგან და ბუჩქებისგან.

ბალახოვანი იარუსი – შედგება სხვადასხვა ბალახისგან.

ხავსის/ხავსისა და ლიქენის იარუსი – ხავსებისგან, ან ხავსებისა და ლიქენებისგან შექმნილი იარუსი მიწაზე, ან/და ქვებზე.

ტყის მიწისქვეშა იარუსი (რიზოსფერო) – მცენარეთა ფესვებთან მიმდებარე ნიადაგის ვიწრო შრე (2-5 მმ), რომელზეც უშუალოდ ვრცელდება ფესვთა გამონაყოფების და ნიადაგის მიკროორგანიზმების, სოკოების და ნიადაგის ფაუნის ზემოქმედება.

არაიარუსული მცენარეულობა – მხვიარა და მხოხავი მცენარეები (ლიანები), ეპიფიტები.

„**ტყის ფანჯარა**“ – დაბურულ ტყეში რაიმე მიზეზით (ბუნებრივად მკვდარი ხე, ნაჩხი) შექმნილი ღიობი, რომელიც მომავალში შეივსება ტყის ძირითადი ხე-მცენარეებით.

ტყისპირი – ტყესა და მომიჯნავე მცენარეულ ტიპს (მდელო, ჭაობი, ბუჩქნარი და სხვ.) შორის გარდამავალი არე (100 მ-მდე სიგანის). როგორც წესი, ტყისპირზე ხეები მთელ სიმაღლეზე შეფოთლილია (რადგან უკეთ განათებულია), აქ მეტია ბუჩქები, ლიანები და მოზარდი. ტყისპირზე ქვეტყის ზოგიერთი მცენარე აღარ გვხვდება. სამაგიეროდ, არის მომიჯნავე ეკოსისტემის ზოგიერთი სახეობა. ცხოველთა გარკვეული სახეობები მხოლოდ ტყისპირებში ცხოვრობენ.

არიდული მეჩხერი (ნათელი) ტყე – ტყის ისეთი ტიპი, სადაც ხეების სიმჭიდროვე მცირეა. ისინი ურთიერთისგან დიდი მანძილითაა დაცილებული და არ ქმნიან ტყის შეკრულ საბურველს. ამიტომ ღია და შესაბამისად, განათებული არე აქ ბევრია. ასეთ ტყეში სუბსტრატი ხის ვარჯებით მეტადაა დაჩრდილული, ვიდრე სავანაში, მაგრამ ნაკლებად, ვიდრე ჩვეულებრივ ფოთლოვან, წიწვოვან, ან შერეულ ტყეში.

ტანბრეცილი ტყე – ტყის მონაკვეთი, შემდგარი დაბალი ტანის ხეებისგან (3-7 მ) და ბუჩქებისგან, რომელთა ფერდობის მიმართულებით გამოხატულად დაბრეცილი ღეროები ფორმირდება თოვლის მასის ხანგრძლივი მექანიკური ზემოქმედებით.

ტყის ზედა საზღვარი – ხის დომინანტური სასიცოცხლო ფორმის მკვეთრი ცვლილება. ამ საზღვრის ზემოთ მასიური ღეროსა და ვარჯის განვითარება შეუძლებელი და არახელსაყრელია. ტყის ზედა საზღვარი უხეშად აღნიშნავს ზოლს, რომელიც აერთიანებს ტყის ყველაზე მაღლა განლაგებულ უბნებს მოცემულ ფერდობზე, ან ერთნაირი ექსპოზიციის რამდენიმე ფერდობზე.

ჰაბიტატი-ხე – ეს არის ცოცხალი ან მკვდარი ხე, რომელსაც მინიმუმ ერთი მიკროჰაბიტატი – ფუღურო, ნაპრალი, კოჟრი და მისთ. გააჩნია. ფუღუროს ფორმირებას დიდი დრო სჭირდება. დიდი ზომის ფუღუროები მხოლოდ ძალიან ხნოვან ხეებს (>100-150 წ) აქვთ. რაც უფრო მეტია კონკრეტულ ტყეში ასეთი ხე, მით უფრო ხელუხლებლად (ბუნებრივად) ითვლება იგი.

დომინანტი სახეობა (გაბატონებული ან პრევალირებადი სახეობა) – სახეობა, რომელიც კონკრეტულ თანასაზოგადოებაში ჭარბობს სიმრავლის (პროექციული დაფარულობის, ინდივიდთა რაოდენობის, ან მასის) მიხედვით.

მონოდომინანტური თანასაზოგადოება – თანასაზოგადოება, სადაც ერთი დომინანტი სახეობაა.

ბიდომინანტური თანასაზოგადოება – ასეთ თანასაზოგადოებაში აშკარად გამოკვეთილი ორი დომინანტია. ისინი შესაძლებელია, არათანაბარძალოვანიც იყვნენ. ამ შემთხვევაში სახეობას, რომელიც შედარებით ცოტაა, სუბდომინანტი ეწოდება.

პოლიდომინანტური თანასაზოგადოება – ორზე მეტი დომინანტის არსებობისას თანასაზოგადოებას ეწოდება პოლიდომინანტური.

ელიფიკატორი სახეობა – ეს არის დომინანტი სახეობა, რომელიც განაპირობებს ფიტოცენოზის ყველა ძირითად თავისებურებას. ელიფიკატორს ყველაზე უფრო გამოხატულად გააჩნია გა-

რემოს განმსაზღვრელი როლი. ედიფიკატორი ახდენს გარემოს ტრანსფორმაციას, ხოლო სხვა სახეობები ამასთან უნდა ადაპტირდნენ.

ტყის ტიპი – ტყის მონაკვეთი (ან მათი ერთობლიობა), რომელიც ხასიათდება ერთნაირი ეკოლოგიური პირობებით, ხე-მცენარეთა სახეობების ერთი და იგივე შემადგენლობით, ერთნაირი იარუსიანობით და ფაუნით. ტყის ტიპის სახელწოდება წარმოდგება დომინანტის და დამახასიათებელი სახეობის მიხედვით.

ეპიფიტი – ისეთი მცენარე, რომელიც მხოლოდ სხვა მცენარეზე სახლობს.

ეპიქსილური ორგანიზმი – ისეთი ორგანიზმი, რომლის ჰაბიტატი ხის ქერქია.

ენდემი – სახეობა (ან სხვა ტაქსონი) ენდემურია, თუკი ის გავრცელებულია დედამიწის მხოლოდ ერთ კონკრეტულ ნაწილში და სხვაგან არსად.

ნიადაგის pH – ნიადაგის ხსნარში წყალბადის იონების (H_2^+) კონცენტრაციის ღონე. რაც ნაკლებია ნიადაგის pH, მით მეტია მისი მჟავიანობა და პირიქით. რიზოსფეროში pH 5.5-ის ფარგლებშია, ხოლო უფრო ღრმა ჰორიზონტებში – 4.8-ის.

ელაფური ფაქტორები – ნიადაგის პირობები, რომლებიც ზემოქმედებენ ორგანიზმთა ცხოველმოქმედებაზე. ეს არის: ნიადაგის ნაყოფიერება, მისი სინოტივე, pH, მინერალურ ნივთიერებათა შემცველობა, ფიზიკური თვისებები.

რიზოსფერო – მცენარეთა ფესვებთან მიმდებარე ნიადაგის ვიწრო შრე (2-5 მმ), რომელზეც უშუალოდ ვრცელდება ფესვთა გამონაყოფების და ნიადაგის მიკროორგანიზმების ზემოქმედება. ნიადაგი, რომელიც არ არის რიზოსფეროს ნაწილი იწოდება „ძირითად ნიადაგად“.

ეკოტოპი – ფიზიკური სამყაროს კონკრეტული კომპლექსური ნაწილი (სუბსტრატი, ნიადაგი, წყალი, ატმოსფერო), სადაც გავრცელებულია ცოცხალი ორგანიზმები/თანასაზოგადოებები.

ცენოტიპი – მცენარეულ თანასაზოგადოებაში განსაზღვრული ფუნქციური ადგილის მქონე სახეობათა ერთობლიობა.

სინუზია – მცენარეული საფარის სივრცულად და ეკოლოგიურად გამიჯნული ნაწილი, შექმნილი ერთი სახეობის ინდივიდების ერთობლიობისგან (პირველი რიგის სინუზია), ან მსგავსი სახეობებისგან (მეორე და მესამე რიგის სინუზიები), ანდა ეკოლოგიურად მსგავსი სასიცოცხლო ფორმებისგან (ეკობიომორფებისგან). ფიტოცენოზის ძირითადი სისტემური ერთეულია.

თავი I. საქართველოს ბუნებრივი პირობების მოკლე დახასიათება

1.1 მდებარეობა

საქართველო სამხრეთ კავკასიაში, ევროპისა და აზიის, კონკრეტულად, აღმოსავლეთ ევროპისა და წინა აზიის შესაყარზე მდებარეობს. მისი უკიდურესი დასავლეთი და აღმოსავლეთი საზღვრები გადის ჩ. გ. 41°07' და 43°35'-ზე, ხოლო უკიდურესი სამხრეთი და ჩრდილოეთი საზღვრები – ა. გ. 40°04' და 46°44'-ზე).

1.2 ტერიტორია და საზღვრები

საქართველოს ფართობი 69700 კმ²-ია. მას ესაზღვრება: ჩრდილოეთით – რუსეთის ფედერაცია (საზღვარი ოროგრაფიულ ბარიერზე – დიდი კავკასიონის კლდოვან თხემზე გადის); აღმოსავლეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით – აზერბაიჯანი (აქ საზღვარი დიდი კავკასიონის სამხრეთ კალთაზე ეშვება და მდ. ალაზნის ქვედაწელს გასდევს. აღმოსავლეთის საზღვრიდან კასპიის ზღვამდე 300 კმ-მდეა); სამხრეთით – სომხეთი და სამხრეთ-დასავლეთით – თურქეთი (აქ საზღვარი თითქმის მთლიანად მთიან რელიეფზე – ლოქისა და ბამბაკის ქედებზე გადის); დასავლეთიდან კი მას შავი ზღვა აკრავს. ქვეყნის საზღვრების საერთო სიგრძე 1970 კმ-ია (საზღვაოსი – 315 კმ, სახმელეთოსი – 1655 კმ) (მარუაშვილი, 1969; გობეჯიშვილი, 2011).

ხშირად, ჩვენში და უცხოეთშიც, დასავლეთ საქართველოს „კოლხეთს“ უწოდებენ (ეს სახელწოდება, როგორც ცნობილია, კაცობრიობის ცნობიერებაში ბერძნული მითოლოგიიდან დამკვიდრდა). კოლხეთის საზღვარი ჩრდილოეთით კავკასიონის წყალგამყოფს მისდევს, შემდეგ ლიხის ქედით აჭარა-იმერეთისა და შავშეთის ქედებზე გადადის და სამხრეთით შავი ზღვის პირას, მდ. ჭოროხის შესართავთან მთავრდება. ზოგჯერ „კოლხეთი“ გაგებულია უფრო ვიწროდ – ამაღ მიიჩნევენ მხოლოდ კოლხეთის დაბლობს.

1.3 რელიეფი

საქართველოს გეოგრაფიის პირველი მეტ-ნაკლებად სრულყოფილი აღწერა, სხვადასხვა კუთხის ზნე-ჩვეულებებთან, ლანდშაფტებთან, ისტორიასთან, ფლორასთან და ფაუნასთან ერთად, დაწყებული უძველესი დროიდან XVIII ს პირველ ნახევრამდე ჯერ კიდევ 1745 წ მოგვცა ცნობილმა ქართველმა გეოგრაფმა, კარტოგრაფმა, ისტორიკოს-ეთნოგრაფმა და მოგზაურმა ვახუშტი ბატონიშვილმა (1696-1757 წწ) ცნობილ ნაშრომში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, რომელიც ამ ნაშრომის თავების ერთობლიობის პირობითი სახელწოდებაა (ვახუშტი ბატონიშვილი, 1941). მრავალი ავტორი ხაზს უსვამს, რომ საქართველოს რელიეფი მრავალფეროვანი და რთული მორფოლოგიისაა (ჯავახიშვილი, 1926; მარუაშვილი, 1969, 1975; გობეჯიშვილი, 2011; Tielidze, 2017). მრავალფეროვნება სიმაღლითი ზონალობიდან და ეგზოდინამიკური თავისებურებებიდან გამომდინარეობს, ხოლო სირთულე – გოტექტონიკური ბუნებიდან. გამოიყოფა სამი მორფოსტრუქტურული ერთეული: 1) დიდი კავკასიონის ქედის საშუალო და მაღალმთიანი რელიეფის ზონა; 2) მთათაშორისი ბარი და 3) სამხრეთ საქართველოს მთიანეთი, ანუ მცირე კავკასიონის საქართველოს ნაწილი. რელიეფი შედგება მაღალი (> 4000 მ ზღ. დ.), საშუალო და დაბალი მთების, ზეგნებისა და ვაკეებისგან. მთავარ ოროგრაფიულ ერთეულებს გააჩნია მეტ-ნაკლები სიდიდის განშტოებები. ვერტიკალურად ქვეყნის ტერიტორია – 1.5-2.3 მ-დან (ტერიტორია ფოთისა და ყულევის ჭაობებს შორის) 5203 მ-მდე (მწვ. მხარა დიდ კავკასიონზე) ვრცე-

ლდება. დიდი კავკასიონის რამდენიმე მწვერვალი 5000 მ-ზე მეტი სიმაღლისაა, დაფარულია მუდმივი თოვლითა და მყინვარებით. დიდი კავკასიონი მორფოლოგიური და მორფომეტრიული ნიშნებით სამ მონაკვეთად იყოფა: დასავლეთი კავკასიონი (მთა ავადჰარადან დალარის უღ.-მდე), ცენტრალური კავკასიონი (დალარის უღ.-დან ჯვრის უღ.-მდე) და აღმოსავლეთი კავკასიონი (ჯვრის უღ.-დან მთა ტინოვროსომდე). საქართველოს სამხრეთ მთიანეთის (ქვეყნის ფარგლებში მოქცეული მცირე კავკასიონის ნაწილი) მაქსიმალური სიმაღლე 2850 მ-მდეა. საქართველოს ტერიტორიის 81.3%-ზე მეტი ზღ. დ-დან 400 მ-ზე მაღლა მდებარეობს, ხოლო დაახლოებით 55% – 1000 მ-ზე მაღლა. დიდი კავკასიონის სამხრეთი კალთა მდინარეთა ხეობებით დანაწევრებულია გვერდით ქედებად. მთათაშორის სივრცეებში მდებარეობს ვაკეები (კოლხეთის, შიდა ქართლისა და ქვემო ქართლის), პლატოები, ქედები და ზეგნები. სამკუთხედის ფორმის კოლხეთის ბარის ფართობი 13000 კმ²-ია. ის შავი ზღვიდანვე იწყება და აღმოსავლეთით იმერეთის მაღლობს ებჯინება. იმერეთის მაღლობის უმაღლესი ნაწილია ლიხის ქედი. მას აღმოსავლეთიდან ესაზღვრება შიდა ქართლის ბარი, რომლის შუა და ყველაზე დაბალ ნაწილში მდებარეობს შიდა ქართლის ვაკე. მისი ყველაზე დაბალი ნაწილის სიმაღლე ზღ. დ-დან 750 მ-ია. ლიხის ქედი დიდ კავკასიონს მცირე კავკასიონის მესხეთის ქედთან აკავშირებს. ამასთან, ლიხის ქედი აღმოსავლეთ საქართველოსა და დასავლეთ საქართველოს ბუნებრივი საზღვარი და კლიმატის გამყოფიცაა.

1.4 კლიმატი

საქართველოს კლიმატზე, ისევე როგორც ქვეყნის გეოგრაფიაზე, ყველაზე ადრეული ცნობები ჯერ კიდევ ანტიკური პერიოდიდან მოიპოვება. ჰეროდოტე და ჰიპოკრატე (V ს ძვ. წ.) კოლხეთის ძლიერ ნოტიო და ცხელი ჰავის გაუსაძლის ხასიათზე მიუთითებდნენ და აღნიშნავდნენ, რომ ქვეყანაში უხვადაა ჭაობები და დამახასიათებელია ნალექების დიდი რაოდენობა (იგულისხმება დასავლეთ საქართველო – კოლხეთი). სტრაბონის (I ს ძვ. წ.) თქმით, ქართლსა და ჰერეთში ჰავა მშრალია, კახეთში კი რბილი და საცხოვრებლად საკმაოდ სასიამოვნო. პროკოფი კესარიელი (VI ს ჩვ. წ.) ჯავახეთის ჰავას ახასიათებს, როგორც ხანგრძლივი სუსხიანი ზამთრისა და მოკლე თბილი ზაფხულის მქონეს (ციტ. ელიზბარაშვილი, 2017 მიხ.).

საქართველოს კლიმატის კვლევის ხანგრძლივი ისტორია, მისი თავისებურებები და კავშირი სხვადასხვა ფაქტორთან მრავალ ნაშრომშია განხილული (ვახუშტი ბატონიშვილი, 1941; კორძახია, 1961; კორძახია, ჯავახიშვილი, 1971; საქართველოს ჰავა, 2003; ელიზბარაშვილი, 2007, 2017 და სხვ.). საზგასმულია საქართველოს ჰავის მრავალფეროვნება და აღნიშნულია, რომ შედარებით მცირე ტერიტორიაზე წარმოდგენილია კლიმატის თითქმის ყველა ზონა, დაწყებული ნოტიო სუბტროპიკულიდან, დამთავრებული მუდმივი თოვლისა და მყინვარების ზონით. აღნიშნულია ამის მიზეზებიც: 1) საქართველოს მდებარეობა სუბტროპიკული და ზომიერი კლიმატური სარტყლების მიჯნაზე (ეს საზღვარი დიდი კავკასიონის მთავარ წყალგამყოფ ქედს მიუყვება), რაც ხელს უწყობს სუბტროპიკული კლიმატური სარტყლის ჰავის თითქმის ყველა ტიპის ჩამოყალიბებას; 2) ბუნებრივი ბარიერები – დიდი კავკასიონის ქედი და მცირე კავკასიონი (იცავენ ჩრდილოეთიდან ცივი და სამხრეთიდან ცხელი და მშრალი ჰაერის მასების შემოჭრისგან); 3) რიგი სუბგანედური და განედური მიმართულების ქედებისა (გაგრის, ბზიფის, კოდორის, ეგრისის, რაჭის, ლიხის, აჭარა-იმერეთის, არსიანის და სხვ.), რომლებიც ელობებიან შავი ზღვიდან მონაბერ ჰაერის ტენიან მასებს და ხელს უწყობენ მის კონდენსაციას ზღვისკენ მიმართულ ფერდობებზე და 4) შავი ზღვის გავლენა, რომელიც არა მხოლოდ წარმოქმნის დიდი რაოდენობით ტენს, არამედ ანიველირებს ტემპერატურის მერყეობასაც. სხვადასხვა სიმაღლისა და მიმართულების ქედები ზოგან ჰავის ლოკალურ განსხვავებებსაც ქმნიან.

შავი ზღვის სანაპიროს სამხრეთი ნაწილის (აჭარა, გურია) ჰავის ტიპი ქარბად ნოტიო სუბტროპიკულია. ზღვისპირეთის ჩრდილოეთი ნაწილის (აფხაზეთი) ჰავა ნოტიო სუბტროპიკულია ისევე, როგორც დასავლეთ საქართველოს შიდა ვაკე ნაწილისა. კოლხეთის მთებში (აფხაზეთის მთები, სვანეთი, მთიანი აჭარა-გურია) ტენიანი ჰავაა. იმერეთის მაღლობზე შენარჩუნებულია, თუმცა ნაკლებად გამოხატულია ნოტიო სუბტროპიკული ჰავის ნიშნები. შიდა ქართლის ბარში და ქვემო ქართლის ბარში ჰავის ტიპი მშრალი სუბტროპიკულია. კახეთის ბარში (ალაზნის ველი და კავკასიონის მიმდებარე მთისწინები) ჰავა ზომიერად ნოტიო სუბტროპიკულია. ივრის ზეგანზე და მესხეთში გაბატონებულია მშრალი კონტინენტური ჰავა. ჯავახეთის პლატოზე ჰავა კონტინენტურია.

საქართველოს მთელი ტერიტორია, აჭარის და დიდი კავკასიონის ცალკეული ნაწილების გარდა, მზით ხანგრძლივად განათებულია. მისი საშუალო მაჩვენებელი აღემატება 2000 სთ/წ. მაქსიმუმი აღინიშნება ზაფხულში და ყველაზე დიდ სიდიდეს (348 სთ-მდე) გარდაბნის რ-ში აღწევს. მზის ნათების ხანგრძლივობის მაღალი მნიშვნელობები დამახასიათებელია შავი ზღვის სანაპიროს (ფოთი-სოხუმის მონაკვეთი), ქვემო ქართლის, კახეთის (ალაზნის ველი, შირაქი) და სამხრეთ საქართველოს მთიანეთისთვის (ელიზბარაშვილი, 2017).

ჰაერის მასების ცირკულაციის ტრაექტორიაზე მნიშვნელოვან გავლენას ქედების კონფიგურაცია და, უპირველეს ყოვლისა, დიდი კავკასიონი ახდენს. ამიტომ გაბატონებულია დასავლეთის და აღმოსავლეთის ქარები. შავი ზღვიდან ჰაერის მასების შემოჭრა იწვევს ტემპერატურის დაცემას, ძლიერ ქარსა და ელქექს. ამ დროს დასავლეთ საქართველოში ნალექების რაოდენობამ შეიძლება შეადგინოს 60-430 მმ, ხოლო აღმოსავლეთში – 2-160 მმ. კასპიის ზღვის მხრიდან ჰაერის მასების შემოჭრისას აღმოსავლეთ საქართველოში იკლებს ტემპერატურა, წარმოიქმნება დრუბლები, იმატებს ნალექი, მათ შორის, ჰორიზონტალური (ნისლი). ამ დროს დასავლეთ საქართველოში ნარჩუნდება მშრალი, ნათელი და თბილი ამინდი. ჰაერის მასების ორმხრივი შემოჭრა (დასავლეთიდან და აღმოსავლეთიდან) ძალზე იშვიათი მოვლენაა. ამ დროს დასავლეთ საქართველოში 130 მმ-მდე ნალექი აღინიშნება, აღმოსავლეთში – 80 მმ-მდე (ჯავახიშვილი, 1981; ელიზბარაშვილი, 2017).

შავი ზღვიდან აღმოსავლეთისკენ ნალექების წლიური რაოდენობის შემცირებას თან სდევს ზამთრის საშუალო ტემპერატურის კლება (4°C-დან კოლხეთის დაბლობზე 0-2°C-მდე აღმოსავლეთ საქართველოს დაბლობ რეგიონებში) და ზაფხულის ტემპერატურის მატება (13-15°C-დან კოლხეთის დაბლობზე 22-24°C-მდე ივრის ზეგანზე), ანუ დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ იზრდება კლიმატის კონტინენტურობა. ვინაიდან საქართველოს რელიეფი მთიანია, კლიმატი, კონკრეტულად კი ტემპერატურა, ჰიფსომეტრულად მნიშვნელოვნად ცვალებადობს. მაღალმთაში ბევრად დაბალია საშუალო ტემპერატურა: 3.4°C (ბახმარო, 2050 მ ზღ. დ.), – 2-3°C (მამისონის უღ., 2854 მ ზღ. დ.), 4.9°C (ყაზბეგი, 1800 მ ზღ. დ.) და – 5.1°C (ყაზბეგი, 3656 მ ზღ. დ.). საქართველოს ტერიტორიაზე ტემპერატურის აბსოლუტური მინიმუმია – 42°C (ყაზბეგი, 3656 მ ზღ. დ.). ძალიან დაბალი ტემპერატურები სხვა მაღალმთიან რეგიონებშიც აღინიშნება: – 41°C (ჯავახეთი), – 40°C (რაჭა, შაორის ქვაბულში სოფ. ხერგა), – 38°C (ჯვრის უღ.), – 36°C (ბაკურიანი). ზღვისპირა რეგიონებში მინიმალური ტემპერატურა – 10°C-ზე დაბლა არ ეშვება. ტემპერატურის აბსოლუტური მაქსიმუმი (43°C) ჭარნალში (აჭარა, ხელვაჩაურის რ-ნი), ლათაში (აფხაზეთი) და ზესტაფონშია დაფიქსირებული. მაღალი მაქსიმუმები აღინიშნულია: ქვემო ქართლის ბარში და ალაზნის ველზე (42°C); რაჭაში (41°C); ქუთაისში (40.4°C), ივრის ზეგანზე (40°C), თბილისში (39.8°C). მთა-გორიანი რელიეფი განაპირობებს ექსპოზიციურ განსხვავებებსაც: მაგალითად, სამხრეთ ფერდობებზე, გაზაფხული 2-3 კვირით ადრე შეიძლება დაიწყოს ჩრდილოეთთან შედარებით.


დასავლეთ საქართველო ატმოსფერული ნალექების სიუხვით გამოირჩევა, განსაკუთრებით აჭარის ზღვისპირეთი: 3145 მმ (სარფში) და 2718 მმ (ბათუმში). მაქსიმუმი კი ფიქსირდება ჩაქვის ქედის

ზღვისკენ მიქცეულ ფერდობზე – მთა მტირალაზე (1200 მ ზღ. დ.), სადაც წელიწადში საშუალოდ 4500 მმ-ია, ხოლო ცალკეულ წლებში მეტიც. მაგალითად, 1897 წ აქ 5000 მმ-ზე მეტი ნალექი მოვიდა. ეს ადგილი „ნალექების პოლუსია“. აჭარის მოსაზღვრე გურიის ზღვისპირა ზოლში ნალექები 2000-2400 მმ-მდე იკლებს, ხოლო აფხაზეთში 1600 მმ-ს არ აღემატება. კოლხეთის ბარის შიდა ნაწილებში წლიური ნალექები 1200-1400 მმ-ია. ერთ დღე-ღამეში მოსული ნალექების მაქსიმალური რაოდენობა კი გურიის დაბლობზე ზღ. დ-დან 30 მ-ზე მდებარე სოფ. ჯურუყვეთთან დაფიქსირდა (352 მმ). ნალექების განაწილებაში გამოსატულია რელიეფის ფორმის, ხეობის განფენილობის და ფერდობის ექსპოზიციის გავლენა. მაგალითად, კოდორის, ენგურის, ცხენისწყლის ხეობების იმ მონაკვეთებში, რომელთაც განედური მიმართულება აქვთ, ნალექები 1000-1200 მმ-ია. სამაგიეროდ, ბზიფის, კოდორის, ეგრისისა და რაჭის ქედების ზღვისკენ ექსპონირებულ ფერდობებზე ნალექები განსაკუთრებით უხვია (2800 მმ-მდე). აღმოსავლეთ საქართველო ნალექების მცირე რაოდენობით ხასიათდება: 650-1080 მმ – ალაზნის ველზე და ლაგოდეხის რ-ში, 500-800 მმ – შიდა ქართლის ბარში, 400-600 მმ ქვემო ქართლის ვაკეზე. განსაკუთრებით მცირეა ნალექები (400-500 მმ) ივრის ზეგანზე, ხოლო მისი სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი (ელდარის ველი) კი საქართველოს „სიმშრალის პოლუსია“ (375 მმ). კავკასიონის საშუალო მთიანეთში ნალექები 1000-1200 მმ-მდე იზრდება, ხოლო მისივე თხემურ ნაწილში – 2000 მ-მდე. მცირე ნალექებია დამახასიათებელი სამხრეთ საქართველოსთვის (500-600 მმ – ახალქალაქის ზეგანზე და მდ. ხრამის ზემო წელში; 500-700 – მესხეთში). აქ ნალექების ყველაზე დიდი რაოდენობა (1200 მმ) თრიალეთის ქედის დასავლეთ ნაწილში აღინიშნება. საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მთებში სიმაღლის მატების კვალობაზე ნალექები ყველგან არ იზრდება. პირიქით, ზოგან (ჯავახეთის პლატო, სვანეთი და სხვ.) მცირდება კიდეც. კავკასიონის ჩრდილოეთი ფერდობები გამოირჩევა კონტინენტურობით და ზომიერი დატენიანებით. დასავლეთ საქართველოში მაქსიმალური ნალექები ზღ. დ-დან 300-500 მ-დან 3500 მ-ის ფარგლებში აღინიშნება, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში – ზღ.დ-დან 1200-3500 მ. რთული ოროგრაფიისა და გაბატონებული ატმოსფერული ცირკულაციური პროცესების გამო, დასავლეთ საქართველოში ნალექების მაქსიმუმი ზამთარში ან შემოდგომაზეა, მინიმუმი – გაზაფხულზე ან ზაფხულში; აღმოსავლეთ საქართველოში მაქსიმალური ნალექები ზაფხულის დასაწყისშია, მინიმუმი – ზამთარში.

დასავლეთ საქართველოს მთის ტყეების ზონაში საშუალო წლიური ტემპერატურა 11-12°C არ აღემატება, ნალექები 2000 მმ აჭარბებს. აღმოსავლეთ საქართველოს მთებში კი საშუალო ტემპერატურა 10°C უდრის, ნალექები 1000-1500 მმ აღწევს. ზამთრის მინიმუმი – 15°C-ია, დასავლეთ ნაწილში – 20-25°C. მთის ტყეების ზემო საზღვარზე განსხვავება ქვეყნის დასავლეთსა და აღმოსავლეთ ნაწილებს შორის მკვეთრი აღარაა. მაღალი მთები კი უფრო მკაცრი კლიმატით ხასიათდება, სუბალპურ და ალპურ სარტყლებში ნალექები მეტია დასავლეთში (ქლუხორის უღ. – 2114 მმ), ვიდრე აღმოსავლეთში (გუდაურში – 1477 მმ, კობში 1190 მმ). ამითაცაა გამოწვეული თოვლის მაღალი ხაზი დიდი კავკასიონის აღმოსავლეთ ნაწილში. დასავლეთ კავკასიონთან შედარებით, ის ზოგან 1000 მ-ით უფრო მაღლა გადის.

ყურადღება უნდა გამახვილდეს შემდეგ გარემოებაზე: აჭარა-გურიაში, ისევე როგორც საერთოდ კოლხეთში, ქვეტყის ნახევრად გართხმული ბუჩქებისა და კოლხეთს გარეთ სუბალპური ტანბრეცილი ტყის მერქნიანი მცენარეებისთვის თოვლის საკმარის და ხანგრძლივ საფარს საარსებოდ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. თოვლის საფარი იცავს ამ ხიონოფიტ მცენარეებს წლის ცივ პერიოდში გაყინვისა და ე. წ. ზამთრის გამოშრობისგან, ხოლო ადრეულ გაზაფხულზე თოვლის სწრაფი დნობის პირობებში – ფოტოინჰიბიციისგან (Larcher, 2003; Körner, 2021).

სურ. 1-ზე საქართველოს სხვადასხვა გეოგრაფიული წერტილისთვის მოცემული კლიმადი-გრამები ასახავს კლიმატის საკმაოდ დიდ მრავალფეროვნებას შედარებით მცირე ტერიტორიაზე.



სურ. 1. საქართველოს კლიმატის მრავალფეროვნება

1.5 ნიადაგები

დიდი ჰიფსომეტრული დიაპაზონი და მრავალფეროვანი კლიმატური პირობები განაპირობებენ საქართველოში ნიადაგის მრავალი ტიპის არსებობას. საქართველოს ნიადაგების კლასიფიკაციის სქემაში 3 ნიადაგური ოლქი (დასავლეთის, აღმოსავლეთის და სამხრეთის), 18 ტიპი, 45 ქვეტიპი და უფრო მეტი სახე და სახესხვაობაა. დასავლეთ საქართველოს ნიადაგების ოლქი განვრცობილია შავი ზღვის სანაპიროდან ლიხის ქედამდე. მასში გამოიყოფა: დაბლობის ჭაობიანი (კოლხეთის დაბლობის დასავლეთის და დაბლობულ ნაწილში ტორფიანი და ლამიანი ნიადაგები) და ეწერი (აღმოსავლეთისკენ შემალღებულ ნაწილში), მთისწინეთის წითელ – და ყვითელმიწა (გორაკ-ბორცვიან რელიეფზე), მთა-ტყის (დიდი ზონა საშუალომთიან სარტყელში, სადაც ძირითადი ტიპი ყომრალია) და მთა-მდელოს (სუბალპური და ალპური სარტყლებში) ნიადაგების ზონები. აღმოსავლეთ საქართველოს ნიადაგების ოლქი მოიცავს ვაკეებს, მთისწინებს და მთებს დაწყებული ლიხის ქედიდან ქვეყნის აღმოსავლეთ საზღვრამდე. წაბლა და შავმიწა ნიადაგებს (ამ უკანასკნელთათვის დამახასიათებელია სქელი ჰუმუსოვანი ჰორიზონტი) უკავიათ სტეპების (ველების) ზონა (დიდი და პატარა შირაქი), მურა ნიადაგებს ელდარის ველი და ივრის ზეგანის სამხრეთი ნაწილი. ტყე-ველისა და ტყის ნიადაგების ზონა მოიცავს ქართლისა და ალაზნის ვაკეებს, აგრეთვე ივრის ზეგანის ნაწილს. მთა-ტყის ნიადაგები ფართოდ გავრცელებულია კავკასიონის, თრიალეთისა და ლოქის ქედებზე. სამხრეთ საქართველოს ნიადაგების ოლქი მოიცავს ჯავახეთის, წალკის, გომარეთისა და დმანისის ზეგნებს, ვაკეებსა და ქედებს. აქ გავრცელებულია მთის შავმიწები, მდელოს შავმიწისებრი ნიადაგები, ხოლო მთა-ტყის ზონაში – ყომრალი ნიადაგები. ნიადაგწარმოქმნის პროცესზე და ტიპობრივ მრავალფეროვნებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ანთროპოგენური ფაქტორი მელიორაციული და აგრო-ტექნიკური ღონისძიებების სახით (საბაშვილი, 1965; ურუშაძე, 1997).

თავი 2. საქართველოს ტყის მცენარეულობის მოკლე ისტორია

საქართველოს ტყის მცენარეულობის ისტორია მთლიანად ქვეყნის ფლორისა და მცენარეულობის ისტორიის კონტექსტში განიხილება და, მიუხედავად ინტენსიური პალეობოტანიკური კვლევებისა, სათანადოდ შესწავლილი ჯერ კიდევ არ არის (Гроссгейм, 1948; Колаковский, 1974; შატილოვა და სხვ., 2012; Nakhutsrishvili, 2013).

პალეოზოური ერა. საქართველოს ტერიტორიაზე ყველაზე ადრეული ნამარხი ფლორა პალეოზოური ერით – ქვედა და შუა ქვანახშირით თარიღდება. ესენია 7 ოჯახის 13 სახეობა, მათ შორის, *Lepidodendron dichotomum* (Lepidodendraceae) – 40 მ-მდე სიმაღლის და 2 მ-მდე ღეროს დიამეტრის მქონე ხე, *Stigmaria ficoides* (Sigillariaceae) – რიზოფორების სისტემით აღჭურვილი ერთქტული ფორმის მაღალი სწორღეროიანი ხე, *Asterocalamites scrobiculatus* (Asterocalamitaceae), *Mesocalamites ramifer* (Calamitaceae), *Asterotheca miltonii* (Asterothecaceae) და სხვ. მათი ნაშთები მდ. ხრამის ხეობაშია აღმოჩენილი. იმავე პერიოდს ეკუთვნის *Cordaites sp.* (Cordaitaceae). მცენარეთა ამ ჯგუფს ჰქონდა მძლავრი, სწორი ღერო, რომლის სტრუქტურა თანამედროვე წიწვოვნების მსგავსია. პალეოზოური ერითვე თარიღდება თესლოვანი გვიმრებიც (Cordaitaceae) (შატილოვა და სხვ., 2012).

მეზოზოური ერა. ქვედა იურულ პერიოდში საქართველოს თითქმის მთელი ტერიტორია, გარდა ხრამის, ლოქისა და ძირულას მასივებისა, ზღვით იყო დაფარული. კლიმატი ზომიერად თბილი იყო (წყლის ტემპერატურა 23-24°C იყო), თუმცა მოგვიანებით სერიოზულად აცივდა (7-15°C). ამ პერიოდში განსაკუთრებით ფართო განვითარება შვიტებმა და გვიმრებმა ჰპოვეს. დანალექებში *Calamitales*-ებიდან ერთადერთი სახეობა – *Neocalamites hoerensis* არის აღმოჩენილი. ქვედა იურულ ჭარბტენიან ჰაბიტატებში, ისევე, როგორც თანამედროვე ეპოქაში, ფართოდ იყო გავრცელებული შვიტების (*Equisetum*) სახეობები (Сванидзе, 1972). უკვე იმ დროს საქართველოს ტერიტორიაზე შეინიშნება მცენარეულობის დიფერენციაცია: განვითარებული იყო რამდენიმე მცენარეული დაჯგუფება (მანგროს, ჭაობიანი დაბლობების, მშრალი დაბლობების, მთისწინეთისა და ღრმა ხეობებისა და კანიონების), რომელთაც სხვადასხვა რელიეფი ჰქონდათ ათვისებული.

მომდევნო, შუა იურულ პერიოდში საქართველოს მთელი ტერიტორია წყალქვეშ იყო მოქცეული. იურულის ბოლოს კი ჯერ აღმოსავლეთი ნაწილი, შემდეგ კი დასავლეთიც თანდათან წყალსუბოთ მოექცა. დამახასიათებელი იყო მტკნარწყლიანი წყალსატევები და ტორფის აკუმულაციის ინტენსიური პროცესი (Кахадзе, 1947). ამ პერიოდის ფლორა ბევრად მდიდარი იყო, ვიდრე ქვედა იურული. კლიმატი სავარაუდოდ, ტროპიკული უნდა ყოფილიყო. ტყეებში დომინირებდნენ Cycadales და Ginkgoales. Ginkgo-ს გვარი 2 სახეობით (*G. mziae*, *G. huttonii*) იყო წარმოდგენილი. საკმაოდ დიდ ჯგუფს შეადგენდა ყვავილოვან მცენარეთა წინაპრები – Bennettitales. აღმოჩენილია სხვა მცენარეთა მიკრონაშთებიც (Сванидзе, 1972; შატილოვა და სხვ., 2012).

ზედა იურულში საქართველო, გარდა ამჟამინდელი სვანეთის ტერიტორიისა და ქვეყნის სამხრეთისა, ისევ წყლით იყო დაფარული. იურულის ბოლოს კავკასიის მთათაშუა რეგიონი ხმელეთად იქცა, რომელსაც უმთავრესად, დაბალი რელიეფი ჰქონდა. ამ პერიოდში გაიზარდა *Araucariaceae*-ს და *Taxodiaceae*-ს ოჯახების როლი. საქართველოს ტერიტორია დაფარული იყო *Araucaria*-ს და *Pagiophyllum*-ის ტყეებით, რაც იმდროინდელი კლიმატის დაბალ ტენიანობაზე მეტყველებს. მიუხედავად ამისა, მცენარეულობაში გაზრდილი იყო გვიმრების როლი. ისინი ძირითადად, *Cladophlebis*-ის (Osmundaceae) გვარის წარმომადგენლები იყვნენ და *Taxodiaceae*-ების სახეობებთან ერთად იზრდებოდნენ ტენიან პირობებში. ზედა იურულ ნამარხ ფლორაში დაფიქსირდა *Angiopteris iberica* (Marattiaceae). აღსანიშნავია, რომ ეს არქაული გვიმრები ჩრდილოეთ ჰემისფეროს ფლორაში შუა იურული პერიოდიდან უკვე გამქრალი იყო. კავკასიის გვიანიურული ფლორა ხასიათდებოდა

Equisetoides-ების, გვიმრების, Ginkgoales-ების ფართო წარმომადგენლობით, Czekanowskia-ს არარსებობით, Cycadales-ების და Bennettitales-ების დომინირებით, აგრეთვე Pachypteris-ების, Sagenopteris-ების და Pagiophyllum-ების სიმრავლით.

ზედა ცარცულ პერიოდში ტყეების მთავარ კომპონენტებად იქცნენ: *Sequoia*, *Comptonia*, *Platanus*, *Fagus*, *Lauracea* გვარების წარმომადგენლები (მატილოვა და სხვ., 2012).

ზოგადად, მეზოზოურ ფლორაში გამოიყოფა ორი ჯგუფი: 1) ტაქსონები, რომელთა გაბატონების პერიოდი შემოიფარგლება იურულით და მათგან მხოლოდ ზოგიერთმა განაგრძო არსებობა მომდევნო ცარცულში. ამის შემდეგ, მეზოზოური მცენარეები თითქმის მთლიანად გადაშენდნენ, თუმცა ერთეული ტაქსონები დღესაც არსებობენ, მაგ., *Equisetum*, *Osmunda*, *Araucaria*, *Sequoia*, *Ginkgo*; 2) მცენარეები, რომელთაც მეზოზოურში ეკავათ დაქვემდებარებული მდგომარეობა, მაგრამ აღმოჩნდნენ პროგრესულები და კაინოზოურ ერაში დაიწყო მათი აყვავების ხანა. ზოგიერთი მათგანი კოლხეთის რეფუგიუმში დღესაც არსებობს და განსაზღვრავს მისი ფლორის რელიქტურ ხასიათს (მატილოვა და სხვ., 2012).

კაინოზოური ერა. მესამეული პერიოდის დასაწყისში (პალეოცენში) და მომდევნო ეპოქაში (ეოცენი) კავკასია იყო ტეთისის ზღვის ნაწილი. მრავალრიცხოვანმა კუნძულებმა, რომლებიც ტეთისის ზღვას ცალკეულ აუზებად ყოფდნენ, წარმოქმნეს ერთი დიდი გრძელი კუნძული. შემდგომში ის კავკასიონის მთავარ ქედად ჩამოყალიბდა. ამ დროს გაბატონებული მდგომარეობა (66%) უკვე ფარულთესლოვნებს (*Myricaceae*, *Juglandaceae*, *Fagaceae*) ეკავათ. სხვებთან ერთად, ისინი მარადმწვანე წიფლისებრებით იყვნენ წარმოდგენილნი. შიშველთესლოვანთა რაოდენობა ფლორის მხოლოდ 25%-ს შეადგენდა, სპოროვნებისა – 9%. სწორედ ეოცენში არსებობდა მცენარეთა ჯგუფი, რომელმაც სათავე დაუდო თანამედროვე ფლორის ჩამოყალიბებას. იმავდროულად, შეინიშნება ბორეალურ, სიცივისადმი რეზისტენტულ მცენარეთა მიგრაცია, რომელიც უფრო ადრე (ცარცულ პერიოდში) დაიწყო და განახლდა ეოცენის ბოლოს. ეოცენის დასაწყისში საქართველოში მცენარეულობის გაბატონებული ტიპი უკვე იყო ტყე. ჰიფსომეტრულად ის ასე ნაწილდებოდა: 1) ტროპიკული (ან სუბტროპიკული) ფოთოლმცვენი ტყე (*Celtis sp.*, *Ailanthus*, *Cedrela*, *Meliosma*, *Ziziphus*) სკლეროფილური ფორმაციების (*Myrica*, *Echitonum*) ალაგ-ალაგ ჩართვით შესაბამის რელიეფზე და მეზოკლიმატის პირობებში; 2) მარადმწვანე წვიმიანი ტყე (*Podocarpus*, *Engelhardia*, *Dryophyllum*, *Castanopsis*, *Daphnogene*, *Laurophyllum*, *Phoebe*); 3) ზომიერი კლიმატის ფოთოლმცვენი და წიწვოვანი ტყეები (*Pinus*, *Picea*, *Abies*, *Keteleeria*, *Cedrus*, *Betula*, *Corylus*, *Cornus*, *Tilia*, *Acer*).

ოლიგოცენის ეპოქა კავკასიის თანამედროვე რელიეფის წარმოშობის დასაწყისად ითვლება. დაიწყო მათათა სისტემების ფორმირება. მათათშუა დეპრესია დაიფარა ზღვით. დიდი და მცირე კავკასიონი წარმოადგენდა გადარეცხვის არეს და მხოლოდ ზოგიერთ ადგილებში რჩებოდა ლაგუნური ტიპის პატარა იზოლირებული წყალსატევები (მაგ., ახალციხის დეპრესიაში). რელიეფის აწევამ გამოიწვია წიწვოვანთა მატება, ხოლო ზომიერად სითბოსმოყვარულ მცენარეთა ჯგუფი უფრო მრავალფეროვანი გახდა. ძლიერ სითბოსმოყვარულმა სახეობებმა კი იკლეს. მრავალრიცხოვან მცირე კუნძულზე კარგად იყო განვითარებული ტროპიკული ფლორა. დასავლეთ საქართველოში, თანამედროვე ქ. ჭიათურის მიდამოებში ოლიგოცენურ დანალექებში აღმოჩენილია წიწვოვან ხეთა (ფიჭვების) ნაშთები, რაც ჩრდილოეთში გავრცელებული ტაქსონების კავკასიაში მიგრაციაზე მიუთითებს (Тумаджанов, 1955; მატილოვა და სხვ., 2012; Nakhutsrishvili, 2013).

ქვედა და შუა მიოცენში საქართველოს ტერიტორიაზე არსებობდა ორი დიდი ხმელეთი, შემდგომში დიდ და მცირე კავკასიონად წოდებული და მათათშუა დეპრესიაში რამდენიმე პატარა კუნძული. მთლიანად ფლორას ქსეროფიტული იერი ჰქონდა. დიდ ნაწილს შეადგენდნენ პარკოსნები. დაფნისებრები და მარადმწვანე წიფლისებრები, რომლებიც პალეოცენში ქმნიდნენ ტენიან სუბტროპიკულ

ტყეებს, ქვედა მიოცენშიც განაგრძობდნენ არსებობას აღმოსავლეთ საქართველოს დაბალი ტენიანობის პირობებში. უფრო ტენიან ჰაბიტატებში მდინარის პირას იზრდებოდნენ ზომიერი კლიმატის მცენარეები: *Quercus*, *Myrica*. შუა მიოცენში დიდი და მცირე კავკასიონი ჩამოყალიბდნენ მთის სისტემებად. დაძირვას კი განიცდიდა მათ შორის მოქცეული ბარი. გავრცელებული იყო მარადმწვანე და ფოთოლმცვენი ტყეები, რომელთა ქვედა იარუსს ქმნიდნენ გვიმრები. მათი იმდროინდელი დიდი მრავალფეროვნებიდან შენარჩუნებულია მხოლოდ *Hymenophyllum*. ამ პერიოდის შიშველთესლოვნებიდან აღსანიშნავია: *Ginkgo*, *Podocarpus*, *Dacrydium*, *Cathaya*, *Keteleeria*, *Cedrus*, *Pinus*. უფრო იშვიათი იყო: *Picea*, *Tsuga*, *Taxodium*, *Cryptomeria*, *Sequoia*. დიდი მრავალფეროვნებით გამოირჩეოდნენ ფარულთესლოვნები: *Comptonia*, *Myrica*, *Tricolporopollenites*, *Platicarya*, *Engelhardia*, *Momipites*. საქართველოს და ხმელთაშუაზღვეთის შუამიოცენური ფლორები, განსხვავებით პალეოცენურისგან, უკვე აღარ იყო ერთნაირი.

შემდგომ ეპოქებში გაღრმავდა ფლორისტული დიფერენციაცია. დასავლეთ საქართველო გადაიქცა მაღალმთიან იზოლირებულ რეგიონად. მიუხედავად იმისა, რომ გაგრძელდა წინა პერიოდების მსგავსი მცენარეული ფორმაციების არსებობა, მათი არეალი, შემადგენლობა, ცალკეული სახეობების დომინანტური როლი და განაწილების კანონზომიერება უკვე სხვანაირი იყო. კერძოდ, მუქწინწკოვანთა როლი საგრძნობლად გაიზარდა. პოლიდომინანტურ ფორმაციათა არეალი – შემცირდა. სუბტროპიკულ ფორმაციებს ეკავათ ზღვისპირა დაბლობები და ქვედა სარტყელი, სადაც მათთვის ოპტიმალური კლიმატური პირობები იყო შექმნილი. რელიეფის უფრო მაღალ დონეზე სუბტროპიკული ტყე შეიცვალა ზომიერით. ფართო გავრცელება ჰპოვა სემი-ჰიგროფილურმა მცენარეულობამ. გაიზარდა ფიჭვის როლი. ეს მოვლენა უკავშირდება კლიმატის ცვლილებას. ზოგადად, მცენარეულობა ინარჩუნებდა წინა ეპოქების ნიშნებს, თუმცა იმავდროულად იძენდა ახალს. მიოცენის ბოლოს (დაახლოებით 7.1 მლნ. წ წინ) პირველად მოხდა დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს მცენარეულობის მეტ-ნაკლები სეგრეგაცია. თანამედროვე აფხაზეთის ფლორის 1/3 სუბტროპიკული იყო და იგი კარგად ასახავდა დაბლობების, ჭალის ტყეების და მთის ქვედა სარტყლის მცენარეულობის ხასიათს. დაბლობის ტყეებში ჭარბობდნენ *Quercus codorica* და *Carya denticulata*. ჭაობებში დომინირებდნენ *Alnus subcordata* და *Salix varians*. იგივე რეგიონში, მაგრამ უფრო გვიანდელ პერიოდში ფლორა უფრო ღარიბი იყო, რაც კლიმატის აცივებით აიხსნება. ამის გამო, გადაშენდა რიგი სუბტროპიკული ფარულთესლოვნებისა. მრავალ ოჯახში (Fagaceae, Lauraceae, Berberidaceae, Aristolochiaceae, Hamamelidaceae, Araliaceae, Fabaceae, Anacardiaceae, Aquifoliaceae, Arecaceae) შემცირდა გვარების რაოდენობა. მარადმწვანე მცენარეულობას ჯერ კიდევ ეკავა საკმაოდ დიდი ადგილი. ამ პერიოდის პოლიდომინანტურ ტყეებში გამოირჩეოდნენ ზომიერი ჰავის მოყვარული მცენარეები. მათგან 3 ჯგუფია აღსანიშნავი: 1) თანამედროვე აზიის მთებისთვის დამახასიათებელი მუსონური კლიმატის სახეობები; 2) ტენისმოყვარული სახეობები, ეკოლოგიურად დაახლოებული ამერიკის დაბლობებზე და ჭალის ტყეებში გავრცელებულ სახეობებთან; 3) სიცივის ამტანი, მაგრამ ზაფხულის მაღალი ტემპერატურის მოყვარული მცენარეები, ეკოლოგიურად მსგავსი ხმელთაშუაზღვის სუბტროპიკული ტყეების კომპონენტებისა. საქართველოს აღმოსავლეთში (შირაქში) ორი ტიპის მცენარეულობის არსებობას ვარაუდობენ: 1) ჭალის ტყეები (*Alnus hoernesii*, *Populus populina*, *Acer salienae*, *Ulmus carpinifolia*, *Zelkova ungeri*) და 2) არიდული მცენარეულობა (მეჩხერი ტყეები, შიბლიაკისა და მაკვისის ტიპის მცენარეულობა მარადმწვანე და ფოთოლმცვენი სახეობებით: *Laurus*, *Quercus*, *Phyllirea*, *Pyracantha*).

მესამეული პერიოდის განამარხებული ფლორიდან აღსანიშნავია ადიგენისა და ხულოს მუნიციპალიტეტებში გოდერძის უღ.-ზე ზღ. დ-დან 1600-2100 მ ფარგლებში მდებარე განამარხებული ტყე. აქ, მილიონი წლების წინ მძლავრმა ვულკანურმა ამოფრქვევამ ფერფლში ჩამარხა მრავალფეროვანი და გაუვალი ტროპიკული ტყე, წარმოდგენილი მარადმწვანე (პალმები, ქაფურის ხე, დაფნისებრები, მაგ-

ნოლიები, არაუკარიები) და ფოთოლმცვენი (ლედვი, ნეკერჩხალი, მუნა, ხეჭრელი, რცხილა, არყის ხე, ტირიფისებრნი, წიფლისებრნი) ხეებით, აგრეთვე ბუჩქებით, ლიანებით და გვიმრებით. მესამეული ფლორის ნაშთები წარმოდგენილია ხის გაქვავებული ღეროებით, ტოტებით, ფოთლის ანაბეჭდებით. ბევრ განამარხებულ ნაშთს შენარჩუნებული აქვს წრიული რგოლები. ამჟამად აქ დადგენილია 90-მდე სახეობა. ეს საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი და კარგად შესწავლილი ნამარხი ფლორაა (მატილოვა და სხვ., 2012; Makadze et al., 2019).

მესამეული და მეოთხეული პერიოდების მიჯნაზე – პლიოცენის ბოლოს და ეუპლეისტოცენის დასაწყისში დასავლეთ საქართველოში შეიცვალა კლიმატი: მოიმატა ტენიანობამ, ტემპერატურა არასტაბილური გახდა. შესაბამისად, პოლიდომინანტური და მუქწიწვოვანი ტყეების არეალებიც მერყეობდა. მიზეზი ორი მოვლენა იყო: 1) მაღალმთიანი რელიეფის წარმოქმნა და მუქწიწვოვნებისთვის ახალი ეკოტოპების გაჩენა ხელსაყრელი პირობებით (დღეს მუქწიწვოვნების ოპტიმუმი 1400–1900 მ-ის ფარგლებშია); 2) ტემპერატურის დაცემა და ტენიანობის მომატება, რამაც ხელი შეუწყო მუქწიწვოვნების ჰიფსომეტრულ დაქვეითებას. პოლიდომინანტურ ტყეებში ბატონობდნენ: Taxodiaceae-ს წარმომადგენლები: *Fagus*, *Quercus*, *Zelkova*, *Carya*, *Carpinus*. შემცირდა *Cedrus*-ის და სხვა თერმოფილური წიწვიანების როლი. ჭალის და ჭაობის ტყეებში დომინირებდნენ: *Taxodium*, *Pterocarya*, *Ulmus*, *Alnus* და სხვ. ადრეულ პოლოცენში შავი ზღვის დონე 50-60 მ-ით ნაკლები იყო, ხოლო ტყის გავრცელების ზედა საზღვარი 800-850 მ-ით დაბალი. ამ პერიოდში გაზრდილი იყო *Tilia*-ს, *Quercus*-ის, *Castanea*-ს და *Pterocarya*-ის არეალები, რაც თბილ და ნესტიან პირობებზე მიუთითებს. მოგვიანებით დათბობა შეწყდა, ზღ. დ-მ 1-1.5 მ-ით დაიწია, დაქვეითდა ტყის ქვედა საზღვარიც. გავრცელდა *Fagus*-ისა და *Abies*-ის ტყეები. შემდგომი ე.წ. ატლანტიკური პერიოდი (რომელიც 3000 წელი გრძელდებოდა), ხასიათდებოდა მცენარეული სარტყლების სწრაფი გადანაცვლებით ზემოთ. გაფართოვდა ჭაობების არეალი, რომელმაც სწორედ ამ დროს (ჩვ. წ. აღ-მდე 6000 წლით ადრე) მიაღწია მაქსიმუმს. კლიმატი ინტენსიურად თბებოდა მთებშიც. აფხაზეთში, სვანეთსა და აჭარაში ტყის ზედა საზღვარმა აიწია 300 მ-ით, სამხრეთ საქართველოს მაღალმთიანეთში კი – 500 მ-ით. სწორედ ატლანტიკურ პერიოდში განვითარდა ადრეული სამიწათმოქმედო დასახლებები. თანამედროვე სტეპების ადგილას იზრდებოდა *Alnus*, *Pterocarya*, *Tilia*, *Quercus*. ამ დროს ჯავახეთის ზეგანზე 2000-2800 მ-ზე მიწათმოქმედება, მებადეობა, მევენახეობა და მეფუტკრეობა კარგად იყო განვითარებული. მაშინ იქ ცაცხვი და ქართული მუნა იზრდებოდა, რომლებიც ამჟამად მხოლოდ 1700-1800 მ-მდე გვხვდება. ატლანტიკურ პერიოდში ხანგრძლივი დათბობა ორჯერ იყო შეწყვეტილი ხანმოკლე აცივებით. ამ მოვლენას კარგად ასახავს ტყის ზედა საზღვრისა და ზღ. დ-ის ცვალებადობები. შემდეგ კლიმატი მკვეთრად აცივდა. ტყის ზედა საზღვარმა 600 მ-ით დაიწია. შემცირდა თერმოფილურ სახეობათა არეალი. ტემპერატურის დაწვასთან ერთად შემცირდა ტენიანობაც. დაახლოებით 3800 წ წინ კლიმატი ისევ შეიცვალა და ზღ. დ-ემ მიაღწია თანამედროვეს. დათბობამ მოიცვა არა მხოლოდ დაბლობები, არამედ სამხრეთ საქართველოს მაღალმთიანი პლატოებიც. 2500 წლის წინათ ისევ დაფიქსირდა ხანმოკლე, მაგრამ მკვეთრდ გამოხატული აცივება და ტყის ზედა საზღვარმა ისევ დაიწია 400 მ-ით. 5 საუკუნის შემდეგ ისევ დათბა. ანტიკურ ხანაში ინტენსიურად განვითარდა სელის კულტურა, მიწათმოქმედება, მებადეობა, მევენახეობა. საბერძნეთიდან შემოვიდა ზეთისხილის კულტურა. ამას მოჰყვა კოლხეთის დაბლობზე ტყის ინტენსიური გაკაფვა. ჩვენი წ. აღ.-ის 3-4 ს-ში აცივდა, ხოლო მე-7-დან მე-11 ს-მდე ისევ დათბა. მე-12-14 ს-ში კლიმატი კვლავ აცივდა, მაგრამ მე-15-16 ს-ში – დათბა. მევენახეობის გარდა, კულტივირებული იყო ზეთისხილი. მისი პლანტაციები არათუ კოლხეთის დაბლობზე, არამედ მდ. ხრამის სათავეებშიც კი იყო. ეს მნიშვნელოვანი დათბობა 200 წელი გაგრძელდა, ხოლო მე-17 ს-ის მეორე ნახევარში ადგილი ჰქონდა ე.წ. მცირე გამყინვარებას. ყინვამ მთლიანად გაანადგურა ზეთისხილის პლანტაციები. საქართველოს პოლოცენური კლიმატი მსგავსი იყო სამხრეთევროპულის და ახლო აღმოსავლეთ-

თის კლიმატებისა. ეს იმის მაჩვენებელია, რომ კლიმატის ფლუქტუაციებს გლობალური ხასიათი ჰქონდათ.

ამრიგად, საქართველოში გვიანკაინოზოური მცენარეულობის განვითარების ისტორიაში 3 ინტერვალი გამოიყოფა: 1) სუბტროპიკული მცენარეულობის დომინირების; 2) გარდამავალი პერიოდი, როდესაც მცენარეულობა ჯერ კიდევ ინარჩუნებდა ძველ შემადგენლობას, მაგრამ უკვე ჩანდა განახლების ტენდენციები. პოლიდომინანტური ტყის ცალკეულ ცენოზებად დაყოფის დაწყება და რელიეფის შესაბამისად გადანაწილება; 3) თანამედროვე მცენარეულობის მსგავსი ახალი სტრუქტურების გაჩენის. სწორედ ამ ინტერვალში ძირითადად დასრულდა მესამეული რელიქტების გადამენება, თუმცა ზოგიერთი მათგანი კოლხეთის ფლორაში დღესაც განაგრძობს არსებობას, ვინაიდან მიუხედავად მეოთხეულის გამყინვარებისა, უძველესი ფლორის არსებობისთვის ხელსაყრელი პირობები (ნოტიო და თბილი ჰავა) სწორედ კოლხეთსა და თალიშიში (აზერბაიჯანი) შენარჩუნდა. ეს არის მესამეული ან, უფრო სწორად ნეოგენური, რელიქტების ყველაზე მძლავრი თავშესაფარი დასავლეთ ევრაზიაში. აქ თავი შეაფარა ბევრმა ხე-მცენარემ, ბუჩქმა და მერქნოვანმა ლიანამ, აგრეთვე ბალახოვანმა მცენარემ, რომლებიც დასავლეთ ევრაზიაში დიდი ხნის წინათ ამოწყდა. მათ გადაიტანეს პლიოცენისა და პლეისტოცენის უმკაცრესი პირობები და კოლხეთში უკავიათ მეტად მნიშვნელოვანი ფიტოცენოლოგიური პოზიციები. ესენია, პირველ რიგში, მარადმწვანე ბუჩქები: შქერი (*Rhododendron ponticum*), წყავი (*Laurocerasus officinalis*), ბაძგი (*Ilex colchica*), ძმერხლი (*Ruscus colchicus*), თაგვისარა (*Ruscus ponticus*); სუბალპურ სარტყელში ამათ ემატება დეკა (*Rhododendron caucasicum*). ესენი ქმნიან ქვეტყის კოლხეთის ტყეების სხვადასხვა საფეხურზე. კირქვიან ადგილებზე ტყის მეორე იარუსში იზრდება მარადმწვანე ხე-მცენარე ბუა (*Buxus colchica*). კოლხური ქვეტყის დამახასიათებელი ელემენტებია მარადმწვანე ლიანები: კოლხური სურო (*Hedera colchica*) და ჩვეულებრივი სურო (*Hedera helix*). კოლხური მარადმწვანე ქვეტყის შექმნაში ასევე მონაწილეობენ ფოთოლმცვენი ნეოგენური რელიქტური ბუჩქები: იელი (*Rhododendron luteum*), კაკასიური, ანუ მაღალი მოცვი (*Vaccinium arctostaphylos*), კოლხური და ჩვეულებრივი ჯონჯოლები (*Staphylea colchica*, *Staphylea pinnata*), დიდგულა (*Sambucus nigra*), უცვეთელა (*Philadelphus caucasicus*), მოლოზანა (*Viburnum orientale*) და სხვ. (Гроссгейм, 1948; Тумаджанов, 1955; Колаковский, 1964, 1974; Колаковский, Шакрил, 1976; შატილოვა და სხვ., 2012; Nakhutsrishvili, 2013).

თავი 3. ბუნებრივი ოყეების შესახებ

ევროპის ტყეების უდიდესმა ნაწილმა (უპირველეს ყოვლისა, დაბლობისა და მთისწინების) ათასწლეულების მანძილზე მნიშვნელოვანი ანთროპოგენური ზემოქმედება განიცადა: ტყის ჰაბიტატები სულ უფრო მეტად ფრაგმენტირდებოდა, მეტი ფართობები თავისუფლდებოდა სასოფლო-სამეურნეო კულტურებისთვის, მეტი ხე-ტყე იჭრებოდა და მეტი ტერიტორიები იძოვებოდა შინაური პირუტყვის მიერ, უფრო მეტი ინტროდუცირებული მცენარე ცვლიდა ტყეების ბუნებრივ სახეობრივ შემადგენლობას (Birks et al., 1988; Salbitano, 1988; Kirby, Watkins, 1998; Alexander et al., 2003; Knapp et al., 2021). ექსტენსიურმა ანთროპოგენურმა ზემოქმედებამ მნიშვნელოვნად შეცვალა ბუნებრივი პროცესები. ამიტომ დედამიწის უძველესი (სოფლის მეურნეობამდელი) ტყეების 35% უკვე აღარ არსებობს. დარჩენილ ტყეებს დაახლოებით 4 მლრდ ჰა უკავიათ ტროპიკულ, ზომიერ და ბორეალურ სარტყლებში (Mackey et al., 2014; Kormos et al., 2018). აქედან მხოლოდ 1.3 მლრდ ჰა (32%) არის ბუნებრივი ტყე (Morales-Hidalgo et al., 2015). ამიტომ ბუნებრივ ტყეებს პრიორიტეტული საკონსერვაციო ღირებულება გააჩნიათ და არა მხოლოდ იმიტომ, რომ იქ უზარმაზარი ბიომრავალფეროვნებაა კონცენტრირებული (Mackey et al., 2014), არამედ იმიტომაც, რომ ისინი კულტურული და სულიერი თვალსაზრისითაც მნიშვნელოვანია ადგილობრივი საზოგადოებებისთვის და ხალხებისთვის, რომლებიც ასეთ ტყეებს საკუთარ სახლად მიიჩნევენ (Diaci, 1999; Kormos et al., 2018). ამგვარად, ბუნებრივი ტყეების შენარჩუნება გლობალური მიზნის მატარებელია (FAO, 2012).

საქართველოს ბუნებრივი ტყეების ძირითადი ტიპების დახასიათებამდე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია განვმარტოთ, თუ რა იგულისხმება ტერმინში „ბუნებრივი ტყე“. ინგლისურენოვან ლიტერატურაში მას რამდენიმე შესატყვისი აქვს: „Old-growth forest“ (ხნოვანი ტყე), „Primary forest“ (პირველადი ტყე), „Virgin forest“ (ქალწულებრივი/ხელუხლებელი ტყე), „Primeval forest“ ან „Forest primeval“ (პირველქმნილი ტყე), თუმცა ნიუანსური, ზოგჯერ ფორმალური განსხვავებები მაინც არსებობს (Parviainen, 2005). *ბუნებრივი ტყე არის ისეთი ტყე, რომელმაც დიდ ხნოვანებას მიაღწია მნიშვნელოვანი დარღვევების გარეშე და ამგვარად, გააჩნია უნიკალური ეკოლოგიური მახასიათებლები და შესაძლებელია, კლასიფიცირდეს როგორც კლიმაქსური თანასაზოგადოება.* ასეთი ტყე შეიცავს ხე მცენარეებთან დაკავშირებულ მრავალფეროვან სტრუქტურებს, რომლებიც განსაზღვრავენ ველური ჰაბიტატების მრავალფეროვნებას. ეს კი ხელს უწყობს ტყის ეკოსისტემის ბიომრავალფეროვნების ზრდას. ტყის სტრუქტურის მრავალფეროვნების კონცეფცია მოიცავს დიდ და ხნოვან ხეებს, ჯერ კიდევ ფეხზე მდგარ მკვდარ, გამხმარ ხე-მცენარეებს, ძირნაყარს, ტყის მრავალშრიან საბურველს (იარუსებს) და მათ შორის თავისუფალ სივრცეებს (ე. წ. ტყის ფანჯრებს), აგრეთვე ხის სხვადასხვა სახეობას და ლეტრიტის დიდ რაოდენობას (White, Lloyd, 1994). რა შეიძლება იყოს ბუნებრივი ტყის საუკეთესო ინდიკატორი? მიიჩნევა, რომ ეს დიდი ხნოვანების ხეები შეიძლება იყოს. ასეთ ჰაბიტატებში უფრო მდიდარია ბიომრავალფეროვნება. ბუნებრივ ტყეებს უნდა ახასიათებდეთ საპროექსილური, მიკორიზული და ეპიფიტური თანასაზოგადოებები, რომელთა არსებობა ასეთი ტყის ხანგრძლივ არსებობაზე მიუთითებს (Butler et al., 2001).

WWF-ის და IUCN-ის განმარტებით, *ბუნებრივი ტყე არის ისეთი ტყე, რომელიც არ შეცვლილა ანთროპოგენური ზემოქმედებით* (<http://www.cbd.int/forest/definitions.shtml>).

ამ ტერმინის უფრო დეტალური განმარტება მოცემულია 1996 წ. MCFPE-ს კონფერენციაზე: *ეს არის ტყე, რომელსაც არასდროს განუცდია ადამიანის ჩარევა, ხოლო მისი სტრუქტურა და დინამიკა გამოხატავს ბუნებრივ განვითარებას. ასეთი ტყის ნიადაგი, კლიმატი, ფლორა, ფაუნა და სასიცოცხლო პროცესები არ ყოფილა დარღვეული და სახეცვლილი ტყითსარგებლობის, გაძოვის ან სხვა პირდაპირი და არაპირდაპირი ანთროპოგენური ჩარევით* (Alexander et al., 2003).

ტერმინი „ხნოვანი ტყე“ სათავეს აშშ-ს დასავლეთში 1900 წ-დან იღებს. ის პირველად ტყისმჭრელებმა გამოიყენეს დიდი ტანის ხეებისგან შემდგარი გვიან სუქცესიური ტყეებისთვის, რომელთა ასაკი 350 წ აღემატებოდა. XX ს-ის 80-იან წწ-ში იმავე აშშ-ში და კანადაში ამ ტერმინმა დიდი მნიშვნელობა შეიძინა გარემოს დამცველებს, ტყის მომწყობთა, ბიუროკრატებს, პოლიტიკოსებს და ველური ბუნების მოყვარულთა შორის გაჩაღებულ ხანგრძლივ და მწვავე დებატებში. საბოლოო ჯამში, ტყის ხნოვანება დაუკავშირეს ბიომრავალფეროვნების დონეს და USFS-მა 1989 წ შეიმუშავა ასეთი განმარტება: *ხნოვანი ტყე არის ისეთი ეკოსისტემა, რომელიც გამოირჩევა დიდი ასაკის ხეებით და შესაბამისი სტრუქტურული მახასიათებლებით, როგორცაა ხის და ძირნაყარის ზომები, ტყის იარუსების რაოდენობა, სახეობრივი შემადგენლობა, ეკოსისტემების ფუნქციები* (Lund, 2001; WWF, 2001; Alexander et al., 2003).

FAO ბუნებრივ ტყეებად მიიჩნევს ისეთებს, რომელთა *დინამიკა ისეთივეა, როგორც მისი ხეების ბუნებრივი სახეობრივი შემადგენლობა, ასაკობრივი სტრუქტურა და რეგენერაციის პროცესები; ახასიათებს საკმარისი გეოგრაფიული განვრცობა და არ არის ცნობილი ადამიანის ჩარევა, ანდა უკანასკნელი მნიშვნელოვანი ჩარევა იმდენად დიდი ხნის წინაა მომხდარი, რომ ტყეს მისი კვალი აღარ ემჩნევა* (FAO, 2012).

ამგვარად, ტერმინი „ბუნებრივი ტყე“ ხაზს უსვამს რამდენიმე ფაქტორს: დიდი ტანის ხნოვანი ხეების არსებობას; დაბერებისა და ხრწნის ბუნებრივ პროცესებს; დიდი ტანის ხნოვან ხეებზე დამოკიდებულ სახეობათა არსებობას; და რაც მთავარია, ტყის საფარის ხანგრძლივ ხელუხლებლობას. ამასთან უნდა გავითვალისწინოთ, რომ ადამიანის ზემოქმედების ხარისხი რთული კონტინუუმია. ხშირად, თუნდაც გარეგნულად „ბუნებრივ“ ტყეებსაც, განუცდიათ ნეგატიური ანთროპოგენური გავლენა, იქნებოდა ეს ძველი მკვიდრი მოსახლეობა, თუ დაბინძურება თანამედროვე განვითარებული საზოგადოების მიერ. უძველესი დროიდან შემორჩენილი ბუნებრივი ტყეები, რომელთაც არ განუცდიათ ადამიანის ჩარევა, ეკოლოგიურად ყველაზე მნიშვნელოვანი ტყეებია დედამიწაზე. მსოფლიოს ტყეების დაახლოებით 1/3 სწორედ ასეთთა კატეგორიას განეკუთვნება.

თავი 4. მეთოდები

4.1 კვლევის დიზაინი

საქართველოს ბუნებრივი/ბუნებრივთან ახლოს მდგომი ტყეები შეისწავლებოდა 2019-2022 წწ საქართველოს სხვადასხვა ისტორიულ-გეოგრაფიულ კუთხეში (სურ. 2). სულ კვლევა ჩატარდა 10 რეგიონში (ფრჩხილებში მოცემულია შესწავლილი ასოციაციების რაოდენობა): აჭარაში (11), გურიაში (18), სამეგრელოში (7), სვანეთში (13), რაჭა-ლეჩხუმში (11), სამცხე-ჯავახეთში (5), ქვემო ქართლში (2), ქართლში (2), ხევში (6) და კახეთში (10). საერთო ჯამში შესწავლილია ტყის 85 ასოციაცია, სადაც აღირიცხა ჭურჭლოვან მცენარეთა 500-ზე მეტი სახეობა.



სურ. 2. საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული კუთხეები

ტყის ზოგიერთი ტიპი შესწავლილ იქნა რამდენჯერმე სხვადასხვა, ან ერთსა და იმავე რეგიონში. ამან საშუალება მოგვცა წარმოგვეჩინა ესა თუ ის განსხვავება სახეობრივ სპექტრში. ჩვენი კვლევის მიზანი არ ყოფილა საქართველოს თითოეულ რეგიონში ბუნებრივი/ბუნებრივთან ახლოს მდგომი ყველა ტყის შესწავლა.

ტყის ერთი და იგივე ტიპი, ერთსა და იმავე დროს, პარალელურად შეისწავლებოდა როგორც ბოტანიკურ-ეკოლოგიური, ისე ტაქსაციური თვალსაზრისით.

4.2 სახეობათა იდენტიფიცირება

წინამდებარე ნაშრომში სახეობათა ლათინური სახელწოდებები მოცემულია „საქართველოს ფლორის“ (1971-2013) და „საქართველოს ფლორის ნომენკლატურული ნუსხის“ (2018) მიხედვით. დანართში მოცემულია ანბანით დალაგებული სახეობათა ნუსხა საერთაშორისო ნომენკლატურის მიხედვით (GBIF – Global Biodiversity Information Facility) შესაბამისი სინონიმის ჩვენებით. ამავე სიაში წერტილებით აღნიშნულია კავკასიის ენდემური სახეობები. ენდემიზმი დადგინდა კავკასიის ენდემურ მცენარეთა ნუსხის მიხედვით (Solomon et al., 2014).

ტექსტში მოყვანილი მცენარეთა ქართული სახელწოდებები მოცემულია ა. მაყაშვილის „ბოტანიკური ლექსიკონის“ მიხედვით (მაყაშვილი, 1991).


სახეობების იდენტიფიცირება განხორციელდა „საქართველოს მცენარეების სარკვევის“ (1964/1969) მიხედვით. პრობლემური სახეობები დაზუსტდა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბოტანიკის ინსტიტუტის ჰერბარიუმში დაცულ ნიმუშებთან შედარების გზით.

4.3 ტყის ტიპის იდენტიფიცირება

ტყის ტიპის/ქვეტიპის იდენტიფიცირება ხდებოდა ხე-მცენარის სახეობის დომინანტური პრინციპის მიხედვით, ანუ ტყის ამა თუ იმ იარუსში ხის დომინანტი სახეობის სახელწოდების მიხედვით (Долуханов, 2010). მაგალითად, ტყეს, რომლის შემადგენლობაში ჭარბობდა აღმოსავლური წიფელი (*Fagus orientalis*) ეწოდა წიფლნარი ტყე (*Fageta*), ხოლო ტყეს, სადაც წიფელთან ერთად თანადომინანტი იყო რცხილა, მაგრამ შედარებით მცირე სიმრავლით, ეწოდა რცხილნარ-წიფლნარი (*Carpineto-Fageta*). ქვეტყის/ბალახოვანი საფარის იდენტიფიკაციისთვის გამოყენებულ იქნა იგივე პრინციპი. იმ შემთხვევაში, თუკი აშკარა იყო ხის ერთი სახეობის (მაგალითად, წიფლის) დომინირება (სხვები კი მცირე სიმრავლით მხოლოდ ცალკეული ინდივიდების სახით იყვნენ წარმოდგენილი) და ქვეტყეში ბუჩქოვანი (მაყვალი – *Rubus*), ან ბალახოვანი (წივანა – *Festuca*) საფარი მძლავრად იყო განვითარებული, ასეთ ტყეს ეწოდა შესაბამისად, მაყვლიანი წიფლნარი (*Fageta rubosa*), ან წივანიანი წიფლნარი (*Fageta festucosa*).

4.4 ტყის ტიპის დახასიათება და ფიტოსოციოლოგიური აღწერა

ბუნებრივი ტყის „სამოდულო ნაკვეთი“ აღიწერებოდა 400 მ²-ზე (20 მ X 20 მ) სტანდარტული მეტოდების შესაბამისად (Fujiwara, 1986; Box, 2015). ამ ფართობზე ხდებოდა ხის ყველა სახეობის როგორც ზრდასრული, ისე ახალგაზრდა ინდივიდის იდენტიფიცირება და ზრდასრული ხეების სიმაღლის განსაზღვრა. ბუჩქები და ბალახოვანი საფარი აღიწერებოდა ამ 400 მ²-იანი ნაკვეთის ფარგლებში კონვერტისებურად განლაგებულ სამ 25 მ²-იან (5 მ X 5 მ) ნაკვეთზე (სურ. 3).



სურ. 3. საექსპერიმენტო ნაკვეთის ზოგადი სქემა (400 მ²-ში აღირიცხებოდა ხე-მცენარეთა სახეობები; 25 მ²-იან ხუთ ნაკვეთში ტარდებოდა ბუჩქოვანი და ბალახოვანი სახეობების ფიტოსოციოლოგიური აღწერები; განისაზღვრებოდა სუბსტრატის ზედაპირის დაფარულობა; დეტრიტის სისუფ და წონა; ნიადაგის pH.

ტყის ტიპის აღწერის მიზნით შემუშავდა სპეციალური ანკეტა, რომელიც ტყის ტიპის, სახეობრივი შემადგენლობის და დაფარულობის, იარუსიანობის, ხეების, ბუჩქებისა და ბალახოვანი საფარის სიმაღლის შესახებ ინფორმაციასთან ერთად მოიცავდა ეკოტოპოლოგიურ მონაცემებსაც (კვლევის რეგიონი, GPS კოორდინატები, ლანდშაფტის ტიპი, სიმაღლე ზღ. დ., ფერდობის ექსპოზიცია და ინკლინაცია). ამასთან ერთად, განისაზღვრებოდა ნიადაგის pH, დეტრიტის სისქე და მშრალი მასა, აგრეთვე სუბსტრატის ზედაპირის %-ლი დაფარულობა (მიშველი ნიადაგის, ქვების, დეტრიტის, ძირნაყარის, კრიპტოგამების და მცენარეების).

საკვლევი ტერიტორიის კოორდინატები და საშუალო სიმაღლე ზღ. დ-დან განისაზღვრებოდა GPS-ის (*Garmin, Summit™, Switzerland*) მეშვეობით. ფერდობის ექსპოზიცია და ინკლინაცია დგინდებოდა კომპას-კლინომეტრით (*Recta DP 6™, Switzerland*) 3-ჯერადი განმეორებით.

ლანდშაფტის ტიპის განისაზღვრებოდა შემდეგი გრადაციის მიხედვით: 1 – ხეობა, 2 – ხევი, 3 – ფერდობის ქვედა ნაწილი, 4 – ფერდობის ზედა ნაწილი, 5 – შუა ფერდობი, 6 – მთის წვერი, 7 – სწორი ადგილი, 8 – კლდე.

ნიადაგის pH განისაზღვრებოდა რიზოსფეროს – 20 სმ სიღრმეზე. მასალა აიღებოდა თითოეული იმ 25 მ²-იანი ფართობიდან, სადაც აღიწერებოდა ბუჩქები და ბალახოვანი საფარი. ნიადაგის არის რეაქცია განისაზღვრებოდა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ლაბორატორიაში pH-მეტრით (*IQ150 pH/mV/Temperatur Meters, IQ Scientific, Spectrum Technologies Inc. USA*) სტანდარტული პროცედურების შესაბამისად (*Ji et al., 2014*).

დეტრიტის ფენის სისქე (ზედაპირიდან ნეშომპალამდე) იზომებოდა სავლე პირობებში სანტიმეტრის საშუალებით თითოეულ 25 მ²-იან ნაკვეთში 5-ჯერადი განმეორებით.

დეტრიტის მშრალი მასის დასადგენად მასალა აიღებოდა იმავე 25 მ²-იან ნაკვეთში, სადაც განისაზღვრებოდნენ ბუჩქები და ბალახები 0.25მ² ფართობიდან 3-ჯერადი განმეორებით. აბსოლუტური მშრალი მასის დასადგენად ლაბორატორიულ პირობებში მასალა გამოშრა ღუმელში (*Forced Air Drying Oven, BOV-TF; BIOBASE*) 80°C-ზე 24 სთ-ს განმავლობაში და აიწონა. 1 მ²-ზე გადასაყვანად მიღებული შედეგები გამრავლდა 16-ზე.

სამი 25 მ²-იანი კვადრატებიდან თითოეულში ვიზუალური მეთოდით შეფასდა: გამიშვლებული ნიადაგის, ქვების, კრიპტოგამების, დეტრიტის, ძირნაყარის და მცენარეულობის (ხეების გარდა) პროცენტული დაფარულობა (*Coker, Kent, 1992; Kent, 2011*).

ფიტოსოციოლოგიური აღწერები ტარდებოდა ბრაუნ-ბლანკეს მეთოდით (*Braun-Blanquet, 1964*). ცალ-ცალკე ხეების, ბუჩქების და ბალახების (მათთან ერთად გვიმრების) თითოეული სახეობისთვის განისაზღვრა ბრაუნ-ბლანკეს დაფარულობის ინდექსები. ყოველი მათგანის შეესაბამის %-ში კონვერტირება შესაძლებელია შემდეგნაირად: 5 = 65-100%, 4 = 50-64%, 3 = 25-49%, 2 = 5-24%, 1 = 1-4%, ++ = 0.5-1%, + = 0.05-0.5%, R = <0.05%.

4.5 ხეების ტაქსაციური მაჩვენებლების დადგენა


ჩვენი კვლევის ერთ-ერთი მიზანი იყო ხეების ტაქსაციური მაჩვენებლების დადგენა და ამის საფუძველზე ტყის თითოეული ტიპის თანამედროვე მდგომარეობის შეფასება. მომავალში ეს ტყის კონკრეტული ფართობების აღდგენის საფუძვლი შეიძლება გახდეს.

კვლევის ამოცანებს შეადგენდა ტყის თითოეული ტიპისთვის შემდეგი მაჩვენებლების დადგენა:

- კორომის სტრუქტურა
- ხეების სივრცითი (ვერტიკალური და ჰორიზონტალური) განაწილება
- მერქნის მოცულობა

- ხმელი მერქნის მოცულობა (ზეხმელი და ძირნაყარი ხე-ტყე)
- ბუნებრივი განახლება (აღმონაცენი, მოზარდი)

დასახული მიზნის განსახორციელებლად განისაზღვრა ე.წ. კლასტერული მიდგომა, რომელიც აერთიანებს 3 სანიმუშო ფართობს (სურ. 4). თითოეულ კლასტერში, სანიმუშო ფართობები განთავსებულია ლათინური ასო "L" ის ფორმით. სანიმუშო ფართობი №2 ყოველთვის წარმოადგენს ცენტრს და განსაზღვრავს მთლიანი კლასტერის (დანარჩენი ორისანიმუშო ფართობის) სივრცულ მდებარეობას. სანიმუშო ფართობი №1 მდებარეობს კლასტერის ცენტრიდან (ანუ სანიმუშო ფართობი №2-დან) ჩრდილოეთით 100 მ-ის დისტანციაზე, ხოლო სანიმუშო ფართობი №3 კლასტერის ცენტრიდან აღმოსავლეთით, ასევე 100 მ-ის დაშორებით. სანიმუშო ფართობში განთავსებულია წინასწარ განსაზღვრული რადიუსის მქონე 4 შრე. პირველი შრის რადიუსია 5 მ, მეორის – 10 მ, მესამის – 15 მ და მეოთხის – 25 მ. გასაზომი ხეები შეირჩევა ამა თუ იმ რადიუსის მქონე შრეში მდებარეობით.



სურათი 4. კლასტერისა და სანიმუშო ფართობების დიზაინი

საველე აღრიცხვამ მოიცვა შემდეგი პროცედურები და მაჩვენებლების განსაზღვრა:

- **კლასტერის დონეზე შესაფასებელი ცვლადები:** კლასტერის საიდენტიფიკაციო ნომერი, საველე ჯგუფის ხელმძღვანელი, კლასტერისკენ სვლის საწყისი წერტილის GPS კოორდინატები, შესაბამისი ცდომილება და დროის აღრიცხვა. აღნიშნული ცვლადები გამოიყენება სამუშაოების ორგანიზებაში, შემდგომში პროცესის კონტროლისა და სამუშაოებისთვის დახარჯული დროის შეფასებაში;
- **სანიმუშო ფართობზე შესაფასებელი ზოგადი ცვლადები:** სანიმუშო ფართობის საიდენტიფიკაციო ნომერი, სანიმუშო ფართობის მისადგომლობა, ტყე, ტყის მიწები და სხვა მიწები, ცენტრის GPS კოორდინატები, მიბმის ობიექტების შესახებ ინფორმაცია (მათ შორის, მიბმის ობიექტის ტიპი, აზიმუტი, ჰორიზონტალური მანძილი და ფოტო), აზომვების დაწყების დრო, ტყის საზღვართან არსებული არასრული სანიმუშო ფართობის შესახებ ინფორმაცია (მათ შორის,

რის, ტყის საზღვრის წერტილები); აღნიშნული ცვლადების მიხედვით დგინდება საბაზისო ინფორმაცია;

- **სანიმუშო ფართობის 5 მ რადიუსში შესაფასებელი ცვლადები:** მიწის დაფარულობის ტიპი (მათ შორის %-ში), ქვეტყის მერქნიანი სახეობები, ქვეტყის დაფარულობა პროცენტებში, ქვეტყის სიმაღლე (თითოეული მერქნიანი სახეობისთვის ცალ-ცალკე);
- **სანიმუშო ფართობის 15 მ რადიუსში შესაფასებელი ცვლადები:** ნიადაგის ეროზია, დეგრადაცია, ტყის ტიპი – მიწის კომპონენტი, ვარჯის შეკრულობა, იარუსი;
- **სანიმუშო ფართობის 25 მ რადიუსში შესაფასებელი ცვლადები:** საქონლის ძოვება, ლანდშაფტის ელემენტები;
- **ძირნაყარი ხე-ტყე ფასდება** სანიმუშო ფართობის 5 და 10 მ შრეში, დიამეტრის კლასების შესაბამისად;
- **ტყის მოზარდ-აღმონაცენი:** აღირიცხება სანიმუშო ფართობის ცენტრიდან 5 მ ჩრდილოეთით და სამხრეთით, 1.5 მ-იანი რადიუსის სანიმუშო ფართობში;
- **ერთეული ხის ცვლადები:** ხის ნომერი საიდენტიფიკაციო ნომერი, ღეროს ნომერი საიდენტიფიკაციო ნომერი, ხის აზიმუტი, ჰორიზონტალური მანძილი ცენტრიდან ხემდე, ერთეული ხის სახეობა, ერთეული ხის ტაქსაციური დიამეტრი, ზრდადი ხის აღრიცხვა, ნაბელი ხის აღრიცხვა, ზეხმელი ხის აღრიცხვა, გადატეხილი ხის აღრიცხვა; ერთეული ხეები ფასდება სანიმუშო ფართობის 5, 10 და 15 მ შრეში, დიამეტრის კლასების შესაბამისად. მერქნიანი მცენარე ფასდება და იზომება, როგორც ერთეული ხე, თუ მისი ღეროს ტაქსაციური დიამეტრი (1.3 მ) ტოლია ან მეტია 8 სმ-ზე;
- **ხის სიმაღლის გაზომვა:** იზომება კონკრეტული სახეობის 3-3 ხე.

თავი 5. საქართველოს ტყის მცენარეულობის ზოგადი დახასიათება

5.1 საქართველოს ფლორისა და მცენარეულობის კვლევის მოკლე ისტორია

საქართველოს რელიეფის ძლიერმა დანაწევრებამ, ქედების რთულმა კონფიგურაციამ და, აქედან გამომდინარე, კლიმატურ-ედაფური პირობების ნაირგვარობამ, აგრეთვე სხვადასხვა გენეზისის ფიტოლანდშაფტების შესაყარზე მდებარეობამ, ფლორისა და მცენარეულობის დიდ მრავალფეროვნებასთან ერთად, განაპირობა სახეობებისა და მცენარეული თანასაზოგადოებების გეოგრაფიული და ეკოლოგიური იზოლაცია. ამით აიხსნება დიდი სახეობრივი და ეკოსისტემური სიმდიდრე, აგრეთვე ენდემიზმის მაღალი დონე (Гроссрейм, 1948; კეცხოველი, 1959; Колаковский, 1964; Нахуцришвили, 1966; Дюлханов, 1980; Nakhutsrishvili, 2013; Batsatsashvili et al., 2020).

საქართველოს ფლორის სიმდიდრემ დიდი ხნის წინ მიიპყრო ბოტანიკოსთა ყურადღება. მისი შესწავლა ჯერ კიდევ XVIII ს დასაწყისიდან დაიწყო, როცა 1700-1702 წწ ფრანგმა და გერმანელმა ბოტანიკოსებმა ჟ. პ. ტურნეფორმა (J. P. Tournefort, 1656-1708) და ა. გუნდესჰაიმერმა (A. Gundesheimer, 1668 – 1715) სამხრეთ ვეროპასა და წინა აზიაში ექსპედიციის ფარგლებში მონახულეს საქართველოს შავი ზღვის სანაპირო და შეაგროვეს ბოტანიკური მასალა (Tournefort, 1717). ექსპედიციაში მონაწილეობდა გერმანელი მხატვარი ს. აუბრიე (C. Aubriet, 1651-1743), რომელმაც ადგილობრივ მცენარეთა ჩანახატების პირველი კოლექცია შექმნა. საქართველოს ფლორისა და მცენარეულობის შესახებ ფაქტობრივად პირველი და საკმაოდ სრული ცნობები, მათ შორის, მცენარეულობის განაწილების შესახებ, ჯერ კიდევ 1745 წ ვახუშტი ბატონიშვილმა (1696-1757) მოგვანოდა (ვახუშტი ბატონიშვილი, 1941). მოგვიანებით (1770-1771 წწ და 1773 წ), ცნობილმა ბალტიელმა გერმანელმა ექიმმა, მეცნიერმა, მოგზაურმა და ნატურალისტმა ი. ა. გულდენშტადტმა (J. A. Güldenstädt, 1745-1781) იმოგზაურა ჩრდილოეთ კავკასიასა და საქართველოს სხვადასხვა მხარეში (კახეთი, ქართლი, იმერეთი, რაჭა, ხევი). დაბა სტეფანწმინდის მიდამოებში, სადაც ერთი თვე დაჰყო, დიდძალი საჭრბარიუმო მასალა შეაგროვა. მასალებს საქართველოდან – გეოგრაფიის, ბუნებრივი სიმდიდრეების, ისტორიის, ეთნოგრაფიის, ფლორისა და ფაუნის შესახებ – განსაკუთრებული ადგილი უკავიათ როგორც მრავალფეროვნების და მოცულობის, ისე კვლევის სიღრმის თვალსაზრისით (Güldenstädt, 1787-1791, 1815) და ასახავენ ავტორის სიმპათიებს საქართველოსა და მისი ხალხისადმი. XIX ს შუა პერიოდში შედგა კავკასიონის მცენარეულობის ვერტიკალური განაწილების პირველი სქემა (Wagner, 1848) და კავკასიონის მცენარეულობის პირველი რუკა (Koch, 1850). მცენარეულობის შესწავლისა და კარტოგრაფირების საკითხებს იმდროინდელ დიდი ყურადღება ექცეოდა (Альнов, 1896; Radde, 1899; Сосновский, 1915 და სხვ.). კავკასიაში და, მათ შორის, საქართველოში ბოტანიკური მიზნებით სხვა მრავალმა ცნობილმა მეცნიერმა იმოგზაურა: ა. მარშალ ფონ ბიბერშტეინმა (A. F. Marschall von Bieberstein, 1768-1826), ქ. ფონ სტევენმა (C. C. Steven, 1781 – 1863), ფ. რუპრეჰტმა (F. J. Ruprecht, 1814-1870), მ. ადამსმა (M. F. Adams, 1780-1832), ა. მუსინ-პუშკინმა (A. A. Musin-Pushkin, 1760-1805), ი. პაროტმა (J. J. F. W. Parrot, 1791-1841), ნ. დესულავიმ (N. A. Desulavi, 1860 – 1933), ა. რეჰმანმა (A. Rehman, 1840-1917), ნ. ალბოვმა (N. Alboff, 1866-1897), გ. რადემ (G. F. R. Radde, 1831-1903) და სხვ. ამ უკანასკნელმა 1867 წ თბილისში დააარსა კავკასიის მუზეუმი (ამჟამინდელი საქართველოს ეროვნული მუზეუმი), სადაც სხვა ექსპონატებთან ერთად დაცული იყო საქართველოს ფლორის წარმომადგენელთა მრავალი ნიმუში. იგი იყო მუზეუმისა და თბილისის საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორი. ფლორისა და მცენარეულობის შესწავლა XX ს-შიც აქტიურად გააგრძელეს: ა. გროსჰეიმმა (A. A. Grossheim, 1888-1948), დ. სოსნოვსკიმ (D. I. Sosnovsky, 1886-1953), ი. მედვედევმა (Y. S. Medwedew, 1848-1923), ნ. ბუშმა (N. A. Bush, 1869-1941) და სხვ. 1933 წ თბილისში ბო-

ტანიკური ბალის ჰერბარიუმისა და რამდენიმე კვლევითი განყოფილების გაერთიანების საფუძველზე შეიქმნა საქართველოს მცენიერებათა აკადემიის ბოტანიკის ინსტიტუტი.

ა. გროსპეიმის მიერ საქართველოს მცენარეული საფარის პირველი სრულყოფილი აღწერა მნიშვნელოვანი ნიშანსვეტი გახდა მცენარეულობის რეგიონალური (კავკასიის მასშტაბით) კვლევის ისტორიაში (Гроссрейм, 1948). საქართველოსა და კავკასიის ეკორეგიონის მცენარეული საფარის კლასიფიკაციასთან დაკავშირებული მეორე მნიშვნელოვანი ნიშანსვეტი იყო ევროპის ბუნებრივი მცენარეულობის რუკის შექმნა, სადაც საქართველოცაა წარმოდგენილი (Bohn et al., 2003, 2007).

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის შემადგენლობაში ბოტანიკის ინსტიტუტი უნივერსიტეტის დაარსებიდანვე (2006 წ-დან), შედის და ტრადიციულად წამყვან როლს ასრულებს საქართველოს ფლორისა და მცენარეულობის კვლევის საქმეში.

5.2 საქართველოს ფლორისა და მცენარეულობის მრავალფეროვნება

საქართველოს ფლორა ჭურჭლოვან მცენარეთა 4150-მდე სახეობას ითვლის (საქართველოს ფლორა, 1971-2013; საქართველოს ფლორის ნომენკლატურული ნუსხა, 2018). მათგან 1400-მდე კავკასიის ენდემია, საიდანაც 275 – საქართველოსი (IUCN, 2009; www.iucnredlist.org; Solomon et al., 2014).

დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს კლიმატებს შორის არსებითმა სხვაობამ განაპირობა განსხვავება მცენარეულობაშიც და მცენარეული სარტყლების სტრუქტურაში (Nakhutsrishvili, 1999, 2013; ნახუცრიშვილი, 2000; Zazanashvili et al., 2000; Bohn et al., 2003; Долуханов, 2010 და სხვ.).

ტენი და ტემპერატურა – ეს ორი კომპონენტი განაპირობებს დასავლეთ საქართველოს მცენარეულობის განსაკუთრებულობას. დასავლეთ საქართველოში ტყით დაფარული ვაკეები და მთისწინები ზღვის ნაპირიდანვე იწყება, აქ 5 მცენარეული სარტყელია:

- ტყის (0-1900 მ ზღ. დ.)
- სუბალპური (1900-2500 მ ზღ. დ.)
- ალპური (2500-3000 მ ზღ. დ.)
- სუბნივალური (3000-3600 მ ზღ. დ.)
- ნივალური (>3600 მ ზღ. დ.)

აღმოსავლეთ საქართველოში ვერტიკალური სარტყლურობა უფრო რთულია. აქ 6 სარტყელია გამოხატული:

- ნახევარუდაბნოების, მშრალი ველების და არიდული მეჩხერი ტყის (90-600 მ ზღ. დ.)
- ტყის (600-1900 მ ზღ. დ.)
- სუბალპური (1900-2500 მ ზღ. დ.)
- ალპური (2500-3000 მ ზღ. დ.)
- სუბნივალური (3000-3700 მ ზღ. დ.)
- ნივალური (>3700 მ ზღ. დ.)

თავისებურია სამხრეთ საქართველოს მცენარეულობის ვერტიკალური სარტყლურობა. აქ ტყის და სუბალპურ სარტყლების ფარგლებში ადგილ-ადგილ განვითარებულია სემიარიდული უტყეო ფორმაციები, რომლებშიც მთის სტეპების მცენარეულობა ჭარბობს (Nakhutsrishvili, 1999, 2000, 2013; ნახუცრიშვილი, 2000; Zazanashvili et al., 2000; Bohn et al., 2003; Долуханов, 2010).

5.3 საქართველოს ტყის მცენარეულობის მრავალფეროვნება

ტყე მცენარეულობის ისეთი ტიპია, რომელიც შედგება მერქნიანი (ხეები, ბუჩქები, ლიანები) და ბალახოვანი მცენარეების, ხავსების და ლიქენებისგან, აგრეთვე ცხოველებისგან (ძუძუმწოვრები,

ფრინველები, მწერები) და მიკროორგანიზმებისაგან, რომლებიც ცხოველმოქმედების პროცესში ბიოლოგიურად ურთიერთდაკავშირებულნი არიან, მოქმედებენ ერთმანეთზე და გარემოზე. ტყე არის რთული ეკოლოგიური სისტემა, რომელშიც მთავარი სასიცოცხლო ფორმა ხე-მცენარეა. ტყე ვითარდება ისეთ ტერიტორიებზე, სადაც წლის უთბილეს თვეში ტემპერატურა აღემატება 10°C, ხოლო ატმოსფერული ნალექების წლიური ჯამი – 200 მმ. ტყის სამი მთავარი ტიპია, რასაც განედი განსაზღვრავს: ბორეალური (ტაიგა), ზომიერი და ტროპიკული (<https://www.britannica.com/science/forest>).

მსოფლიოს მასშტაბით ტყის რესურსების ადმრინისტრაციული გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) განმარტებით, ტყე არის 0.5 ჰა-ზე მეტი ფართობის ტერიტორია, სადაც 5 მ-ზე მაღალ ხეთა ვარჯების პროექციითაა ჯამი შეადგენს ამ ხეების მიერ დაკავებული ფართობის 10%-ზე მეტს, ანდა ამ ხეებს *in situ* გააჩნიათ 5 მ სიმაღლის მიღწევის პოტენციალი. იგი არ მოიცავს აგრარულ და ურბანულ მიწებს (FAO, 2020; SDG indicator metadata, 2023).

ტყეს, როგორც გლობალურ ეკოსისტემას, უდიდესი ეკოლოგიური მნიშვნელობა აქვს. ის არეგულირებს O₂-ის და CO₂-ის ბალანსს, პროდუცირებს რა ატმოსფერული ჟანგბადის 50%-ს. ტყე ხელს უწყობს ბიოსფეროს წონასწორობის შენარჩუნებას. იგი მზის ენერჯის უდიდესი გარდამქმნელი, ბიომასის შემქმნელი და დამგროვებელია. ტყეების ბიომასა მრავალ ათეულჯერ აღემატება მცენარეული თანასაზოგადოებების სხვა ტიპების ბიომასას. ის ლანდშაფტის უმნიშვნელოვანესი ელემენტია. ტყეს ბიომრავალფეროვნების თვალსაზრისით განსაკუთრებულად გამორჩეული ფუნქცია აქვს – იგი მცენარეთა და ცხოველთა მრავალი სახეობის ჰაბიტატია. ტყე წყლის ბალანსის უდიდესი მარეგულირებელია. ნიადაგს იცავს ეროზიისგან, ფერდობებს – მეწყერებისგან, ღვარცოფებისა და ზვავებისგან. მას დიდი რეკრეაციული და კულტურული ღირებულება გააჩნია. იგი მრავალი ძვირფასი ნედლეულის წყაროა. ტყე უმნიშვნელოვანესი ბუნებრივი სიმდიდრე და საგანძურია.

გადაჭარბება არ იქნება, თუკი აღვნიშნავთ, რომ საქართველოს ტყის მცენარეულობა კარგადაა შესწავლილი: დადგენილია მისი ფლორისტული შემადგენლობა და ტიპოლოგიური სტრუქტურა, გავრცელების კანონზომიერებები, ბუნებრივი განახლებისა და სუქცესიური ცვლილებების თავისებურებები; გაკეთებულია ტყეებისა და ბუჩქნარებზე ადამიანის სამეურნეო საქმიანობის გავლენის ანალიზი; დამუშავებულია დეგრადირებული მცენარეულობის რეაბილიტაციის რეკომენდაციები; შედგენილია გეობოტანიკური და ეკოლოგიურ რუკები და სხვ. (Колаковский, 1961; კეცხოველი, 1959; Гулисашвили и др., 1975; Dolukhanov, 1978; Долуханов, 1980, 2010; Сахокия, 1980; მაცაშვილი, 1995; Nakhutsrishvili, 1999, 2013; Zazanashvili et al., 2000; Dolukhanov, Nakhutsrishvili, 2003; Bohn et al., 2003, 2007; Nakhutsrishvili et al., 2011, 2015). ამ და მრავალ სხვა ნაშრომში აღნიშნულია, რომ საქართველოს მცენარეულ საფარში პრევალირებს ტყე. მას ქვეყნის ტერიტორიის 36.7%-ზე მეტი (2.98 მლნ ჰა) უკავია. ყველაზე ტყიანი რეგიონებია აჭარა (63%) და რაჭა (56%). საქართველოს ტყეების მხოლოდ 14%-ია ზღ. დ-დან 750 მ-ზე დაბალ სიმაღლეზე. ტყეების 70%-მდე ზღ. დ-დან 1000 მ-ზე მაღლა მდებარეობს. მთის ტყეების 60% მაღალი დახრილობის, ანუ ინკლინაციის (>25°) ფერდობებზეა, ხოლო 24% – კიდე უფრო ციცაბო (>35°). ტყის ზედა საზღვარი ზღ. დ-დან 2450–2550 მ-ზეა. დასავლეთ საქართველოში, უფრო ტენიანი კლიმატის გამო, იგი რამდენადმე მაღლაა.

ჯერ კიდევ ჰოლოცენში, როცა კლიმატი მსგავსი იყო დღევანდელისა, ტყეებს ორჯერ მეტი ფართობი ეკავათ, ვიდრე ამჟამად. დასავლეთ საქართველოში კოლხეთის მთელი დაბლობი და მთის ფერდობები ზღ. დ-დან 2200-2500 მ-მდე ტყით იყო დაფარული. აღმოსავლეთ საქართველოში მთაში ტყეები იქამდე აღიოდნენ, სადამდეც დღეს, თუმცა სუბალპურ სარტყელში ოდნავ განსხვავებული სახეობრივი შემადგენლობა იყო. უტყეო მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს სემიარიდული ვაკე ლანდშაფტები და სამხრეთში ჯავახეთის ზეგნის გარკვეული მონაკვეთები იყო (მატილოვა და სხვ., 2012).

კავკასიის და კონკრეტულად, საქართველოს ტყეების გამოჩენილი მკვლევარის ა. დოლუხანოვის

(Долуханов, 2010) აზრით, გაკვირვებას იწვევს საქართველოს ტყის მცენარეულობის გამოკვეთილად დიდი ცენოტური მრავალფეროვნება, განსაკუთრებით ტყის ფორმაციების ელიფიკატორების არცთუ მდიდარი სახეობრივი მრავალფეროვნების ფონზე. ხის სახეობებს შორის ყველაზე ფართოდ გავრცელებულია აღმოსავლური წიფელი (*Fagus orientalis*) (აქ და შემდგომ მცენარეთა ქართული სახელი მოცემულია ა. მაყაშვილის, 1991 მიხედვით). ტყეებს მისი დომინირებით ტყის მთელი ფართობის 51% უკავია. ტყის სხვა დომინანტებიდან აღსანიშნავია: *Abies nordmanniana* (10%), *Quercus iberica* და მუხის სხვ. სახეობები (ჯამურად 9.3%), *Picea orientalis* (6.3%), *Pinus sylvestris* var. *hamata* (3.6%), *Alnus barbata* (3.0%), *Castanea sativa* (2.1%), *Betula litwinowii* და არყის ხის სხვ. სახეობები (ჯამურად ca. 2%). მხოლოდ უმნიშვნელო ტერიტორიებია (ტყის საერთო ფართობის <1%) დაფარული ისეთი ტყეებით, რომელთა დომინანტებია: *Carpinus caucasica*, *Tilia begoniifolia*, *Acer platanoides*, *A. trautvetteri*, *Fraxinus excelsior*, *Alnus incana* და სხვ. ტყით დაფარულობა არაერთგვაროვანია. ასე, მაგალითად, თუკი დასავლეთ საქართველოს დაბლობები, მთისწინები (0 მ-დანვე) და მთები ტყითაა დაფარული, აღმოსავლეთ საქართველოს ვაკეებზე ტყე მხოლოდ მდინარეთა ნაპირებს გასდევთ (ჭალის ტყეები). აქ ტყეები მთისწინებში და განსაკუთრებით მთებშია. ჯავახეთის უტყეო პლატოზე (სამხრეთ მთიანეთი) ტყის მცირე დერივატები მხოლოდ ხევებსა და ღარტაფებშია ზოგან შემორჩენილი, ხოლო თეთრობის კირქვიან მასივზე ბუნებრივი ფიჭვნარია წარმოდგენილი. უნდა აღინიშნოს, რომ მონოლომინანტური ტყეები, თუ არ ჩავთვლით წიფლნარებს, საქართველოსთვის დამახასიათებელი არ არის. ძალიან იშვიათია წმინდა სოჭნარი, წაბლნარი, მუხნარი, რცხილნარი. საქართველოს ტყეებისთვის დამახასიათებელია იშვიათი სახეობების შერევა. ზოგი მათგანი რელიქტურია, ზოგი კი ძალიან ვიწრო არეალის მქონე, როგორცაა *Acer velutinum*, *A. sosnowskyi*, *Taxus baccata*, *Zelkova carpinifolia*, *Quercus hartwissiana*, *Pterocarya pterocarpa* (კეცხოველი, 1959; Колаковский, 1961; Долуханов, 2010; შატილოვა და სხვ., 2012; Nakhutsrishvili, 2013).

მკვლევარების ყურადღება განსაკუთრებით ეუქსინურ, ანუ შავიზღვისპირა ტყეებზე მახვილდება. ისინი შავი ზღვის სამხრეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარეობენ: იწყებიან ბულგარეთისა და თურქეთის საზღვართან, კვეთენ ბოსფორს და შავ ზღვას მიუყვებიან აფხაზეთის მთების ჩათვლით თითქმის ყირიმამდე (Колаковский, 1961, 1974; Сахокия, 1980;). ეუქსინური ტყეები გადაჭიმულია დაბლობიდან ტყის ზედა საზღვრამდე. კავკასიის დასავლეთ ნაწილში ეს ტყეები ყველაზე მრავალფეროვანია, როგორც ფლორისტული, ისე ფორმაციული თვალსაზრისით. მათი ფლორა გეოგრაფიული ელემენტების შემადგენლობის თვალსაზრისით საკმაოდ ნაირგვარია. დამახასიათებელი და დომინანტი სახეობებიდან ჭარბობენ კავკასიური სახეობები, მნიშვნელოვან როლს თამაშობენ აგრეთვე აღმოსავლეთხმელთაშუაზღვის და ევროპული სახეობები. შედარებით მცირე რაოდენობითაა წარმოდგენილი მცირეაზიური და სხვა ფლორისტული ცენტრის სახეობები. ეუქსინური ტყე, ნალექების წლიური ჯამის მიხედვით, ორ ნაწილად იყოფა: დასავლეთით ნალექები საშუალოდ 1000–1500 მმ-ია, ხოლო აღმოსავლეთით – 1500–2500 (>4000) მმ. საზღვარი თურქეთის ტერიტორიაზე მდ. მეღეთზე გადის ქ. ორდუს მახლობლად. ამ საზღვრიდან დასავლეთით ტყეს ეწოდება – ეუქსინური, ხოლო აღმოსავლეთით – კოლხური. კოლხური ტყე, მსგავსად აზერბაიჯანსა და ირანში გავრცელებული ჰირკანული ტყისა, დასავლეთ ევრაზიის ყველაზე მნიშვნელოვანი არქტო-მესამეული რელიქტური მცენარეულობაა, რომელიც დიდი ბიომრავალფეროვნებით გამოირჩევა და მრავალ რელიქტურ, ენდემურ და იშვიათ სახეობას შეიცავს. კოლხური ტყე ერთ-ერთი ის “მძიმე არგუმენტი”, რომელზე დაყრდნობითაც მთლიანად კავკასიის რეგიონი აღიარებულია, როგორც უნიკალური ეკორეგიონი და ცნობილი იქნა ხმელეთის 200 გლობალურ “ცხელ წერტილს” შორის ერთ-ერთად (Olson, Dinerstein, 2002). 2021 წ კოლხური ტყე კოლხეთის წყალჭარბ ტერიტორიებთან ერთად ცნობილი იქნა იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობად (Nakhutsrishvili et al., 2011, 2015; <https://whc.unesco.org/en/list/1616/>).

ამჟამად, ხელუხლებელი ტყეები უმეტესწილად ძნელად მისადგომ ადგილებში და დაცულ ტერიტორიებზეა შემორჩენილი. არადა, საქართველოს ტყეების აბსოლურური უმრავლესობა (95%), როგორც მთის ტყეებისა, ნიადაგდამცველი და წყალმარეგულირებელია, სადაც ტყის ჩვეულებრივი ექსპლოატაცია დაუშვებელია (ნახუცრიშვილი, 2000).

ქვემოთ, მრავალი ავტორის მიხედვით (Гроссгейм, 1948; Гулисашвили, 1955, 1966; კეცხოველი, 1959; Колаковский, 1961; Гулисашвили и др., 1975; Долуханов, 1980, 2010; Nakhutsrishvili, 1999, 2013; Box et al., 2000; Denk et al., 2001; Dolukhanov, Nakhutsrishvili, 2003; Bohn et al., 2003; Nakhutsrishvili et al., 2011, 2015), მოცემულია საქართველოს ტყეთა ტიპების ჩამონათვალი და ზოგადი აღწერა შემდეგი თანმიმდევრობით: (1) ტყიანი ჭაობი და ჭაობიანი ტყე; (2) ჭალის ტყე; (3) ზომიერი სარტყლის ჰუმიდური თერმოფილური და ზომიერად წვიმიანი კოლხური ტყე (რომელიც მოიცავს (3.1) ჰიგრო-თერმოფილურ ლეშამბიან კოლხურ ტყეს, (3.2) შერეულ ფოთლოვან/პოლიდომინანტურ კოლხურ ტყეს და 3.3 წაბლნარ ტყეს); (4) არიდული მეჩხერი ტყე (რომელიც მოიცავს (4.1) საკმლისხიან ტყეს და (4.2) ღვიიან ტყეს); (5) მუხნარი ტყე; (6) რცხილნარი ტყე; (7) წიფლნარი ტყე, რომელიც მოიცავს (7.1) წიფლნარებს კოლხური ქვეტყით და (7.2) წიფლნარებს კოლხური ქვეტყის გარეშე; (8) მუქწიწვიანი ტყე; (9) ფიჭვნარი ტყე; (10) სუბალპური ტყე, რომელიც მოიცავს (10.1) არყნარებს, (10.2) ტანბრევილ წიფლნარს, (10.3) პონტოს მუხნარს, (10.4) მაღალმთის მუხნარს და (10.5) ფიჭვნარს.

(1) ტყიანი ჭაობი და ჭაობიანი ტყე. არც ისე შორეულ წარსულში კოლხეთის დაბლობის დიდი ნაწილი დაჭაობებული იყო. ამჟამად ჭაობების უმეტესობა დაშრობილია. მხოლოდ ცალკეული მონაკვეთებია ალაგ-ალაგ შემორჩენილი. აჭარა-გურიაში ასეთებია ქობულეთის, იმნათის, გრიგოლეთის და სხვ. ჭაობები. ესენია ტიპობრივი სფაგნუმიანი (ტორფის ხავსიანი), აგრეთვე ბალახოვანი ჭაობის ვარიანტები (ნაირბალახოვანი, ისლიანი, ჭილიანი, ლაქაშიანი და სხვ. ჭაობები). ხე-მცენარე და ბუჩქი მათში ვერ ხარობს. აქა-იქ მხოლოდ იელია (*Rhododendron luteum*). მაგრამ ზოგან იყო და არის ჭაობები, სადაც ტყისმაგვარი დაჯგუფებებია, კერძოდ, ე.წ. „ტყიანი ჭაობი“ და „ჭაობიანი ტყე“. სახეობების მსგავსების, ერთი შეხედვით, იდენტურობის მიუხედავად, ისინი განსხვავებულ მცენარეულობას გულისხმობს: ტყიან ჭაობში ხე-მცენარე და ბუჩქი იზრდება პირდაპირ ჭაობში (თითქოს წყლიდანაა ამოზრდილი), ჭაობიან ტყეში კი – ამოზნექილ ზედაპირზე, პატარ-პატარა „კუნძულებზე“. ორივენი ტყის შემქმნელია ძირითადად, ჩვეულებრივი მურყანი (*Alnus barbata*), მასთან ერთად ლაფანი (*Pterocarya pterocarpa*), ჭალის ვერხვი, ანუ ხვალო (*Populus canescens*), ტირიფის სახეობები, პირველ რიგში, *Salix excelsa* (= *Salix excelsior*) და სხვ. ჭაობიანი ტყის ქვეტყეშია ქაცვი (*Hippophaë rhamnoides*), წყავი (*Laurocerasus officinalis*), მაღალი მოცვი (*Vaccinium arctostaphylos*), დიდგულა (*Sambucus nigra*), ბევრია ლიანა: ჩვეულებრივი სურო (*Hedera helix*), კოლხური სურო (*Hedera colchica*), ღვედეცი (*Periploca graeca*), ეკალიქი (*Smilax excelsa*) და სხვ. (Колаковский, 1961-1974; Сахокия, 1980; Denk et al., 2001; Nakhutsrishvili, 2013).

(2) ჭალის ტყე. ეს ტყე საქართველოს ტყის ფართობის 3% შეადგენს. მისი არეალი მოიცავს ატლანტიკურ და ზომიერად კონტინენტური კლიმატის მქონე სივრცეებს. იგი მკვეთრად გამოხატული აზონალური მცენარეულობის ტიპია. ჭალის (მდინარისპირა, დერეფნის) ტყეები, ერთი მხრივ, განვითარებულია მდინარეთა გასწვრივ დაბალ ალუვიურ დაბლობებზე და, მეორე მხრივ, მთის მდინარეთა ხეობების პროალუვიურ ტერასებზე. აღმოსავლეთ საქართველოში ჭალის ტყის წყვეტილი ფრაგმენტები (ზოგან საკმაოდ ფართო) გასდევს მდინარეებს: ალაზნს, მტკვარს (თბილისიდან ქვემოთ დინების მიმართულებით), იორს, დიდ და პატარა ლიანხს, ქციას/მამავერას, ალგეთს და სხვ. დასავლეთ საქართველოში მდინარეებს: რიონს, ენგურს, ხობისწყალს, სუფსას, ნატანებს და სხვ.

ჭალის ტყეებისთვის მთავარი და დამახასიათებელი ხეებია: მდინარესთან ყველაზე ახლოს განლაგებული ტირიფები (*Salix excelsa*, *S. viminalis*, *S. alba*, *S. caprea*), რომელთაც იქვე მოსდევს ვერხვე-

ბის (*Populus hybrida*, *P. nigra*) და/ან მურყანის (*Alnus barbata*) უფრო განიერი ზოლი, ხოლო მომდევნო ტერასაზე, რომელიც შედარებით იშვიათად და ნაკლებად იტბორება და გრუნტის წყლებიც უფრო ღრმადაა – ჭალის მუხა (*Quercus pedunculiflora*), თელას სახეობები ხრამს (*Ulmus suberosa*, *U. carpinifolia*) და სხვ. მდ. ივრის ქვემო წელში მდინარისპირა ბოლო ტერასაზე ვხვდებით საკმლის ხესაც (*Pistacia mutica*). ქვეტყეში მრავლადაა აღმოსავლეთ საქართველოს დაბლობის ტყეებში შემავალი ბუჩქნარი: *Crataegus kyrtostyla*, *Ligustrum vulgare*, *Hippophaë rhamnoides*, *Tamarix ramosissima*, *Daphne caucasica*, *Pyracantha coccinea* და სხვ. ალაზნის და მისი რამდენიმე შენაკადის ჭალის ტყეები თავისი იერიითა და შემადგენლობით განსხვავდება აღმოსავლეთ საქართველოს სხვა მდინარეთა ჭალის ტყეებისაგან იმით, რომ აქ, გარდა დასახელებული ხეებისა, მონაწილეობს კოლხურ-ჰირკანული სახეობა ლაფანი (*Pterocarya pterocarpa*) და პასტუხოვის სურო (*Hedera pastuchovii*). ზოგან მხვიარა ლიანები (*Clematis vitalba*, *C. orientalis*, *Humulus lupulus*, *Periploca graeca*, *Vitis silvestris*, *Smilax excelsa*, *Hedera helix* და სხვ.) ისეა განვითარებული, რომ სრულიად გაუვალ ლეშამბიან ტყეს ქმნიან, რომელსაც მაყვლის (*Rubus sp.*) ბარდებიც ემატება. აღმოსავლეთ საქართველოს ამ ნაწილის გარდა, ასეთი ტყეები კიდევ უფრო ჩვეულებრივია ტენით მდიდარი დასავლეთ საქართველოსთვის და უჩვეულოა ცენტრალური საქართველოს კონტინენტური, გვალვიანი ვაკეებისთვის. თუმცა, აქაც მტკვრის ზოგიერთი შენაკადის ხეობაში შესაბამისი მიკროკლიმატი მცენარეულობის ამ ტიპის განვითარებისთვის ხელსაყრელ პირობებს ქმნის (კეცხოველი, 1959; Дольханов, 1980, 2010; Nakhutsrishvili, 1999, 2013; Denk et al., 2001).

აღსანიშნავია, რომ ფართოფოთლოვანი ტყეები და, მათ შორის, მურყნარი წარმოადგენს მესამეული ტუგაის ფართოფოთლოვანი ტყეების დერივატს, რომლებიც წარსულში ევრაზიულ კონტინენტზე ქმნიდნენ ფართო სარტყელს. ჭალის ტყის ეს ანალოგი ამჟამად გავრცელებულია წინა აზიის ველებზე, უდაბნოებსა და ნახევარუდაბნოებში, იქაურ მდინარეთა ჭალებში, რომელთაც ტუგაის ტყეს უწოდებენ. ტუგაის ტყეების შემადგენლობაში მონაწილე ხის სახეობები საქართველოს ჭალის ტყის ხეებისაგან განსხვავდება (კეცხოველი, 1959; Сахокия, 1980; Nakhutsrishvili, 2013).

(3) ზომიერი სარტყლის ჰუმიდური თერმოფილური და ზომიერად წვიმიანი კოლხური ტყე:

(3.1) ლეშამბიანი კოლხური ტყე. სახელწოდება ქართულ ბოტანიკურ ლიტერატურაში დამკვიდრებულია იმ ტყეების აღსანიშნავად, რომლებსაც კოლხეთის დაბლობზე სამეგრელოს, გურიისა და აჭარის სივრცეში მდინარეების რიონის, სუფსის, ნატანებისა და სხვ. ქვემო დინებებში მნიშვნელოვანი ფართობი უჭირავს („ლეშამბო“ ქართულად ლიანას შეესატყვისება). მათში ორ ზონას გამოჰყოფენ: პირველი, 150-200 მ-მდე, განვითარებულია ჭარბტენიან ნიადაგებზე. მათთვის დამახასიათებელია ლიანების, ძირითადად, ეკალიქის (*Smilax excelsa*) სიუხვე, რომელიც ტყის პირებზე ბევრგან გაუვალ ბარდებს ქმნის. ალბათ, ასეთი ტყე ჰონდა მხედველობაში ჰეროდოტეს (484-425 წწ ძვ. წ აღ.), როდესაც წერდა: „ფოთის მახლობლად ისეთი ტყეა, რომ შიგ ჩიტიც ვერ შეფრინდება...“. ამ ტყის ფრაგმენტები ამჟამად პალიასტომის ტბის სანაპიროზე და მდ. ფიჩორის გაყოლებაზე შემორჩენილი და ის კოლხეთის ეროვნული პარკის შემადგენლობაში შედის; მეორე ზონაში, 150-200 მ-დან 500 მ-მდე განვითარებულია ტყე, რომელიც წარმოდგენილია შედარებით ნაკლებად ტენიან ნიადაგებზე. მასში შქერის (*Rhododendron ponticum*), წყავის (*Laurocerasus officinalis*) და ბადგის (*Ilex colchica*) ხშირი ქვეტყეა. ფოთოლმცვენ ბუჩქთაგან ქვეტყეში იზრდება: იელი (*Rhododendron luteum*), კოლხური ჯონჯოლი (*Staphylea colchica*), კვიდო (*Ligustrum vulgare*), დიდგულა (*Sambucus nigra*) და სხვ. აჭარა-გურიის ტყეებში შეიძლება შეგვხვდეს იშვიათი ბუჩქი *Osmanthus decorus*. ამ ტყეების შემქმნელი ძირითადად ჩვეულებრივი მურყანია (*Alnus barbata*). მურყნარი გადადის რცხილნარში (*Carpinus caucasica*). ზოგან კორომებს ქმნის წიფელი (*Fagus orientalis*) და წაბლი (*Castanea sativa*). მათ ერთეულების სახით შეერევა ჰართვისის მუხა (*Quercus hartwissiana*). უფრო შემადგენულ ადგილებზე მას ცვლის ქართული მუხა (*Quercus iberica*), აგრეთვე ძელქვა (*Zelkova carpinifolia*), თელაღუმა (*Ulmus elliptica*), ცაცხვი (*Tilia*

begoniifolia), იფანი (*Fraxinus excelsior*) და სხვ. ზოგან ძალიან ტენიან, ლამიან ნიადაგებზე არის დაბალი – 6-15 მ სიმაღლის – ძალიან გამეჩხერებული მურყნარი. ტიპობრივია სფაგნუმიანი (ტორფის ხავსიანი) მურყნარი. ჭაობიან მურყნარში ბევრ სხვა გვიმრასთან ერთად იზრდება ისეთი დამახასიათებელი გვიმრა, როგორცაა შავი გვიმრა (*Matteuccia struthiopteris*), აგრეთვე იშვიათი სამეფო გვიმრა (*Osmunda regalis*) (კეცხოველი, 1959; Колаковский 1961, 1974; Гулисаშვილი и др., 1975; Долуханов, 2010; Nakhutsrishvili, 2013; Nakhutsrishvili et al., 2015).

(3) ზომიერი სარტყლის ჰუმიდური თერმოფილური და ზომიერად წვიმიანი კოლხური ტყე:
(3.2) შერეული ფოთლოვანი/პოლიდომინანტური კოლხური ტყე. წარსულში კოლხეთის მთისწინეთსა და მთის ქვედა სარტყელში, ზღ. დ-დან 1000-1100 მ-მდე გაბატონებული იყო უმეტესად პოლიდომინანტური ფოთლოვანი ტყეები. გარკვეული ტერიტორია ეჭირა მონო – და ბიდომინანტურ ტყეებს ამჟამად ისინი თითქმის მთლიანად განადგურებულია. რაც დარჩა, ისიც მეტ-ნაკლებად სახეცვლილია. ზომიერი სარტყლის ჰუმიდური და სითბოსმოყვარული (ჰიგრო-თერმოფილური) შერეულ ფართოფოთლოვან ტყეთა შემქმნელი ხე-მცენარეებია: წიფელი (*Fagus orientalis*), რცხილა (*Carpinus caucasica*), წაბლი (*Castanea sativa*), ლაფანი (*Pterocarya pterocarpa*), ჩვეულებრივი მურყანი (*Alnus barbata*), ქართული მუხა (*Quercus iberica*), იმერული მუხა (*Quercus imeretina*), ჰართვისის, ანუ კოლხური მუხა (*Quercus hartwissiana*), ძელქვა (*Zelkova carpinifolia*), ცაცხვი (*Tilia begoniifolia*), იფანი (*Fraxinus excelsior*), ლეკა (*Acer platanoides*), ქორაფი (*Acer laetum*), ჩულებრივი ნეკერჩხალი (*Acer campestre*), თელაღუმა (*Ulmus elliptica*), შიშველი თელა (*Ulmus glabra*), მაქალო (*Malus orientalis*), პანტა (*Pyrus caucasica*), ხურმა (*Diospyros lotus*), ლეღვი (*Ficus carica*) და სხვ. განვითარებულია ტიპობრივი კოლხური ბუჩქების: შქერის (*Rhododendron ponticum*), წყავის (*Laurocerasus officinalis*), ბადგის (*Ilex colchica*), იელის (*Rhododendron luteum*), მაღალი მოცვის (*Vaccinium arctostaphylos*), მოლოზანას (*Viburnum orientale*), კოლხური ჯონჯოლის (*Staphylea colchica*), ჩვეულებრივი ჯონჯოლის (*Staphylea pinnata*), უცვეთელას (*Philadelphus caucasicus*), დიდგულას (*Sambucus nigra*), ფართოფოთოლა ტაბლაყურას (*Euonymus latifolius*), გლუვქერქიანი ჭანჭყატელის (*Euonymus leiophloeus*), პონტოს მელიქაურის (*Daphne pontica*), მედვედევის ფილერეას (*Phillyrea medwedewii*) და სხვ. ქვეტყის შექმნაში მონაწილეობს აგრეთვე იშვიათი და ენდემური უნგერნის შქერი (*Rhododendron ungerii*) და სმირნოვის შქერი (*Rhododendron smirnowii*). ლიანებისგან უხვადაა კოლხური სურო (*Hedera colchica*). მისი ღეროს დიამეტრი ზოგან 20 სმ აღწევს. ის ყველაზე მაღალ ხეებზე ადის, მთლიანად ფარავს ნიადაგის ზედაპირს. ჩვეულებრივია ეკალიძი (*Smilax excelsa*) და ღვედეცი (*Periploca graeca*). მდიდარია ბალახოვანი საფარი. ბევრია გვიმრა, მათ შორის, შავი გვიმრა (*Matteuccia struthiopteris*), მთის ჩადუნა (*Dryopteris filix-mas*), ქალის გვიმრა (*Athyrium filix-femina*), ეპიფიტური გვიმრები – ხერხბილა კილამურა (*Polypodium serratum*) და ალექსეენკოს ჩადუნა (*Dryopteris alexeenkoana*); ტენიან კლდეებზე და ნიადაგზე იზრდება ირმის ენა (*Phyllitis scolopendrium*), ტაბელა (*Pteris cretica*), გვიმრუჭა (*Asplenium nigrum*) და სხვ. (Колаковский, 1974; Долуханов, 1980, 2010).

მესამეული რელიქტის ძელქვას (*Zelkova carpinifolia*) არეალი კავკასიაში მოიცავს კოლხეთს, კახეთის მცირე ნაწილს, ხოლო აზერბაიჯანში ლენქორანს და ყარაბახს. მონოდომინანტური ძელქვნარები ძალიან იშვიათია. ჩვეულებრივ, დასავლეთ საქართველოში ის შერეულ ტყეებს ქმნის მუხის (*Quercus iberica*, *Q. imeretina*), ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში რცხილას სახეობებთან (*Carpinus caucasica*, *C. orientalis*). დასავლეთში საუკეთესოდაა წარმოდგენილი აჯამეთის ნაკრძალში, ხოლო აღმოსავლეთში – ბაბანეურის ნაკრძალში. კავკასიის სხვადასხვა რეგიონში საქართველოს ფარგლებს გარეთ ძელქვის ზედა საზღვარი ზღ. დ-დან 1200-1700 მ ფარგლებში მერყეობს. საქართველოში კი ის ზღ. დ-დან 750 მ არ სცდება. დასავლეთ საქართველოში ძელქვა უფრო დაბლობებში იზრდება. აღმოსავლეთ საქართველოში კი – მთისწინებში, სადაც ყველა ექსპოზიციის ფერდობს იკავებს, გარდა ჩრდი-

ლოეთისა. გვხვდება როგორც მცირე სიმძლავრის ნიადაგებზე, ისე მდიდარზე, მაგრამ თავს არიდებს დამლაშებულ ნიადაგებს. დასავლეთ საქართველოში ძელქვა ალუვიურ, ქვიშნარ და თიხნარ-ქვიშნარ ნიადაგებზე იზრდება, ხოლო კახეთში – მურა და მცირე სიმძლავრის ნიადაგებზე (Шарашидзе, 1967; Nakhutsrishvili, 2013).

წარმოდგენა კოლხეთზე, როგორც ნეოგენური ფლორის რელიქტების თავშესაფარზე, ყველაზე მეტად უკავშირდება ამ მხარის ხეობების შერეულ ფოთლოვან ტყეებს. კოლხეთის მცენარეული სამყაროს ცნობილი მკვლევარი ა. კოლაკოვსკი (Коллаковский, 1961) განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა ხეობების შერეულ ფოთლოვან ტყეებს, როგორც რელიქტური მცენარეულობის რეფუგიუმს. ეს ტყეები სხეზე უკეთ ასახავენ ტიპობრივი კოლხური ტყის ნიშან-თვისებებს. საქმე ისაა, რომ ხეობებისა და მდინარეთა დაბლობების კლიმატისთვის დამახასიათებელია ჰაერის თანაბარი ტენიანობა წლის ყველა, მათ შორის, შედარებით მშრალ პერიოდებშიც კი. ეს განპირობებულია რელიეფის ხასიათით – ხეობებისა და დაბლობების შავი ზღვის მიმართ თითქმის პერპენდიკულარული მდებარეობით, რაც განპირობებს ზღვიდან ტენით გაჯერებული ჰაერის დაუბრკოლებრივ შეღწევას ამ ადგილებში. მნიშვნელობა აქვს იმასაც, რომ ხეობათა დამრეცი ფერდობებიდან უხვად ჩამოედინება წყალი, რაც კიდევ უფრო ზრდის ჰაერის ტენიანობას. გარდა ამისა, კოლხეთის დაბურულ ტყეებში მზის სხივები სუსტად აღწევს. იქმნება რეფუგიუმური პირობები, სადაც უძველესი, თბილი და ტენიანი კლიმატის ბევრი მცენარე კარგად გრძნობს თავს. საინტერესო მაგალითი: აჭარის ერთ-ერთ ასეთ ხეობაში ბინადრობს უცნაური გვიმრა *Hymenophyllum tunbridgense*. მისი უთხელესი ფოთოლი შედგება უჯრედების მხოლოდ ერთადერთი შრისგან და არ გააჩნია ტენის დეფიციტისადმი შგუების რაიმე მორფოლოგიურ-ფიზიოლოგიური მექანიზმი. მისი არსებობა აჭარაში იმის მაჩვენებელია, რომ აქ მილიონობით წლის განმავლობაში გარემოს ტემპერატურა და ტენიანობა ფაქტობრივად არ შეცვლილა.

კოლხეთის ხეობების შერეულ ფოთლოვან ტყეთა სივრცეში დახრილ ფერდობებზე ყურადღებას იპყრობს კოლხური მარადმწვანე რელიქტური ბუჩქების – შქერის (*Rhododendron ponticum*), დეკას (*Rh. caucasicum*), უნგერნის როდოდენდრონის (*R. ungerii*), წყავის (*Laurocerasus officinalis*), ბაძგის (*Ilex colchica*), ძმერხლის (*Ruscus hypophyllum*) დამოუკიდებელი, რაიმე ბუნებრივი თუ ანთროპოგენური კატასტროფის გამო ტყის დაღუპვის შემდეგ განვითარებული დაჯგუფებები. პირველად ერთ-ერთი ასეთი დაჯგუფება მდ. ყოროლისწყლის შენაკადის მდ. ნამწვავისწყლის ხეობაში აღწერა ს. გოლიცინმა (Голицын, 1939). ამ მარადმწვანე ორიგინალურ ბუჩქნარს „მწოლიარე ხეებთან“ ერთად ეწოდა ადგილობრივი ხალხური სახელი შქერიანი – *Rhododendron ponticum*-ის ქართული სახელის მიხედვით (ისევე, როგორც თავის დროზე დეკიანი ეწოდა მთაში გართხმულ მარადმწვანე ბუჩქნარს *Rhododendron caucasicum*-ის სახელის მიხედვით; კეცხოველი, 1959). სახელწოდება დამკვიდრებულია ბოტანიკურ ლიტერატურაში. შქერიანი არა მხოლოდ მარადმწვანე ბუჩქების ცენოზია. მასში შერეულია კოლხური ქვეტყის ფოთლომცვენი ბუჩქებიც: მაღალი მოცვი (*Vaccinium arctostaphylos*), იელი (*Rhododendron luteum*), მოლოზანა (*Viburnum orientale*), უზანი (*Frangula alnus*), კოლხური თხილი (*Corylus colchica*) და სხვ. ეს კონკრეტული შქერიანი ჩანს, ნახანძრალზეა განვითარებული: როგორც ითქვა, ის მდ. ნამწვავისწყლის სათავეებში მდებარეობს. „ნამწვაი“ კი „ნახანძრალის“ სინონიმია. იმავე ნამწვავისწყლის ხეობაში იზრდება ნეოგენური რელიქტი, აჭარა-ლაზეთის (ლაზისტანის) ენდემი გაულთერიისებრი ეპიგეა (*Epigaea gaultherioides*). ამ გვარის კიდევ ორი სახეობის სამშობლო ძალიან შორსაა კოლხეთიდან: მხოვანი ეპიგეასი (*Epigaea repens*) – ჩრდილოეთ ამერიკაში, აზიური ეპიგეასი (*Epigaea asiatica*) – იაპონიაში. გაულთერიისებრი ეპიგეა (*Epigaea gaultherioides*) ძალიან იშვიათი და განსაკუთრებული სილამაზის მცენარეა. მისი პოპულაციები საგანგებო დაცვას საჭიროებს. „შქერიანის“ ქვეშ განიხილება მხოლოდ ტყის მარადმწვანე ბუჩქნარი, ხოლო ტყის ზედა საზღვრის თავისებური ფორმაციები უნდა მივაკუთვნოთ ტანბრეცილი ტყისა და გართხმული ბუჩქნარის მცენარეულობას (Коллаковский,

1961). კოლხეთის სუბალპური მცენარეულობა უძველესი რელიქტური მცენარეულობის ნათელ მაგალითად შეიძლება ჩაითვალოს, რომელმაც შემოინახა მესამეული მცენარეულობის დამახასიათებელი ნიშნები. სუბალპური ტანბრეცილი ტყის მცენარეულობის ძირთად ფონზე (*Fagus orientalis*, *Acer trautvetteri*, *Betula litwinowii*), რომელიც კავკასიაში ფართოდაა გავრცელებული, აქ კოლხეთში ადგილ-ადგილ ჩაწინწკლულია ენდემური *Betula medwedewii*, *B. megrelica* – უძველესი რელიქტური ტყისა და ბუჩქების წარმომადგენლები. ამჟამად ეს სახეობები კოლხეთის გარეთ არ გვხვდება. აღსანიშნავია, რომ ეს მცენარეები მხოლოდ გურიის და აჭარის მთებში გვხვდება. იგივე პოზიცია უკავია დღეს პონტოს მუხას, ის უფრო მეტად გურიის მთებშია გავრცელებული (Голицин, 1939; Долуханов, 1980, 2010; Сахокия, 1980; Nakhutsrishvili, 2013).

(3) ზომიერი სარტყლის ჰუმიდური თერმოფილური და ზომიერად წვიმიანი კოლხური ტყე: წაბლნარი ტყე. მესამეული თერმოფილური რელიქტი – წაბლი (*Castanea sativa*) გავრცელებულია მთელ საქართველოში, თუმცა უფრო მეტად დასავლეთში, სადაც ძალიან ტიპურია და 46000 ჰა-მდე ტერიტორიას ფარავს. იშვიათად ქმნის სუფთა, მონოლომინანტურ ტყეს. ჩვეულებრივ, ის წიფელთან (*Fagus orientalis*) და რცხილასთან (*Tilia begoniifolia*), ან ორივესთან ერთად იზრდება. გაცილებით იშვიათია ჰართვისის მუხასთან (*Quercus hartwissiana*) და ქართულ მუხასთან (*Quercus iberica*). წაბლის ტყეები გვხვდება დაჩრდილულ, ან ნაწილობრივ დაჩრდილულ ფერდობებზე ზღ. დ-დან 100 მ-დან 900-1000 მ-მდე. აქ ის ტიპურია. აფხაზეთში წაბლის ტყე ზღ. დ-დან 1200 მ-მდე, ხოლო ცალკეული ინდივიდები ზღ. დ-დან 1400 მ-ს იზრდება (Соколов, 1952). კოლხეთის აღმოსავლეთ ნაწილში – ზემო იმერეთში მისი გავრცელების ზედა საზღვარი ზღ. დ-დან 1400-1450 მ-ზე გადის (Гулисашვილი, 1966). ზღ. დ-დან 1200 მ-ის ზემოთ წაბლის შეკრული ხეთადგომები უკვე აღარ გვხვდება (Долуханов, 2010). იშვიათად, წაბლის ერთეული ხე გარკვეულ პირობებში ზღ. დ-დან 1800 მ-ზეც კი შეიძლება აღმოჩნდეს (Медведев, 1919; Соколов, 1952). აღმოსავლეთ საქართველოში, კონკრეტულად, დიდი კავკასიონის კახეთის ნაწილის ფერდობებზე წაბლის არეალი ზღ. დ-დან 400-500 მ-დან 1350-1380 მ ფარგლებშია, თუმცა უფრო ხშირად ზღ. დ-დან 700 მ-დან 1100 მ-მდე გვხვდება (Долуханов, 2010).

წაბლის (*Castanea sativa*) არეალის დადგენა, როგორც ა. დოლუხანოვი (Долуханов, 2010) აღნიშნავს, ადვილი არ არის, რადგან იგი ძლიერ გაფართოვდა და შეიცვალა გავლურების და უცხოეთიდან შემოტანილი სხვადასხვა ფორმების გამრავლების შედეგად. მკვლევარების უმეტესობა თვლის, რომ კავკასიაში, მცირე აზიასა და ხმელთაშუაზღვეთში წაბლი არის აბორიგენი, ხოლო შუა ევროპაში (საფრანგეთი, გერმანია, შვეიცარია) ის ოდესღაც იყო შემოტანილი და შემდეგ გავლურდა, მაგრამ საზღვარი გავლურებულ და ველურად მოზარდ წაბლს შორის დაუდგენელი რჩება.

წაბლის ზრდა-განვითარებისთვის ოპტიმალურია ადგილები, სადაც ყველაზე ცივი თვის ჰაერის საშუალო ტემპერატურა – 3.5°C-ია, ხოლო ყველაზე თბილისა – 23.5°C. ატმოსფერული ნალექების საშუალო წლიური ჯამი 1000 მმ-დან 3500-4000 მმ-მდე ფარგლებში მერყეობს. როგორც ა. კოლაკოვსკი აღნიშნავს (Колаковский, 1961), ე. წ. წაბლის კლიმატის ნალექები უნდა აღემატებოდეს 1000 მმ-ს, ზამთრის მინიმალური ტემპერატურა კი 11°C. თუმცა წაბლის ერთეული ხეები ისეთ ადგილებშიც შეიძლება შეგვხვდეს, სადაც ნალექების წლიური ჯამი თითქმის 700 მმ-მდეა დაქვეითებული, ხოლო საშუალო თვიური ტემპერატურის წლიური ამპლიტადა 22.5°C-ია. აღსანიშნავია, რომ წაბლის განვითარებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია ჰაერის ფარდობითი ტენიანობა, რომელიც 70%-ზე ნაკლები არ უნდა იყოს (Гулисашვილი, 1950). ზოგადად, იგი თერმოფილური კოლხური ტყეებისთვის უმნიშვნელოვანესი ფაქტორია.

წაბლის დამახასიათებელი თვისებაა ედაფური პირობებისადმი განსაკუთრებული მოთხოვნილება. იგი ვითარდება ტენიან, კარგად დრენირებად, მეტ-ნაკლებად ფხვიერ, შედარებით მჟავე, მდიდარ, მოყვითალო-რუხ ტყის ნიადაგზე (Урушадзе, 1987). ცნობილია წაბლის უარყოფითი დამოკიდე-

ბულება კირქვიან სუბსტრატთან, მაგრამ ა. კოლაკოვსკის (Колаковский, 1961) მონაცემებით, აფხა-ზეთში მის მიერ ნაპოვნია კირქვიან სუბსტრატში შეჭრილი წაბლის ფესვები.

ვერ ვიტყვით, რომ საქართველოს, მათ შორის, კოლხეთის წაბლნარები, გეობოტანიკურად დეტალურადაა შესწავლილი. აჭარა-გურიის ტერიტორიაზე გამოჰყოფენ უფრო მეტად წაბლის კოლხურბუჩქიან ასოციაციებს. ამ მხარეში უმეტესად შექერიანი (*Rhododendron ponticum*) წაბლნარია გავრცელებული. მას უჭირავს ხეობათა ციცაბო (30-40°) ჩრდილო კალთები ზღ. დ-დან 1200 მ-მდე (უფრო მეტად 400-1000 მ-ის ფარგლებში). შედარებით იშვიათია წყავიანი (*Laurocerasus officinalis*) წაბლნარი. ასეთი წაბლნარების ძირითადი იარუსის შემადგენლობაში, წაბლთან ერთად, შედის წიფელი (*Fagus orientalis*), რცხილა (*Carpinus caucasica*), ცაცხვი (*Tilia begoniifolia*), თელადუმა (*Ulmus elliptica*) და სხვ.

არსებობს წაბლნარის ბალახოვანი ასოციაციები. მათ შორის, აღსანიშნავია წაბლნარი ანჩხლათი (*Trachystemon orientale*). გავრცელებულია გვიმრიანი წაბლნარის სხვადასხვა ვარიანტიც. კლდე-ნაშალიან ადგილებში განვითარებულია წაბლნარი ჩვეულებრივი თხილით (*Corylus avellana*), წაბლნარი დიდგულათი (*Sambucus nigra*) და სხვ. (Долуханов, 2010).

წარსულში წაბლნარი საქართველოში, მათ შორის, კოლხეთში გაცილებით მეტი იყო. ძველთაგანვე წაბლი დაუნდობლად იჭრებოდა მისი განსაკუთრებით გამძლე და ლამაზი მერქნის გამო. კოლხეთიდან წაბლის მორი ბევრი გაჰქონდათ ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში. ამჟამად, წაბლნარებში მოღებულია პარაზიტული სოკოები, განსაკუთრებით *Endothia parasitica*, *Blepharospora cambivora* და სხვ. თუ დროულად არ განხორციელდა კომპლექსური ღონისძიებები წაბლის გადასარჩენად, ეს მრავალმხრივ სასარგებლო მცენარე შეიძლება საერთოდ გადაშენდეს.

(4) არიდული მეჩხერი (ნათელი) ტყე: (4.1) საკმლისხიანი მეჩხერი (ნათელი) ტყე. ტიპიური ასეთი ტყეები გავრცელებულია, ძირითადად, საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილში და გვხვდება სტეპების და ნახევარუდაბნოების გარემოცვაში. მათთვის დამახასიათებელია “მეჩხერიანობა” და “განათებულობა”. სწორედ აქედან მომდინარეობს მისი მრავალი სახელწოდებიდან („ნათელი ტყე“, „მეჩხერი ტყე“, „არიდული ტყე“, „ქსეროფიტული ტყე“) ერთ-ერთი (ინგლისურად: „Arid open woodland“). ნათელ ტყეებში ხეები, ჩვეულებრივ, ერთმანეთისგან საკმაოდ დიდი მანძილითაა დაცილებული. ღია და, შესაბამისად, განათებული არე აქ ბევრია. როგორც წესი, ნათელ ტყეებში ხეებით დაფარული არე ტყის საერთო ფართობის 25–30%-ს თუ შეადგენს. დანარჩენ ფართობს კი სტეპისა და ნახევარუდაბნოს მცენარეულობა იკავებს. სწორედ ამიტომაც ნათელი ტყეების შემქმნელი ხე მცენარეების გარეგნული იერი განსხვავდება ნამდვილ ტყეში აღმოცენებულ ხეთაგან. აქ ხის ვარჯი მეტწილად მომრგვალო, ბურთისებრია, ყოველმხრივ თავისუფლად და ლამაზად გაზრდილი. არცთუ იშვიათია, როდესაც ხეები მჭიდრო გუგუებს – პატარა კორომებს ქმნიან, რომლებიც შეიძლება 20-მდე ხისგან იყოს შექმნილი. ტყის მეჩხერიანობის უმთავრესი მიზეზი ნიადაგში წყლის სიმცირეა. არის შემთხვევები, როცა ნათელი ტყის კონკრეტულ ფართობზე აღინუსხება სტეპისა და ნახევარუდაბნოსთვის დამახასიათებელი თითქმის ყველა ცენოზი. ნათელი ტყეების გავრცელების ჰიფსომეტრული საზღვრებია 100–600 მ ზღ. დ. ისინი გორაკ-ბორცვიან რელიეფზე, გავაკებებზე, მთისწინებზე, მშრალი ხევების კალთებზეა გავრცელებული (Сахокия, 1958; კეცხოველი, 1959, 1980). ნადაგის ტიპები შავმიწისებრი და ყავისფერია (Урушадзе, 1987).

საქართველოში ქსეროფიტული ნათელი ტყის ორი უმთავრესი ვარიანტია: ფოთოლმცვენი – საკმლისხიანი (*Pistacia mutica*) და მარადმწვანე წიწვოვანი – ღვიიანი (*Juniperus foetidissima*). ფოთოლმცვენთა შორის საკმლისხიანები ყველაზე ფართოდ გავრცელებული და თავისთავადია. ის შედარებით უფრო დაბალ სიმაღლეებზე გვხვდება და შესაბამისად, ნაკლებად დამრეც რელიეფზე. საგულისხმოა, რომ საკმლის ხის ქვეშ განსაკუთრებული მიკროკლიმატი იქმნება, რომელიც საგრძობლად განსხვავდება მისი მიწასთან ახლოს მყოფი ვარჯის გარეთ, განათებული არისგან. კერძოდ,

დიდი დაჩრდილვის გამო ტენი ხის ქვეშ უფრო დიდხანს ინახება, ნაკლებად ცხელდება ჰაერიც და ნიადაგიც. ამის გამო, ღია ადგილების მცენარეულობა მკვეთრად განსხვავდება ვარჯის ქვეშ არსებულისგან (Гроссгейм, Прилипка, 1939). გარდა საკმლისხიანისა, ფოთოლმცვენ ქსეროფიტულ ნათელ ტყეებში ერთიანდება აგრეთვე: აკაკიანი (*Celtis caucasica*), ნეკერჩხლიანი (*Acer ibericum*), ბერყენიანი (*Pyrus salicifolia*). ესენი მთავარია, თუმცა არის ბევრად უფრო იშვიათებიც, მაგალითად: ზემოთ ხსენებული სამივეს ნარევი; აგრეთვე თელიანი (*Ulmus foliacea*), რომელიც იშვიათად შედარებით მეზოფილურ პირობებში გვხვდება იქ, სადაც ხევის ძირებში წყალი ჟონავს; საკმლისხიანი ქართული მუხით (*Quercus iberica*) გვხვდება ნათელი ტყეების გავრცელების პერიფერიებზე; საკმლისხიანი ჭალის მუხით (*Quercus pedunculiflora*) და საკმლისხიანი იალღუნით (*Tamarix ramosissima*) იქ, სადაც საკმლისხიანი მდ. იორის ჭალის ტყეს ესაზღვრება (Кецховели, 1935, 1980; Сахокия, 1958; Nakhutsrishvili, 2013).

(4) არიდული მეჩხერი (ნათელი) ტყე: (4.2) ღვიაიანი მეჩხერი (ნათელი) ტყე. ღვიაიანი არიდული ნათელი ტყეების შექმნაში ღვიის ოთხი სახეობა მონაწილეობს: შავი ღვია (*Juniperus foetidissima*), წითელი ღვია ანუ ფანქრის ხე (*J. rufescens*), მრავალნაყოფა ღვია (*J. polycarpus*) და გრძელწიწვიანი ღვია (*J. oblonga*). ფოთოლმცვენ და მარადმწვანე ნათელ ტყეებს შორის არის გარდამავალიც, როცა საკმლისხიანებში შერეულია ღვიები. ღვიაიანი ნათელი ტყეები ძლიერ დაქანებულ, ეროზიულ-დენუდაციური ფორმის რელიეფის პირობებში გვხვდება. საქართველოში მათი ვერტიკალური არეალი იშვიათად აღწევს 800 მ. ვაშლოვანის ეროვნულ პარკში ღვიაიანი 200 მ-დე ჩამოდიან (კეცხოველი, 1959; Сахокия, 1959; Долуханов, 2010).

(5) მუხნარი ტყე. საქართველოს ტყეთა შორის ფლორისტულად ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი და ფიტოცენოზურად მრავალფეროვანია მუხნარები (Гроссгейм, 1948; Сахокия, 1958, 1980; Колаковский, 1961; კეცხოველი, 1959; Гулисაშვილი, 1966; Гулисაშვილი и др., 1975; Ekhvaia et al., 2018; Nakhutsrishvili, 1999, 2000, 2013; Novák et al., 2021). XX ს-ის 60-იან წწ-ში მათ 186000 ჰა ეჭირათ (საქართველოს მთელი ტყიანი ფართობის დაახლოებით 9%). პრეისტორიულ წარსულში მუხნარების არეალი სულ ცოტა 2.5-ჯერ მეტი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ადამიანის ხანგრძლივმა სამეურნეო საქმიანობამ ისინი სხვა ტყეებზე მეტად დააზარალა. ეს იმით აიხსნება, რომ მუხნარები გავრცელებული იყო სოფლის მეურნეობისთვის საუკეთესო მიწებზე – დაბლობებსა და მთის ნაკლებად ციცაბო კალთებზე. კოლხეთში დღემდე მოღწეულ მუხნართაგან ყველაზე მეტი ქართული მუხის (*Quercus iberica*) მიერაა შექმნილი; შედარებით მცირე ტერიტორიებზეა იმერული მუხის (*Quercus imeretina*) მუხნარები; მთისწინეთებსა და ტყის ქვედა სარტყელში ფოთლოვან ტყეებში შერეულია კოლხური, ანუ ჰართვისის მუხის (*Quercus hartwissiana*) მხოლოდ ცალკეული ინდივიდები და მცირე ჯგუფები; აჭარაში ზოგიერთ ადგილას შემორჩენილია ჭოროხის მუხის (*Quercus dshorochensis*) მიერ შექმნილი კორომების ფრაგმენტები.

ა. კოლაკოვსკიმ (1961) კოლხეთის მუხნარების ფლორაში დაითვალა 230-ზე მეტი ხე-მცენარე და ბუჩქი, ხოლო მათ ბალახოვან სინუზიებში – 100-მდე სახეობა. ის გამოყოფს ქართული მუხნარის შემდეგ ასოციაციებს: მუხნარი შქერით (*Rhododendron ponticum*), მუხნარი იელით (*Rhododendron luteum*), მუხნარი ტაბლაყურათი (*Euonymus latifolius*), მუხნარი ცხრატყავასფოთოლა კრაზანათი (*Hypericum xylosteifolium*), მუხნარი თავვისარათი (*Ruscus ponticus*) და სხვ.

წარსულში კოლხეთის დაბლობსა და მთის ქვედა სარტყელში ფართოდ იყო გავრცელებული იმერული მუხა (*Quercus imeretina*). ის ქმნიდა მონოდომინანტურ ტყეს, რომელშიც ერეოდა რცხილა (*Carpinus caucasica*), ძელქვა (*Zelkova carpinifolia*), ტენიან ჰაბიტატებში ლაფანი (*Pterocarya pterocarpa*) და მურყანი (*Alnus barbata*). ამჟამად მისი არეალი ძლიერ შემცირებულია. იმერული მუხის კორომები შემორჩენილია მდ. რიონის აუზის მარჯვენა მხარეს. მათგან ყველაზე ვრცელი დაცულია აჯამეთის სახელმწიფო ნაკრძალში. მისი ფიტოცენოზური სტრუქტურა დადგენილია, მაგრამ ცოტა ვიციტ კოლხეთის სხვა რეგიონებში იმერული მუხის გავრცელებისა და პოზიციების შესახებ.

კოლხური, ანუ ჰართვისის მუხა (*Quercus hartwissiana*) დამოუკიდებელ სუფთა ტყეს, უიშვიათესი გამონაკლისის გარდა, არ ქმნის, მაგრამ ის შერეულია ტყეებში დამახასიათებელი ელემენტის სახით. მისი ასეთი მდგომარეობა, შესაძლოა, ხანგრძლივი, ინტენსიური ჭრის შედეგი იყოს. საქმე ისაა, რომ *Quercus hartwissiana* უმთავრესად იზრდება წინამთებსა და მთის ქვედა სარტყელში, ადმიანისთვის ადვილად მისაწვდომ ადგილებში. რასაც დღეს ვხედავთ, ეს ამ მუხნარის ძლიერ დაკნინებული ნარჩენები უნდა უყოს.

ჭოროხის მუხის (*Quercus dshorochensis*) ტყის ნაშთები შემორჩენილია სამხრეთ-დასავლეთ აჭარაში, მდ. აჭარისწყლისა და მის შენაკადთა ხეობებში (ჭოროხის მუხნარი არის თურქეთშიც, საქართველოსთან მოსაზღვრე მხარეში, მდ. ჭოროხის დაბლობზე). ესენია მრავალგზის გადაბელილი, ამონაყრითი კორომები. ხეებს ვარჯი თითქმის აღარ გააჩნია (ცნობილია, რომ აჭარაში შინაურ პირუტყვს ზამთრობით ხე-მცენარეების, მათ შორის, ჭოროხის მუხის ტოტებით კვებავდნენ). და მაინც, დეგრადირებულ ჭოროხის მუხნარში გამოჰყოფენ შემდეგ ჯგუფებს: (1) ჭოროხის მუხნარი, სადაც შერეულია ჯაგრცხილა (*Carpinus orientalis*) და უხრაჟი (*Ostrya carpinifolia*); (2) ჭოროხის მუხნარი საკმელათი (*Cistus salviifolius*) და (3) ჭოროხის მუხნარი შქერისა (*Rhododendron ponticum*) და წყავის (*Laurocerasus officinalis*) ქვეტყით.

აჭარა-გურიაში, ზღ. დ-დან 700-დან 1600 მ-მდე, დაჯგუფებებს ქმნის ქართული, იმერული, ჰართვისისა და ჭოროხის მუხებისგან (ე. წ. რობუროიდული მუხები) სრულიად განსხვავებული პონტოური მუხა (*Quercus pontica*). დიდ კავკასიონზე ეს მუხა სპორადულადაა გავრცელებული მდ. კოდორის აუზში ზღ. დ-დან. 2000 მ-მდე. მდ. ბზიფის ხეობის ჩრდილოეთით ის აღარ იზრდება. ზოგან პონტოური მუხის დაჯგუფება 6-7 მ სიმაღლისაა. ასეთი ცენოზი შეიძლება ჩაითვალოს ნამდვილ ტანბრეცილ ტყედ, მაგრამ უფრო ხშირად მისი სიმაღლე 1.5-2 მ-ს არ აღემატება და ნახევრად გართხმული ბუჩქნარის სახე აქვს. იშვიათად მასში მეორე იარუსს ქმნის შქერი (*Rhododendron ponticum*). პონტოური მუხის ბუჩქნარი ისე მჭიდროა, რომ მის საბურველქვეშ მხოლოდ ზოგიერთი ძალიან ჩრდილის ამტანი ბალახი იზრდება.

აღმოსავლეთ საქართველოს ვაკე რელიეფზე გავრცელებული ტყის შემორჩენილი ნაშთებიდან ჩანს, რომ იგი მუხნარებისა და თელიანებისგან უნდა ყოფილიყო შემდგარი. მდინარეების მოსაზღვრედ იქ ჭალის მუხა (*Quercus pedunculiflora*) დომინირებდა, რომელსაც დიდი რაოდენობით ჭალის თელა (*Ulmus suberosa*) ერეოდა. მთების მიმდებარედ კი მუხნარის დომინანტი უკვე ქართული მუხა (*Quercus iberica*) იყო და მას *Ulmus foliacea* ერეოდა. აღმოსავლეთ საქართველოს ვაკის აღმოსავლეთ ნაწილში ამგვარ ვაკის ტყეებში კავკასიურ აკაცსა (*Celtis caucasica*) და ქართულ ნეკერჩხალსაც (*Acer ibericum*) შევხვდებოდით; ნაკლებად: იფანს (*Fraxinus excelsior*), ნეკერჩხალს (*Acer campestre*), პანტას (*Pyrus caucasica*), მაჟალოს (*Malus orientalis*), თამელს (*Sorbus torminalis*) და სხვ. ამჟამად, ამ ტყის მხოლოდ მცირე ნაშთებიღაა შემორჩენილი ზემო ქართლში, ლიახვის ხეობაში, მუხრანში, სამგორსა და შირაქში. ამ ვაკის ტყეების ნაცვლად დღეს სახნავ-სათესი სავარგულები, ძეძვიანები, ჯაგ-ეკლიანები და ნარ-ეკლიანებია. ტყის ამ ტიპში კარგად იყო წარმოდგენილი სამი ფორმაციის (ჭალის ტყის, არიდული ნათელი ტყის და მთებისწინა კალთების მუხნარის) გავლენა (კეცხოველი, 1959). დღეს ტყის სარტყლის ქვედა ნაწილში (600-700 მ ზღ. დ.) გაბატონებულია ქსეროთერმული ქართული მუხის (*Quercus iberica*) ტყე. მას სამხრეთ კავკასიაში და დიდი კავკასიონის ჩრდილოეთ მაკროფერდობის აღმოსავლეთ ნაწილში (ინგუშეთი, ჩეჩნეთი, დაღესტანი) დიდი ფართობები უკავია. გენეტიკურად ის ახლოსაა კლდის მუხასთან (*Quercus petraea*), მაგრამ საკუთარი, გამოკვეთილი ეკოლოგიური და ფიტოსოციოლოგიური არეალი ახასიათებს. გამოიყოფა რამდენიმე ეკოსისტემა: მონოლომინანტური მუხნარი, რომელშიც ქვეტყე სუსტადაა, ან საერთოდ არ არის განვითარებული. იშვიათად, მათ თესლით კარგი გამრავლება გამოარჩევს, მაგალითად, მიუსერის ნაკრძალში; ჯაგრცხილნარ-მუხნარი

(*Carpinus orientalis-Quercus iberica*), რომელიც მთის წინა კალთებზეა განვითარებული და აღმოსავლეთ საქართველოში განსაკუთრებით დიდი ფართობები უკავია; რცხილნარ-მუხნარი (*Carpinus caucasica-Quercus iberica*) გავრცელებულია შედარებით ტენიან პირობებში (Долуханов, 1966, 2010).

(6) რცხილნარი ტყე. კავკასიური რცხილის (*Carpinus caucasica*) ტყეებს საქართველოს ორივე ნაწილში საკმაოდ ფართობი უკავია და უმეტესწილად მეორეულია. თუმცა, ზოგან ძირეული რცხილნარებიცაა. თუ რცხილნარი მეორეულია, ის წარმოებულია უფრო ხშირად რცხილნარ-მუხნარიდან და რცხილნარ-წიფლნარიდან. ასეთი სუქცესიები ადამიანის საქმიანობის შედეგია. რცხილის მერქანი ძალიან კალორიული საწვავია. ამიტომ რცხილა ყველა დროში უმონწილოდ იჩეხებოდა. ამჟამად არსებული რცხილნარები მრავალგზის ამონაყრითა და დაკნინებული. ბევრი არ ვიცით რცხილნარის ფიტოცენოლოგიურ სტრუქტურაზე, ცალკეული ასოციაციების მდებარეობაზე. გაგვაჩნია სპორადული მონაცემები მხოლოდ რცხილის ზოგიერთი კოლხური ასოციაციის შესახებ. ისინი გავრცელებულია ტყის სარტყლის ქვედა ნაწილში. მთებში ის ზღ. დ-დან 1400 მ-მდე აღწევს. მისი გავრცელების ოპტიმალური პირობები კი ზღ. დ-დან 1000 მ-მდეა (კოლაკოვსკი, 1961). რცხილნარები უძლებენ კონკურენციას წიფლნარებისა და მუქწიწვოვანი ტყეების მხრიდან. წიფელთან შედარებით, რცხილა ნაკლებ მგრძობიარეა სიმშრალის მიმართ. ის კოლხეთში წარმატებით ვითარდება ალუვიალურ, ნახევრად ჭაობიან ნიადაგებზე, ზღვისპირა დაბლობზე, ხირხატთან და ქვიან სუბსტრატზე. თავისი გავრცელების ზედა საზღვარზე რცხილა იდევენება წიფლით (კოლაკოვსკი, 1961). მთის შედარებით მზიან და მშრალ კალთებზე ზღ. დ-დან 800-900 მ სიმაღლეებზე განვითარებულია რცხილნარი იელით (*Rhododendron luteum*). არაკირქვიან მთებში ზღ. დ-დან 100 მ-დან 800 მ-მდე სიმაღლეებზე იშვიათად ვხვდებით რცხილნარს შქერიტ (*Rhododendron ponticum*). ბუჩქებთან ასოციაციის მხრივ, აღსანიშნავია ასევე იშვიათი რცხილნარი მაღალი მოცვით (*Vaccinium arctostaphylos*). კოლხეთში რცხილნარი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფორმაციაა. რცხილა ფაქტობრივად, წიფლნარი ტყეების სტაბილური კომპონენტი, რა თქმა უნდა გარკვეული განსხვავებებით. მისი განვითარების ოპტიმალურ პირობებად ითვლება ზღ. დ-დან 1000 მ-დე სიმაღლე. კავკასიელი ბოტანიკოსების მიერ აღინიშნება რცხილას განსაკუთრებული მეზოფილობა, თუმცა წიფელზე უფრო ნაკლები. განსაკუთრებით აღსანიშნავია რცხილას არცთუ დიდი მოთხოვნილება ნიადაგის მიმართ. ის კარგად იზრდება კოლხეთის ზღვისპირეთის როგორც ნემომპალა კარბონატულ-ალუვიურ და ნახევრად ჭაობიან ნიადაგებზე, ისე სუსტად განვითარებულ თხელ ქვიან სუბსტრატზე. რცხილნარის კოლხურ ქვეტყეს ქმნიან: *Rhododendron ponticum*, *Laurocerasus officinalis*, *Ruscus ponticus*, *Ilex colchica*, *Buxus colchica*, ბალახოვნებიდან: *Trachystemon orientale*, *Epimedium colchicum*, გვიმრებიდან: *Polystichum setiferum*, *Dryopteris borrieri* (Коллаковский, 1961).

აღმოსავლეთ საქართველოში რცხილნარი ჩვეულებრივ, კარგადაა წარმოდგენილი ზღ. დ-დან 800-1200 მ-ზე. რცხილნარი განსაკუთრებით საინტერესოა გომბორის ქედზე, თრიალეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ ქედებზე და სხვ., სადაც ტყის შემქმნელი სხვა სახეობების მონაწილეობა შედარებით მცირეა. ჩვეულებრივ, რცხილისგან იქმნება ორი ძირითადი ვარიანტი: შედარებით დაბალ სიმაღლეებზე რცხილნარი ქართული მუხით (*Quercus iberica*) და უფრო მაღალ სიმაღლეებზე რცხილნარი აღმოსავლური წიფლით (*Fagus orientalis*) (კეცხოველი, 1959; Гулишавили и др., 1975).

(7) წიფლნარი ტყე. საქართველოში, მსგავსად ევროპის ტყეებისა (Tüxen, 1981; Ellenberg, 1988), ტყის მცენარეულობის ფორმაციათაგან ყველაზე გავრცელებული წიფლნარია. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გასული საუკუნის 60-იანი წლების მდგომარეობით მას ტყით დაფარული ფართობის (1 035 800 ჰა) 51% ეკავა (Гулишавили 1966). აღმოსავლური წიფელი (*Fagus orientalis*) – ნეოგენური დენდროფლორის რელიქტი – საქართველოს ყველა მხარეშია, გარდა აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოს უკიდურესი კონტინენტური კლიმატის მქონე რაიონებისა. ერთეული ინდივიდების სახით იზ-

რდება ზღ. დ-დანვე და სუბალპურ სიმაღლეებამდე აღწევს. მისთვის ოპტიმალურია ადგილები, სადაც ყველაზე თბილი თვის (აგვისტოს) ჰაერის საშუალო ტემპერატურა 17-19°C-ია, ატმოსფერული ნალექების საშუალო წლიური ჯამი კი 700 მმ-ზე ნაკლები არაა. დასავლეთ საქართველოს მთებში ეს ოპტიმუმი ზღ. დ-დან 700-1400 მ-ის ფარგლებშია; აღმოსავლეთ საქართველოს შედარებით ტენიან მხარეებში – 1000-1450 მ ზღ. დ., ხოლო შედარებით მშრალში – 1300-1600 მ ზღ. დ. გვხვდება განსხვავებულ რელიეფზე, როგორც ნაკლებად დაქანებულ, ისე ციცაბო (40° და მეტიც) ფერდობებზე. თუმცა მისთვის ყველაზე ხელსაყრელი საშუალო და მცირე ქანობის კალთებია. დასავლეთ საქართველოს მთებში, სადაც ზამთარში ატმოსფერული ნალექები განსაკუთრებით უხვია, ზოგან ტყის ზედა საზღვარზე სუბალპური ტანბრეცილი წიფლნარების ვიწრო ზოლია განვითარებული. აღსანიშნავია, რომ წიფლის გავრცელება დამოკიდებულია უფრო მეტად კლიმატურ პირობებზე, ვიდრე ედაფურზე. ის წარმატებით იზრდება როგორც კარბონატულ ისე არაკარბონატული ნიადაგის პირობებში (Колаковский, 1961; Долуханов, 1980, 2010; Сахокия, 1980).

წიფლნარი ფლორისტულად არც ისე მდიდარია, ცოტაა აგრეთვე მისი „ერთგული“ სახეობები. ბუჩქთაგან ასეთებია: მაღალი მოცვი (*Vaccinium arctostaphylos*) და მოლოზანა (*Viburnum orientale*); ბალახთაგან: ანჩხლა (*Trachystemon orientale*) და ხახია (*Pachyphragma macrophyllum*). თუმცა, თვით წიფლის ტყე გამოირჩევა ფიტოცენოზური მრავალფეროვნებით: (1) დაბლობსა და მთისწინებში წიფელი ხშირად ქმნის მონოდომინანტურ ტყეს და ფიტოლანდშაფტებში ზღ. დ-დან 600-800 მ-მდე ბატონობს. ასეთ შემთხვევაში მასთან შერეული სხვა სახეობები რაიმე ხარისხის კონსტანტურობით არ გამოირჩევიან; (2) ამა თუ იმ, ზოგჯერ ფრიად მნიშვნელოვანი რაოდენობით, წიფელი შედის სხვა ტყეების შემადგენლობაში და ქმნის ოლიგოდომინანტურ (მათ შორის, ბიდომინანტურ) ცენოზებს (წიფლნარ-რცხილნარი, წიფლნარ-წაბლნარ-რცხილნარი, წიფლნარ-სოჭნარი, წიფლნარ-ნაძვნარ-სოჭნარი და სხვ.); (3) ტყის პოლიდომინანტური ფორმაციები, სადაც წიფელი ერთ-ერთი თანადომინანტია; (4) ისეთი ტყეები, სადაც წიფელი მხოლოდ შერეულია ერთეული ინდივიდების სახით. კავკასიის ტყის მცენარეულობის ცნობილმა მკვლევარმა ა. დოლუხანოვმა მრავალწლიანი კვლევების საფუძველზე შექმნა საქართველოს წიფლნარების ფიტოცენოლოგიური კლასიფიკაციის სქემა (Долуханов, 2010), რომელიც მოიცავს წიფლის ასოციაციების ათობით ერთეულსა და ვარიანტს. მათ შორის, რამდენიმე მთავარი: (1) წიფლნარი პონტოს შქერით (*Rhododendron ponticum*), რომელიც ერთ-ერთი ყველაზე დამახასიათებელია. ზოგიერთი ბოტანიკოსი, მაგალითად, ე. რიუბელი (Rübel, 1932) მას განიხილავს კავკასიის წიფლნარების ტიპობრივ ვარიანტად. გვხვდება დასავლეთ საქართველოს ყველა ტყიან მხარეში, გარდა ზოგიერთი ჩაკეტილი ხეობისა (მაგ., ენგურის ხეობისა), რასთანაც დაკავშირებულია ე. წ. წვიმის ჩრდილის ეფექტი. იშვიათია კირქვიან მასივებზე; (2) წიფლნარი უნგერნის შქერით (*Rhododendron ungerii*). იგი აჭარა-გურიის ვიწროლოკალური ენდემია. ის ქმნის ქვეტყეს ზღვასთან ახლოს, უხვნალექიან მთებში, მდინარეთა (ბარცხანა, ჩაქვისწყალი, ყოროლისწყალი, კინტრიში ხეობებში, აგრეთვე გურიის დასავლეთ ნაწილში მდინარეთა (ბჟუჟი, ნატანები, ბახვისწყალი, სუფსა სათავეებში, ზღ. დ-დან 1200-2000 მ ფარგლებში. ატმოსფერული ნალექების წლიური რაოდენობა აქ 3200-3500 მმ-ია. ადგილებში, სადაც ზაფხულობით დღის საათებში ხშირია ნისლი, უნგერნის შქერიანი წიფლნარი ზღ. დ-დან 600-800 მ-მდე ეშვება. უნგერნის შქერის ქვეტყე უფრო მაღალია (3-4 მ), ვიდრე პონტოს შქერისა. უკეთ ვითარდება გამეჩხერებულ წიფლნარებში, ხოლო ტყის 0.7-ზე მეტი შერეულობისას კი ქრება; (3) წიფლნარი წყავით (*Laurocerasus officinalis*). გარეგნულად და ბიოეკოლოგიური თვისებებით ჰგავს შქერიან წიფლნარს. ის ტიპობრივია ზღ. დ-დან 700-1000 მ სიმაღლეებისთვის. ანთროპოგენური ზეგავლენით წყავის ქვეტყე უფრო დაზიანებულია, ვიდრე შქერისა. წყავი მკვრივი, ხარისხოვანი მერქნისთვის ოდითგანვე იჭრება მოსახლეობის მიერ; (4) წიფლნარი ჭყორით (*Ilex colchica*). კოლხური ელემენტებიდან აღმოსავლეთ საქართველოში ყველაზე უკეთ *Ilex colchica* ძლებს

და აღბათ ამიტომაც გომბორის წიფლნარებშიც კი გვხვდება; (5) წიფლნარი თაგვისარათი (*Ruscus ponticus*); (6) წიფლნარი იელით (*Rhododendron luteum*) და წიფლნარი ფოთოლმცვენი ნარევი ბუჩქნარით (*Euonymus latifolius*, *Sambucus nigra*, *Lonicera xylosteum*, *Salix caprea*, *Viburnum orientale* და სხვ.).

წიფლის ბალახოვან ასოციათაგან გამოსარჩევია: (1) წიფლნარი ანჩხლათი (*Trachystemon orientale*), რომელიც კოლხეთისთვის საკმაოდ დამახასიათებელია; (2) წიფლნარი ხარისჩლიქათი (*Asarum caucasicum*), წიფლნარი წბილიანით (*Festuca drymeja*). გავრცელებულია კოლხეთის მთის ტყის სარტყლის ქვედა ნაწილში, ხეობათა პროლუვიურ ტერასებზე. მათთან ერთად, ბალახოვანი სინუზიების კონსტიტუციური ელემენტებია: დიდყვავილა ლაშქარა (*Symphytum grandiflorum*), მწერიჭამია მცენარე – იბერიული ძირმწარა (*Aristolochia iberica*), ხარისთვალა (*Paris incompleta*) და სხვ. აღწერილია ასევე წიფლის ასოციაციები მაყვლებთან (*Rubus hirtus*, *R. serpens*, *R. platyphyllus*).

აღსანიშნავია დიდგვიმრიანი წიფლნარები. თავისი შემადგენლობით ეს ვრცელი და მრავალფეროვანი ჯგუფია. არსებობს წიფლნარი შავი გვიმრით (*Matteuccia struthiopteris*), წიფლნარი მთის ჩადუნათი (*Dryopteris filix-mas*), წიფლნარი ქალის გვიმრათი (*Athyrium filix-femina*) და სხვ. შავი გვიმრა (*Struthiopteris filicastrum*) წიფლნარში ქმნის გაუვალ რაყებს, იმდენად მძლავრს, რომ თრგუნავს ტყის ბუნებრივ განახლებასაც კი (Сахаров, 1939; Гроссгейм, 1948; კეცხოველი, 1959; Колаковский, 1961; Гулисашвили, 1966; Долуханов, 1966, 1980, 2010; Гулисашвили и др., 1975; Сахокия, 1980; ნახუცრიშვილი, 2000; Nakhutsrishvili, 1999, 2013).

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ე. წ. მკვდარსაფრიანი წიფლნარი (*Fageta nuda*). დიდ კავკასიონზე ის უმთავრესად სამხრეთი მაკროფერდობის ჩრდილოეთისკენ ექსპონირებულ საშუალო ინკლინაციის ფერდობებზეა განვითარებული წიფლის ჰიფსომეტრული არეალის ქვედა ზოლში (500-600 მ-დან 1200 მ ზღ. დ.). მცირე კავკასიონზე ბორჯომის ხეობის აღმოსავლეთით უკვე აღარ გვხვდება. სომხეთში ის საერთოდ არ არის, ხოლო აზერბაიჯანში – მხოლოდ ალაზნისპირა მთის კალთებზეა. როგორც ტყის დამოუკიდებელი ტიპი საქართველოში XX ს 30-იან წწ-ში აღიწერა (Поварницин, 1931; Соколов, 1936; Долуханов, 1938). მათი ნიადაგები განსხვავდება სხვა წიფლნარებისგან იმით, რომ ჰუმუსოვანი ჰორიზონტი ძალიან სუსტია. ამიტომ რიზოსფერო სუბსტრატის ზედაპირთან ახლოსაა და მოიცავს დეტრიტსაც (Урушадзе, 1987). ეპითეტი „მკვდარსაფრიანი“ მკაცრი გაგებით არასწორია, ვინაიდან რიზოსფეროში და დეტრიტში ცხოველთა სამყარო საკმაოდ მრავალფეროვანია, თუმცა მცენარეები, გარდა იმავე წიფლის აღმონაცენისა, ან მოზარდისა 1000 მ²-ზეც კი, საერთოდ არ აღინიშნება. წიფლის უკვე აღმოცენებული თესლის რაოდენობა მკვდარსაფრიან ტყეში უფრო მეტია, ვიდრე მარცვლოვან საფრიანში ან მაყვლიანში, 10-20-ჯერ მეტია, ვიდრე გვიმრებიან და 20-50-ჯერ მეტი, ვიდრე როდოდენდრონიან ტყეში (Долуханов, 2010). *Fageta nuda*-სგან ანსხვავებენ *Fageta seminuda*-ს („ნახევრადმკვდარსაფრიანს“), რომელშიც მხოლოდ სუროს ან/და მაყვლის დაკნინებული ეგზემპლარები აღინიშნება (Долуханов, 2010). „მკვდარსაფრიანობის“ ფენომენი შეუსწავლელია. ზოგი ამ მოვლენას წიფლის მძლავრი წყლის რეჟიმის გამო გამომშრალ ნიადაგს მიაწერდა (Slavikova, 1958), ზოგი კი ტყის ქვედა იარუსების დაჩრდილვას ვარჯის დიდი შეკრულობის გამო, თუმცა ამ ორივე ფაქტორის საწინააღმდეგოდ სერიოზული არგუმენტები არსებობენ (Долуханов, 1966, 2010; Сахокия, 1980).

ზემოთ აღინიშნა, რომ წიფლნარები ევროპაშიც ფათოლაა გავრცელებული (Rübel, 1932; Tüxen, 1981; Ellenberg, 1988; European Forest Types, 2007). მათგან განსხვავებით, კოლხეთის წიფლნარებში ხშირად გვხვდება თითქმის გაუვალი ქვეტყე, წარმოქმნილი ნახევრად გართხმული მარადმწვანე ბუჩქებით. სწორედ ამ ქვეტყის სახეობები განსაზღვრავენ კოლხეთისთვის ტიპიურ რელიქტურობას. ფლოროგენეზურად ისინი ახლო არიან კოლხეთის სუბალპურ ვეგეტატიურად მოძრავ ტანბრეცილ ტყეებთან, მაგრამ განსხვავდებიან მათგან ჩრდილისადმი მაღალი ამტანობით (Сахаров, 1939) და ფართო ვერტიკალური გავრცელებით (ზღ. დ-დანვე ტყის ზედა სარტყლის მცენარეულობამდე). კოლ-

ხური ქვეტყის საერთო ნიშანია ტენისადმი დიდი მოთხოვნილება და წლის განმავლობაში ნალექებით მეტ-ნაკლებად თანაბარი უზრუნველყოფა. წარმატებული გადაზამთრებისთვის და გაყინვისგან თავდასაცავად განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თოვლის სიუხვე. ხელუხლებელი წიფლნარი ტყეების ქვეტყეში დომინირებს ძირითადად კოლხეთის ქვეტყის წარმომადგენლის ერთ-ერთი სახეობა. ბუნებრივი სტრუქტურის დარღვევის შემთხვევაში ქვეტყე ხდება ოლიგო – და ზოგჯერ პოლიდომინანტურიც კი. მიუხედავად კოლხეთის წიფლნარი ტყეების ზოგიერთი თავისებური მსგავსებისა ბორეალურ ფართოფოთლოვან ტყეებთან, მათ შორის აღინიშნება მნიშვნელოვანი სხვაობა. პირველ რიგში, ეს ეხება კოლხეთის ფლორის ძირითად ბირთვის (მარადმწვანე ქვეტყეს), რომელიც სერიოზულ მონაწილეობას იღებს წიფლნარის თავისებური მესამეულ-რელიქტური მცენარეულობის განვითარებაში. გარდა ამისა, აღსანიშნავია კოლხეთის წიფლნარში მესამეული-რელიქტური ბალახოვანი მცენარეების *Festuca drymeja*, *Trachystemon orientale* და სხვ. მონაწილეობა. ეჭვს არ იწვევს, რომ კოლხეთის წიფლნარები, მიუხედავად ზოგიერთ შემთხვევაში მათში შედარებით ახალგაზრდა ბორეალური ელემენტების მონაწილეობისა, აქვთ მესამეული რელიქტური ტყის კარგად გამოხატული ყველა ნიშანი. ამით ისინი საკმაოდ მკვეთრად განსხვავდებიან ევროპის მსგავსი ფართოფოთლოვანი ტიპებისაგან, რომელთაც განიცადეს მეოთხეული პერიოდის მოვლენების შედეგად სახეცვლილება (Колаковский, 1961; Долуханов, 1966, 2010).

ლიხის ქედის აღმოსავლეთით ტყე, მათ შორის, წიფლნარებიც, კოლხური ელემენტებისგან თანდათან დარიბდება, თუმცა იელი (*Rhododendron luteum*) და მოცვი (*Vaccinium arctostaphylos*) კიდევ დიდხანს ნარჩუნდება. ცხელი ქარებისგან დაცულ დახურულ ხეობებში კი შემონახულია არათუ რომელიმე ცალკეული კოლხური ელემენტი, არამედ თითქმის ტიპიური კოლხური წიფლნარი და სხვა ტიპის ტყეები. უწინარესად ეს ბორჯომის ხეობის განშტოებებს ეხება (მაგალითად, ბანისხევს, რომლებიც ტიპიური კოლხური მარადმწვანე ქვეტყითაა შემოსილი. ეს იმაზე მიუთითებს, რომ აღმოსავლეთ საქართველო არც ისე დარიბია კოლხური ელემენტებით, როგორც ამას ადრე ფიქრობდნენ კავკასიური, კონკრეტულად საქართველოს, ფლორის ცნობილი მკვლევარები: ნ. კუზნეცოვი, ნ. ბუში, დ. სოსნოვსკი, ა. გროსჰეიმი და სხვ. (კეცხოველი, 1959). აღმოსავლეთ საქართველოს წიფლნარებში მრავალი ასოციაცია გამოიყოფა, დაწყებული მონოდომინანტური წიფლნარით, შქერიანი და წყავიანი, აგრეთვე გვიმრიანი და მარცვლოვან-ბალახოვანი წიფლნარებით გაგრძელებული და უთხოვრიანი და მუხნარი წიფლნარებით (დაბლა – *Quercus iberica*-თი, მაღლა – *Quercus macranthera*-თი) დამთავრებული (Долуханов, 2010). საქართველოს წიფლნარი ტყის ზოლში განსაკუთრებით აღსანიშნავია უთხოვარი (*Taxus baccata*), რომელიც ჩვეულებრივ, წიფელთან ერთად ქმნის ასოციაციებს, სადაც წიფელია მთავარი დომინანტი. ასეთი იშვიათი და კარგად შემონახული რელიქტური ტყე ალაზნის აუზში, პანკისის ხეობაში (ბაწარის ნაკრძალი). ის გავრცელებულია მდ. ალაზნთან მდ. ბაწარისწყლის შესართავიდან მარჯვენა ნაპირზე ტენიან ჰაბიტატში. წიფლნარ-უთხოვრიანი ტყე 30-40° (45°) დაქანების ფერდობზე 6 კმ-ის მანძილზე ვრცელდება ზღ. დ-დან 1100-1350 (1500) მ-ის ფარგლებში და 900 ჰა-მდე ფართობს ფარავს. უთხოვრის ხეები 30 მ აღწევენ და გარშემოწერილობაში 1.5 მ-ია. ზოგიერთი ინდივიდის ასაკი 1800 წ აღწევს. დასავლეთ საქართველოში უთხოვარი წიფლის ტყეებში იშვიათი არაა, მაგრამ არსად ასე კარგად განვითარებული და შემონახული არ არის და მხოლოდ ერთეული ინდივიდების სახით გვხვდება. აჭარაში ის ზღ. დ-ზე იზრდება. აღსანიშნავია აჯამეთის ნაკძალში იმერული მუხის (*Quercus imeretina*) ტყეში შერეული უთხოვარი. აღმოსავლეთ საქართველოში ბაწარის ხეობის გარდა უთხოვრის ტყეები არ არის. მხოლოდ ცალკეული ხეები, ან მცირე კორომებია შემორჩენილი. ბაწარის უთხოვრიანის ხელუხლებლად შემონახვა იმას მოწმობს, რომ საქართველოს ტყეებში უთხოვარი ჩვეულებრივი მოვლენა იყო და საკმაოდ დიდ ტერიტორიებზე იყო გავრცელებული (კეცხოველი, 1959).

(8) მუქწიწვოვანი ტყეები – სოჭნარები და ნაძვნარები. საქართველოში წიფლნარების შემდეგ, დაკავებული ფართობითა და სამეურნეო მნიშვნელობით, სოჭნარები და ნაძვნარები მოდის. მათ ჯამურად ქვეყნის ტყით დაფარული ტერიტორიის 16.3% უკავიათ. აქედან დაახლოებით 1/3 ნაძვნარია, დანარჩენი სოჭნარი. საქართველოს მუქწიწვიან ტყეებს აღმოსავლეთ ეუქსინის ტყეებს აკუთვნებენ (Исаченко, 1980; Dolukhanov, 1980, Тумаджанов, 1980). ისინი დიდი კავკასიონის დასავლეთ და ცენტრალურ ნაწილებში, ასევე მცირე კავკასიონის ჭარა-იმერეთისა და თრიალეთის ქედებზეა წარმოდგენილი. ნორდმანის სოჭის (*Abies nordmanniana*) და აღმოსავლური ნაძვის (*Picea orientalis*) არეალები უმეტესწილად ემთხვევა ერთმანეთს, მაგრამ ნაძვს, შედარებით, უფრო ფართო ეკოლოგიური დიაპაზონი აქვს და გავრცელებულია აღმოსავლეთ საქართველოს კონტინენტურ კლიმატშიც – მცირე კავკასიონზე მდ. თეძამის ხეობა და დიდ კავკასიონზე არაგვის ხეობა. უმთავრესად, მათ უკავიათ ტერიტორია ზღ. დ-დან 1400–1900 მ შორის, თუმცა ზოგან ხეობებით ზღ. დ-დან 1000 მ–ზე დაბლაც ჩამოდიან და ზღ. დ-დან 2000 მ–ზე მაღლაც ადიან. ნაძვისა და სოჭის მომცრო კორომები ალაგ–ალაგ გამოწკლისის სახით ზღ. დ-დან 200–300 მ და 2300–2350 მ სიმაღლეებზეც კი გვხვდება. სვანეთის მთებში ენგურის სათავეებში, სოჭის მონაწილეობა სუსტდება, ხოლო ნაძვის იზრდება. მცირე კავკასიონზე მუქწიწვიან ტყეებში გაბატონებული პოზიცია უკავია ნაძვს. ორივე სახეობის არეალის ზედა საზღვარი დაახლოებით ერთსა და იმავე სიმაღლეზეა, ხოლო ნაძვის გავრცელების ქვედა საზღვარი სოჭისაზე დაბლაა. ეს უკანასკნელი დასავლეთ საქართველოში მცირედ განსხვავდება (50–100 მ). აღმოსავლეთ საქართველოს შედარებით კონტინენტური კლიმატის პირობებში კი სოჭის გავრცელების ქვედა საზღვარი ნაძვისას 200–300 მ–ით აღემატება. კავკასიის მთებში მუქწიწვოვანი ტყეების განვითარება დაკავშირებული იყო ყველაზე ძლიერი აცივების პერიოდთან. გამყინვარების შემდგომ მათ, ერთი მხრივ, ჩრდილოეთისკენ და, მეორე მხრივ, დასავლეთისკენ დაიხიეს და ადგილი ფართოფოთლოვან ტყეებსა და ფიჭვნარებს დაუთმეს. საქართველოს ტერიტორიაზე ნაძვისა და სოჭის არეალები თითქმის ემთხვევა ერთმანეთს, მაგრამ სოჭი, როგორც ჰაერის ტენიანობისადმი უფრო მომთხოვნი, კლიმატის კონტინენტურობის მატების კვალაობაზე თანდათანობით თმობს პოზიციებს. დასავლეთ საქართველოში, კერძოდ აფხაზეთში, სოჭი მუქწიწვოვანი ტყეების ძირითადი კომპონენტია მდიდარი ნიადაგის პირობებში, რომელიც აკმაყოფილებს ნაძვის მოთხოვნებს, ხოლო ზემო სვანეთში, ნაძვი ნიადაგის პირობებისადმი ნაკლებად მომთხოვნია. ნაძვის გაბატონება უფრო გამოხატულია მცირე კავკასიონის წიწვოვან ტყეებშიც. გამყინვარების ბოლოს ნაძვნარები აღმოსავლეთით ღრმად იყო გავრცელებული. აღმოსავლეთის საზღვრის უკან დახევა აიხსნება შემდგომ გეოლოგიურ პერიოდებში სიმშრალის გაძლიერებით და მშრალ სეზონზე ხშირი ხანძრებით (Гулисашвили, 1940; Долуханов, 1940; Nakhutsrishvili, 2013).

ორივე სახეობა ქმნის როგორც სუფთა, ისე ოლიგოლომინანტურ თანასაზოგადოებებს, რომლებშიც (განსაკუთრებით სოჭნარში) მონაწილეობს წიფელი (*Fagus orientalis*). დასავლეთ საქართველოს მუქწიწვოვან ტყეებში ოპტიმალური პირობებია კოლხური მარადმწვანე ქვეტყის განვითარებისთვის. ა. დოლუხანოვის (Долуханов, 2010) მიერ შედგენილი კოლხური მუქწიწვოვანი ტყეების ფიტოცენოლოგიური კლასიფიკაციური სისტემა სწორედ ქვეტყის ბუჩქების ნაირგვარობაზეა დამყარებული და გამოყოფილია: (1) შქერის (*Rhododendron ponticum*) ქვეტყიანი მუქწიწვოვანი ტყის ასოციაციები (ნაძვნარი შქერით, რომელთა განვითარების უმნიშვნელოვანესი ეკოლოგიური პირობაა მაღალი ტენიანობა მთელი წლის განმავლობაში და ზომიერად ტენიანი ნიადაგი. ეს თანასაზოგადოება თავს არიდებს როგორც მშრალ, ისე სველ და კირქვიან ფერდობებს, ხოლო კირქვიან ნიადაგებზე ტყე ჩანაცვლებულია *Laurocerasus officinalis*-ით და *Ilex colchica*-ით; ნაძვნარ-სოჭნარი შქერით; სოჭნარი შქერით; წიფლნარ-სოჭნარი შქერით; წიფლნარ-სოჭნარები მძლავრად გამოხატული გვიმრის (*Anthyrium filix-femina*) საფარით (Fageto-Abietum athyriosum) დამახასიათებელია დასავლეთ კავკასიონის ტენიანი

ჰაბიტატებისთვის. აქ გვიმრის სიმაღლე ბევრგან 1 მ-საც კი აღემატება. რიგ ადგილებში ერევა გვიმრის მეორე სახეობაც – *Matteuccia struthiopteris*; (2) წყავის (*Laurocerasus officinalis*) ქვეტყიანი მუქწიწვოვანი ტყის ასოციაციები – (ნაძვნარი წყავით; ნაძვნარ-სოჭნარი წყავით; სოჭნარი წყავით; წიფლნარ-სოჭნარი წყავით; (3) ბაძგის (*Ilex colchica*) ქვეტყიანი მუქწიწვოვანი ტყის ასოციაციები (ნაძვნარი ბაძგით, ნაძვნარ-სოჭნარი ბაძგით, სოჭნარი ბაძგით, წიფლნარ-სოჭნარი ბაძგით; (4) მალალმოცვიანი (*Vaccinium arctostaphylos*) მუქწიწვოვანი ტყის ასოციაციები (ნაძვნარი მალალი მოცვით; ნაძვნარ-სოჭნარი მალალი მოცვით; სოჭნარი მალალი მოცვით; წიფლნარ-სოჭნარი მალალი მოცვით).

(9) ფიჭვნარი ტყე. ფიჭვის (*Pinus sylvestris* var. *hamata*) დომინირებით ფორმირებული ეკოსისტემები ძირითადად კარგად განათებულ და შედარებით მშრალ სამხრეთ ფერდობებზეა გავრცელებული. აღმოსავლეთ საქართველოში ფიჭვნარის ყველაზე დიდი მასივები მდ. მტკვრისა (თბილისამდე) და ალაზნის აუზებში და თუშეთშია. როგორც წესი, ეს ტყეები ქვიან და კლდოვან ადგილებშია განვითარებული, თუმცა ზოგან ისინი ნიადაგით დაფარულ ეკოტოპებშიც გვხვდება. ფიჭვს ახასიათებს გეოგრაფიული იზოლაცია და მისი პოპულაციის განცალკევება ისეთი ძლიერი კონკურენტისგან, როგორცაა წიფელი. მთის ფიჭვნარები ზღ. დ-დან 700-2400 მ-მდე ფარგლებში გვხვდება (Гулисашвили, 1940, 1966; Дюлүханов, 1966, 2010; Тумаджанов, 1980; ნახუცრიშვილი, 2000; Nakhutsrishvili, 2013). ავტორები აღნიშნავენ, რომ *Pinus sylvestris* var. *hamata*-ს ასოციაციები მრავალფეროვანია. ერთი მხრივ, გვხვდება ფიჭვნარები კოლხური ელემენტებით (მდ. ჭოროხის ხეობაში) და, მეორე მხრივ, ხშირად გვხვდება კლდეებზე, მშრალ პირობებში. მაგალითად, ჯავახეთის უტყეო პლატოზე კირქვიან-კლდოვან ჰაბიტატებში (თეთრობის სახელმწიფო აღკვეთილი) მისი კლიმაქსური თანასაზოგადოებები გაჯერებულია ანატოლიის ქსეროფიტებითა და ენდემებით (*Scorzonera ketzkhovellii*, *S. dzhawakhetica* და სხვ.). მისი ქვედა იარუსი კი ღვიბითაა დაფარული. ფიჭვნარები ველის ელემენტებითაა წარმოდგენილი საგარეჯოს რ-ში მარიაძვრის ნაკრძალში. სუბალპური მცენარეულობის ელემენტები შედის თრიალეთის ქედის, ბორჯომის ხეობის და ხდის ხეობის (ყაზბეგის რ-ნი) ფიჭვნარებში. სრულიად თავისთავადია და აქამდე ჯერ შეუსწავლელი დარიალის ხეობის კლდის ფიჭვნარი ტყე იმავე ყაზბეგის რ-ში. ბალახოვანი საფრიდან ფიჭვნარებში აღსანიშნავია *Carex buschiorum*, *Poa nemoralis*, *Brachypodium sylvaticum* და სხვ. აფხაზეთის მთების ფიჭვნარებში დამახასიათებელია *Chamaecytisus hirsutissimus*, ხოლო თრიალეთის ქედის ფიჭვნარებში – *Ch. caucasicus*.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია თუშეთში გამოყოფილი ფიჭვნარის კლიმაქსური ტიპი, რომელიც ტაიგის ფლოროგენეტიკურ კომპლექსს შეიცავს და მხოლოდ ამ რეგიონშია გავრცელებული (Тумаджанов, 1938, 1980).

სამხრეთ საქართველოში ზღ. დ-დან 1700-2400 მ ფარგლებში ფიჭვნარი ტყეები ესაზღვრებიან მთის სტეპებს და მდელო-სტეპებს. შედეგად იქმნება ძალიან მრავალფეროვანი ფლორისტული შემადგენლობის თავისებური ეკოლოგიური ტიპი – ე. წ. პარკისებური ტყე. ანალოგიური ლანდშაფტები თურქეთშიცაა გავრცელებული (ნახუცრიშვილი, 2000).

აფხაზეთში ბიჭვინთის მიდამოებში შავი ზღვის სანაპიროზე გავრცელებულია უძველესი აღმოსავლეთხმელთაშუაზღვის წამომადგენელის ბიჭვინთის ფიჭვის (*Pinus brutia* subsp. *pityusa*) ტყეები. ისინი გავრცელებულია მთის ქვედა სარტყელში შავი ზღვის სანაპირო ზოლში. ეს ფიჭვი იზრდება როგორც ჯგუფების, ისე ცალკეული ხეების სახით, უფრო ხშირად ქვიან და ძლიერ დამრეც კირქვიან ფერდობებზე. ბუჩქებიდან ამ ტყეებში გვხვდება *Cistus creticus*, *Ruscus ponticus*, *Rhododendron luteum*, *Carpinus orientalis*, *Rhus coriaria*, *Cotinus coggygria*, *Paliurus spina-christi*; ბალახებიდან აღსანიშნავია *Sesleria anatolica*, *Brachypodium rupestre* და სხვ.

(10) სუბალპური ტყე. სუბალპურ სარტყელში, ყურადღებას იპყრობს თავისებური ტყის მცენარეულობა – ნახევრად გართხმული, ტანბრეცილი ტყეები. ისინი აქ თითქოს სხვა სამყაროდანაა გადმო-

ტანილი (Dolukhanov, 1978; Долуханов, 2010). მაღალმთის ტანბრეცილი ტყეების განვითარება დაკავშირებულია თოვლის საფარის დამცველ ეფექტთან (Larcher, 2003; Körner, 2012, 2021). ლიტვინოვის არყისა (*Betula litwinowii*) და ცირცელისგან (*Sorbus caucasigena*) შექმნილი მეხერი ტყე, ჩვეულებრივი თითქმის მთელი დიდი კავკასიონისთვის და მცირე კავკასიონის მნიშვნელოვანი ნაწილისთვის. საყურადღებოა კოლხეთის ტანბრეცილი ტყეები, რომელშიც ბევრია იშვიათი რელიქტური სახეობა: *Quercus pontica*, *Betula megrelica*, *B. medwedewii* და სხვ. ტანბრეცილი ტყეების დამახასიათებელი ნიშან-თვისებაა ის, რომ მისი შემქმნელი ხე-მცენარეები და ბუჩქები თოვლქვეშ გართხმული იზამთრებენ. სუბალპურ ტანბრეცილ ტყეებს ქმნიან: ლიტვინოვის არყი (*Betula litwinowii*) (2100-2600 მ ზღ. დ., ზოგან 2750 მ-მდე), მედვედევის არყი (*B. medwedewii*), მეგრული არყი (*B. megrelica*) (სამეგრელოს ენდემი), რადეს არყი (*B. raddeana*) (კავკასიის ენდემი, კავკასიონის აღმოსავლეთ ნაწილში), აღმოსავლური წიფელი (*Fagus orientalis*) (უხვნალექიან მთებში და არაუმაღლეს ზრ. დ-დან 2050-2100 მ-ისა), პონტოური მუხა (*Quercus pontica*) (კოლხეთის ენდემი, ზღ. დ-დან 2100-2400 მ-მდე), ტრაუტვეტერის ნეკერჩხალი (*Acer trautvetteri*). სუბალპურ სარტყელში უფრო დაბალ რაყებს ქმნიან კოლხური თხილი (*Corylus colchica*), იმერული ხეჭრელი (*Rhamnus imeretina*) და სხვ. მათი გადარჩენა მკაცრ ზამთარში მხოლოდ ხანგრძლივი და ღრმა თოვლის საფარის პირობებშია შესაძლებელი (Nakhutsrishvili et al., 2006; Nakhutsrishvili, 2013; Nakhutsrishvili, Abdaladze, 2017). კოლხეთის ტყის მცენარეულობისადმი მიძღვნილ პუბლიკაციებში (Тумаджанов, 1938; Колаковский, 1974; Zazanashvili et al., 2000; Долуханов, 2010) მოხსენიებულია სხვა სუბალპური ტყეებიც: სუბალპური ნაძვნარი, სუბალპური სოჭნარი, სუბალპური ნეკერჩხლიანი (მაღალმთის ბოკვი – *Acer trautvetteri*) და ზოგიერთი სხვ.

სუბალპურ სარტყელში წიფელს ასეთი რამ ემართება: ნორჩობიდანვე მცენარის მთავარი ღეროს ქვედა ნაწილი თოვლის სიმძიმის გამო ისე მრუდდება, რომ 2-3 მ სიგრძეზე მიწაზეა გართხმული. ზამთარში თოვლი მცენარეს თითქმის მთლიანად ფარავს, მხოლოდ ტოტების ზედა ნაწილია ამოშვრილი. თოვლის საფარი საიმედოდ იცავს მცენარეს გაყინვისა და ე.წ. „ზამთრის გამომშრობისგან“. მხოლოდ ამის საშუალებით ძალუძს წიფელს, ტყის მცენარეს, დამკვიდრდეს ტყის ზედა საზღვრზე. ტანბრეცილი წიფლნარის მთავარი იარუსი ჩვეულებრივ მონოდომინანტურია. სხვა მცენარეები, მაგალითად, მაღალმთის ბოკვი (*Acer trautvetteri*), ცირცელი (*Sorbus caucasigena*) და ლიტვინოვის არყი (*Betula litwinowii*) შერეულია გამეჩხერებულ კორომებში. ქვეტყეში იზრდება მაღალი მოცვი (*Vaccinium arctostaphylos*), ბადგი (*Ilex colchica*), ძმერხლი (*Ruscus colchicus*), იშვიათად – შქერი (*Rhododendron ponticum*). ბალახოვან იარუსს ქმნიან წივანა (*Festuca drymeja*), ტყის ჩიტისთვალა (*Asperula odorata*), ზაფრანისფერი ცერცველა (*Vicia crocea*), მთის სვინტრი (*Polygonatum verticillatum*) და სხვ., აგრეთვე ბორეალური ფლორის სახეობები (*Gymnocarpium dryopteris*, *Oxalis acetosella*, *Solidago virgaurea*, *Pyrola* spp. და სხვ.) (Долуханов, 1966, 1980).

სუბალპებისთვის ყველაზე დამახასიათებელია ლიტვინოვის არყის (*Betula litwinowii*) ტანბრეცილი ტყე. ის იშვიათადაა მონოდომინანტური. მასში თითქმის ყოველთვის შერეულია სხვა ხე-მცენარეები და ბუჩქები. მაღალი მოცვი (*Vaccinium arctostaphylos*) ასეთ ტყეებში ყველგან კონსტანტურია. ტიპობრივია ტანბრეცილი არყნარი დეკით (*Rhododendron caucasicum*). ასეთი არყნარი აღწერილია აჭარა გურიის ქედზე, ზღ. დ-დან 2200 მ-ზე. სამხრეთ კოლხეთში დეკიან არყნარში ზოგან გვხვდება მთის მოცვი (*Vaccinium myrtillus*). სუბალპური ტყეები ანთროპოგენური ზეგავლენის შედეგად ძალიან სახეცვლილია (Nakhutsrishvili, 1999, 2013; Nakhutsrishvili et al., 2005, 2006).

ტანბრეცილი ტყის, როგორც სუბალპური მცენარეული ფორმაციის კონკრეტული სტრუქტურული ტიპის, ჩამოყალიბების გეოლოგიური ასაკი ჯერ დადგენილი არ არის, თუმცა ძლიერ სპეციალიზირებული და მაღალმთის სტრეს-დომინანტური გარემოსადმი კარგად შეგუებული კონსერვატული რე-

ლიქტების არსებობა ა. დოლუხანოვს (Долуханов, 1980, 2010) აფიქრებინებს, რომ ის ძალიან ძველი წარმოშობისაა.

კოლხეთის სუბალპური სარტყლის ზედა ნაწილი დენდროფლორის რელიქტური ელემენტებით ყველაზე მდიდარია. უცნაურია, მაგრამ მერქნიანი მცენარეებისთვის ცივ პირობებში აქ თავმოყრილია სახეობები, რომლებიც თავიანთი წარმოშობით სუბტროპიკული კლიმატის ეპოქათა ფლორის დერივატებია. აქ 1900-2250 მ ფარგლებში, ზემოთ უკვე ნახსენებ სახეობათა ფარგლებში იზრდებიან: *Rhododendron ponticum*, *Rh. ungerii*, *Rh. smirnowii*, *Rh. luteum* (ეს უკანასკნელი ზღ. დ-დან 2100 მ-მდე), *Rh. caucasicum* (ზღ. დ-დან 2000-9050 მ ფარგლებში), *Vaccinium arctostaphylos*, *Ilex colchica*, *Ruscus colchicus*, *Viburnum orientale*, *Laurocerasus officinalis*, *Epigaea gaulterioides*. ამ ჩამონათვალში თვალში-საცემია მარადმწვანე სახეობათა მნიშვნელოვანი წილი, რაც მათი უფრო თბილი კლიმატის ფლორიდან გადმოსვლაზე მიუთითებს (ნახუცრიშვილი, 2000; Nakhutsrishvili, 2013).

თავი 6. საქართველოს ბუნებრივი ტყეების ფიტოსოციოლოგიური აღწერები

წინამდებარე თავში მოცემულია საქართველოს სხვადასხვა რეგიონში 2019-2022 წწ ჩატარებული ბუნებრივი/ბუნებრივთან ახლოს მდგომი ტყეების ფიტოსოციოლოგიური კვლევების შედეგების ამსახველი ცხრილები მოკლე აღწერებითურთ. ქვემოთ მოწოდებული მასალა დაყოფილია დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ნაწილებად. თითოეულ ნაწილში საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული რეგიონები (სურ. 2) დალაგებულია ანბანის მიხედვით.

6.1 აჭარა

აჭარაში შესწავლილ იქნა ტყის 2 ტიპი:

- 1) ზომიერი სარტყლის ჰუმიდური თერმოფილური ზომიერად წვიმიანი კოლხური ტყე, კერძოდ შერეული ფოთლოვანი/პოლიდომინანტური კოლხური ტყე;
- 2) მუქწიწვიანი / შერეული ტყე.

პირველ მათგანს შვიდი (1-7) ვარიანტი მიეკუთვნება, მეორეს – ოთხი (8-11). ქვემოთ მოცემულია მათი ფიტოსოციოლოგიური აღწერები.

6.1.1 *Castaneto-Carpinetum*

შუახევის რ-ში შესწავლილი ტყის იარუსიანობა შემდეგია (ცხრ. 1): პირველ იარუსი (30 მ) – წაბლი (*Castanea sativa*), რცხილა (*Carpinus caucasica*); მეორე იარუსი (20 მ) – უხრაკი (*Ostrya carpinifolia*), ქორაფი (*Acer laetum*); მესამე – ბუჩქების იარუსი (2 მ) – *Osmanthus decorus*, *Rhododendron ponticum*, *Laurocerasus officinalis*; მეოთხე – ბალახების და გვიმრების იარუსი (0.5-0.8 მ) – *Festuca drymeja*, *Trachystemon orientalis*, *Asplenium nigrum*, *Blechnum spicant*, *Athyrium filix femina*. სარეველა და აჭარისთვის უცხო მცენარეები არ გვხვდება, რაც ამ ტყის ტიპის ბუნებრივთან სიახლოვეზე მეტყველებს. აღსანიშნავია აგრეთვე, გვიმრის სხვადასხვა სახეობის ფართო მონაწილეობა, რაც ამ ტყეს დაბურული ტყის იერს სძენს.

რამდენიმე სიტყვა თანადომინანტის რცხილის შესახებ. ის ისევე, როგორც წიფელი და წაბლი სითბოს მოყვარულია. სამივე მოითხოვს ნოყიერ ნიადაგს, მაგრამ რცხილა, განსხვავებით დანარჩენი ორისგან, არასოდეს არის უდიფიკატორი, არ წარმოქმნის ძირეულ ცენოზებს. ის არის ხშირად მხოლოდ დომინანტი, ხოლო უფრო ხშირად თანადომინანტი. მისი ეკოტოპი ხშირად ქვიანია და, უმეტეს შემთხვევაში, წიფლის შემდეგაა განვითარებული.

ცხრილი 1. *Castaneto-Carpinetum*

აღწერა № 1	1	2	3	4	5
GPS კოორდინატები:	41.57137 Lat; 41.86879 Long				
ლანდშაფტის ტიპი:	1				
სიმაღლე ზღ. დ. (მ):	263				
ექსპოზიცია(°):	NW				
ფერდობის ინკლინაცია (°)	35				
დეტრიტის სისქე (სმ):	2				
დეტრიტის მასა (გ მშრალი მასა/მ ²)	1019.2				
pH	5.58				

აღწერა № 1	1	2	3	4	5
სუბსტრატის დაფარულობა (%):					
გაშიშვლებული ნიადაგი	10	5	2	5	10
ქვები	20	5	10	5	10
დეტრიტი	8	28	20	10	23
ძირნაყარი	4	2	8	5	3
კრიპტოგამები	5	7	10	5	4
მცენარეები	50	53	50	70	50
ხეები 400 მ²-ზე (20 X 20 მ)					
ხეების სიმაღლე (მ):	28				
<i>Castanea sativa</i>	2				
<i>Carpinus caucasica</i>	2				
<i>Ostrya carpinifolia</i>	++				
<i>Acer laetum</i>	R				
ბუჩქები და ლიანები 25 მ²-ზე (5 X 5 მ)					
ბუჩქების საფარის სიმაღლე (მ):	1.7	1.6	1.7	1.8	1.7
<i>Osmanthus decorus</i>	4	4	++	++	+
<i>Rhododendron ponticum</i>	++	++	++	++	
<i>Smilax exelsa</i>	++		++	++	++
<i>Hedera colchica</i>	++	++			++
<i>Hypericum inodorum</i>	+	R	+	+	+
<i>Laurocerasus officinalis</i>	R		R	R	R
<i>Hypericum androsaemum</i>	R		R	R	
<i>Tamus communis</i>	R				R
<i>Corylus avellana</i>	R				R
ბალახოვანი მცენარეები 25 მ²-ზე (5 X 5 მ)					
ბალახოვანი საფარის სიმაღლე (სმ):	85	55	55	75	65
<i>Asplenium nigrum</i>	+	+		R	R
<i>Asplenium scolopendrium</i>	+		++		
<i>Asplenium trichomanes</i>	R		+		R
<i>Athyrium filix-femina</i>	R			R	
<i>Blechnum spicant</i>	+	+			+
<i>Dryopteris filix-mas</i>				R	
<i>Festuca montana</i>	++	+		++	++
<i>Polystichum aculeatum</i>	+	+	+		+
<i>Potentilla micrantha</i>	R				
<i>Pteris cretica</i>	+			+	
<i>Salvia glutinosa</i>	R				
<i>Trachystemon orientalis</i>	+	+	+	+	

6.1.2 Fageto-Carpineto-Castanetum Rhododendrosum pontici

წიფლნარ-რცხილნარ-წაბლნარი შქერის ქვეტყით შეისწავლებოდა კინტრიშის სახელმწიფო ნაკრძალში ზღ. დ-დან 535 მ-ზე, ჩრდილო-დასავლეთ ექსპოზიციის ფერდობზე (ცხრ 1). მცენარეულობით ნიადაგის დაფარულობა არ არის მაღალი. დომინანტი ხე-მცენარეებია: *Castanea sativa*, *Carpinus caucasica*, *Fagus orientalis*. აქ გავრცელებული ხე-მცენარეებიდან ყველაზე მაღალი სიმრავლით გამოირჩევა წაბლი, ხოლო ყველაზე დაბალით წიფელი, რაც იშვიათი შემთხვევაა, ხეთა სიმადლე თითქმის ერთნაირია. როგორც მოსალოდნელი იყო, ბუჩქებიდან ყველაზე მაღალი დაფარულობით გამოირჩევა პონტოს შქერი (*Rhododendron ponticum*). შემდეგ მოდის წყავი (*Laurocerasus officinalis*). საერთოდ, ბუჩქების დაფარულობა ძალიან მაღალია, რაც ძლიერ გავლენას ახდენს მცენარეთა თესლით განახლებაზე. აქ მოზარდი ბუჩქებიდან ყველა ფართოდ გავრცელებულია კოლხეთში. ბალახოვანი მცენარეებიდან მხოლოდ ერთი, გიგანტური ზომის ფოთლების მქონე ანჩხლა (*Trachystemon orientalis*) არის წარმოდგენილი, რომელიც ფაქტიურად განსაზღვრავს ამ ეკოსისტემის სტრუქტურას და ფუნქციონირებას. ის არ არის მაღალი (0.35 მ), მაგრამ ახასიათებს განსაკუთრებულად დიდი დაფარულობა. გვხვდება სხვდასხვა ტიპის ტყეში, ზღ. დ-დან თითქმის სუბალპურ სარტყლამდე, ძირითადად წიფლნარ, წიფლნარ-სოჭნარ და აგრეთვე, სოჭნარ და რცხილნარ-წაბლნარ ტყეებში.

ცხრილი 2. Fageto-Carpineto-Castanetum Rhododendrosum pontici

აღწერა № 2	1	2	3	4	5
GPS კოორდინატები:	41.74389 Lat; 41.9557 Long				
ლანდშაფტის ტიპი:	3				
სიმადლე ზღ. დ. (მ):	535				
ექსპოზიცია(°):	NW				
ფერდობის ინკლინაცია (°)	40				
დეტრიტის სისქე (სმ):	5				
დეტრიტის მასა (გ მშრალი მასა/მ ²)	1787.52				
pH	5.76				
სუბსტრატის დაფარულობა (%):					
გამიმვლელი ნიადაგი	10	0	0	2	0
ქვები	5	0	0	2	0
დეტრიტი	20	50	40	15	20
ძირნაყარი	4	5	2	10	5
კრიპტოგამები	1	2	0	1	0
მცენარეები	60	30	58	70	75
ხეები 400 მ²-ზე (20 X 20 მ)					
ხეების სიმადლე (მ):	28				
<i>Castanea sativa</i>	2				
<i>Carpinus caucasica</i>	1				
<i>Fagus orientalis</i>	R				
ბუჩქები და ლიანები 25 მ²-ზე (5 X 5 მ)					
ბუჩქების საფარის სიმადლე (მ):	3.5	3	3	2.7	2
<i>Rhododendron ponticum</i>	4	++	++	++	++

აღწერა № 2	1	2	3	4	5
<i>Laurocerasus officinalis</i>	++		+		
<i>Rubus caucasicus</i>	+	+	+	+	+
<i>Euonymus europaeus</i>	R				
<i>Hypericum inodorum</i>	R			R	
<i>Hedera colchica</i>	R				+
ბალახოვანი მცენარეები 25 მ²-ზე (5 X 5 მ)					
ბალახოვანი საფარის სიმაღლე (სმ):	35			40	
<i>Trachystemon orientalis</i>	R			R	

6.1.3 Fageto-Castaneto-Carpinetum Rhododendrosom pontici

შეისწავლებოდა კინტრიშის სახელმწიფო ნაკრძალში, რომელიც გამოირჩევა ბიომრავალფეროვნების განსაკუთრებული სიმდიდრით და ენდემიზმის მაღალი მაჩვენებლით. შესწავლილი ეკოსისტემა წამოდგენილია ზღ. დ-დან 450 მ-ზე, სამხრეთ-აღმოსავლეთის ექსპოზიციის, 20°-იანი ინკლინაციის, საშუალოდ დატენიანებულ ფერდობზე. ეს ეკოსისტემა არ გამოირჩევა მცენარეთა მრავალფეროვნებით: წარმოდგენილია მხოლოდ 3 ხე-მცენარე, რომელთა შორის დომინანტია რცხილა. შემდეგ მოდის წაბლი და ყველაზე მცირე რაოდენობით – წიფელი. ხეთა სიმაღლე 30 მ-აღწევს, იარუსიანობა არ არის კარგად გამოხატული. ყველაზე მრავალფეროვანია ბუჩქების იარუსი, სადაც წარმოდგენილია 8 სახეობა რომელთა შორის დიდი უმრავლესობა (6 სახეობა) კოლხური ელემენტია. უნდა ვიფიქროთ, რომ სწორედ ეს იარუსი განსაზღვრავს ამ მცენარეული დაჯგუფების არცთუ დიდ მრავალფეროვნებას. ბუჩქებს შორის განსაკუთრებული მაღალი დაფარულობით გამოირჩევა პონტოს შქერი (*Rhododendron ponticum*) და წყავი (*Laurocerasus officinalis*).

ბუჩქნარის განხილვის დროს არ შეიძლება არ შევჩერდეთ, ისეთ საინტერესო უძველეს რელიქტურ მცენარეზე, როგორცაა კავკასიური მოცვი (*Vaccinium arctostaphylos*). ამ მოცვის უახლოესი ნათესავები შემორჩენილია მხოლოდ მაკარონეზიის კუნძულებზე (კ. მადეირაზე) და იაპონიაში (Тахтаджян, 1978; Дюлханов, 2012). საინტერესოა აგრეთვე მარადმწვანე ბუჩქი წყავი, რომელიც მაღალი დაფარულობით და შედარებით ფართო სინეკოლოგიური არეალით გამოირჩევა.

შედარებით კარგად არის შემორჩენილი და ბუნებრივთან ახლოს არის ამ ტყის ბიომინანტური ფორმაციები, კერძოდ წაბლნარ-წიფლნარი პოლიდომინანტური ქვეტყით (*Rhododendron ponticum*, *Laurocerasus officinalis*) *Daphne pontica*, *Vaccinium arctostaphylos*, *Viburnum orientale*. ბალახოვნებიდან შეგვხვდა მხოლოდ *Dentaria bulbifera*.

ცხრილი 3. Fageto-Castaneto-Carpinetum Rhododendrosom pontici

აღწერა № 3	1	2	3	4	5
GPS კოორდინატები:	41.73882 Lat; 41.98009 Long				
ლანდშაფტის ტიპი:	3				
სიმაღლე ზღ. დ. (მ):	450				
ექსპოზიცია(°):	SE				
ფერდობის ინკლინაცია (°)	20				
დეტრიტის სისქე (სმ):	3				
დეტრიტის მასა (გ მშრალი მასა/მ²)	775.2				
pH	6.06				

აღწერა № 3	1	2	3	4	5
სუბსტრატის დაფარულობა (%):					
გამიშვლებული ნიადაგი	10	5	10	10	5
ქვები	0	0	0	10	6
დეტრიტი	30	18	35	29	20
ძირნაყარი	5	5	3	8	10
კრიპტოგამები	5	2	0	8	5
მცენარეები	60	70	62	35	44
